

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

ნინო ბოჭორიშვილი

სამართლიანი სასამართლო განხილვის  
უფლება საქართველოში

ხელმძღვანელი: *სამართლის დოქტორი*  
*არჩილ ლორია*

წარდგენილია დოქტორის

აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

თბილისი

2011 წელი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	გვ.4
ძირითადი ნაწილი	გვ.10
<b>თავი I - სამართლიანი სასამართლო</b>	<b>გვ.10</b>
1.1. დამოუკიდებელი სასამართლო	გვ.12
1.2. მიუკერძოებელი სასამართლო	გვ.20
1.3. კანონიერება, საქვეყნობა, უფლებამოსილება, დასაბუთებულობა	გვ.30
1.4. კანონის გარეშე პასუხისმგებლობის და ორმაგი დასჯის დაუშვებლობა	გვ. 40
1.5. უდანაშაულობის პრეზუმფცია	გვ.43
<b>თავი II - სასამართლოზე ხელმისაწვდომობა</b>	<b>გვ.49</b>
2.1 სამართლოზე ხელმისაწვდომობის ზოგადი დახასიათება	გვ.49
2.2. სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება	გვ.54
2.3. ქმედითი უფლება ხელმისაწვდომობაზე	გვ.68
<b>თავი III - უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე</b>	<b>გვ.78</b>
3.1. მხარეთა თანასწორობა	გვ.80
3.2. მხარეთა შეჯიბრებითობა	გვ.87
3.3. დასწრება სასამართლო განხილვაზე	გვ.91
3.4. საქმის განხილვის გონივრული ვადა	გვ.95

3.5. მტკიცებულებათა დასაშვებობა	გვ.101
3.6. სასამართლო წარმოების ენა	გვ.105
3.7. დაცვის უფლება	გვ.108
თავი IV - სასამართლოს გადაწყვეტილების უზრუნველყოფის გარანტიები	გვ.114
4.1. სასამართლო გადაწყვეტილების უზენაესობა	გვ.114
4.2. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება	გვ.116
დასკვნა	გვ.132
ბიბლიოგრაფია	გვ.138

**ცხრილებისა და სქემების ნუსხა**

სქემა №1 სამართლიანი სასამართლოს ნიშნები	გვ.11
სქემა №2 სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიები	გვ.79
სქემა №3 საქართველოს უზენაეს სასამართლოში ზეპირი მოსმენის გარეშე განხილული საქმეების სტატისტიკა	გვ.94

## შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა: ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის პრობლემების მეცნიერული გააზრება და კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია დემოკრატიის აღმშენებლობის გზაზე დამდგარი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის.

საქართველოში პოლიტიკური სტუქტურების სწრაფმა ცვალებადობამ და ახალმა ღირებულებებმა ორიენტაციებმა განაპირობეს ადამიანის უფლებათა სწორი კუთხით დანახვა და ახალი, დამოუკიდებელი, სამართლიანი, სასამართლოს მოდელის შერჩევის აუცილებლობა. ამ პრობლემის გადაჭრაში ფასდაუდებელ სამსახურს გვიწევს სამართლის სფეროში დაგროვილი ჩვენივე მნიშვნელოვანი თეორიული მემკვიდრეობა. სამწუხაროდ, ქართულ სამართლებრივ აზროვნებაში თეორიული მემკვიდრეობის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით გარკვეული დეფიციტი იგრძნობა. ამის საჭიროება კი, განსაკუთრებით დღეს, განუზომლად დიდია. ამ ხარვეზის შევსებასა და ქართული პოლიტიკური აზროვნების მემკვიდრეობის მეცნიერულ კვლევა-ძიებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ახალი ქართული სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის დამკვიდრება საქართველოში.

სახელმწიფოში დემოკრატიული წყობილების აღიარება სულაც არ არის საკმარისი და აუცილებელია ყურადღება მიექცეს სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პრობლემებსაც.

სადისერტაციო თემის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ საქართველოში ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მწირია, ამიტომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ხელს შეუწყობს ეროვნული ხელისუფლების მიერ საერთაშორისო მასშტაბებით განსაზღვრულ სასამართლოთა საქმიანობის პრინციპების სწორ გააზრებასა და გათავისებას და ყოველდღიურ ცხოვრებაში ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალურად გამოყენების სამართლებრივი გზების ჩვენებას;

**სადისერტაციო ნაშრომის მიზანი:** სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მესამე ხელისუფლების მაღალ დონეზე ორგანიზება და მისი ადამიანის უფლებათა დაცვის ქმედით სისტემად ჩამოყალიბება.

სადისერტაციო თემის მიზანია ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების საკითხებზე არსებული პრობლემების ანალიზი და მათი გადაჭრის გზების შეთავაზება.

ვინაიდან დარღვეულ უფლებათა დაცვის მიზნით ადამიანები უპირატესად საერთო სასამართლოებს მიმართავენ, ჩატარებული კვლევის ძირითადი აქცენტები სწორედ მართლმსაჯულებაზე იქნება მიმართული და საკონსტიტუციო კონტროლის თავისებურებათა დეტალური შესწავლა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. ასევე კვლევის საგანს სცილდება და ნაშრომის ძირითად მიზნად არ არის დასახული სამართლის ცალკეული დარგების მიხედვით არსებული საპროცესო კანონმდებლობის სიღრმისეული კვლევა და მასში არსებულ პრობლემათა გაანალიზება. ამდენად, სამართალწარმოების ცალკეულ სახეთა ზოგადი თავისებურებების დახასიათება განხორციელებული იქნება სამართლიანი სასამართლო განხილვის კონსტიტუციური უფლების აუცილებელი უზრუნველყოფის დასაბუთების მიზნით.

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება წამოჭრის ადამიანის ისეთი საპროცესო უფლებების განხილვა-გაანალიზებას, როგორცაა: სამართლიანი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს არსებობა, უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე, დაცვის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმციის ყველა დონეზე დაცვა, სასამართლო გადაწყვეტილებების უზრუნველყოფის გარანტიები.

ამ საკითხების თეორიული შესწავლა და სამართლებრივი ანალიზი, ჩემი აზრით, დაინტერესებულ პირებს გარკვეულ დახმარებას გაუწევს საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი პროცესების გააზრებაში.

**სადისერტაციო ნაშრომის ამოცანა:**

წინამდებარე ნაშრომში გამოკვეთილია შემდეგი სახის კონკრეტული ამოცანები:

- სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელების არსსა და თავისებურებებში გარკვევა;
- კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის საპროცესო უფლებების დაცვის ფორმების, სახეებისა და ხერხების კორექტირება და მათი მართებულად გამოყენება; საყოველთაოდ აღიარებული დაცვის უფლების გამოყენების სფეროში არსებული საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზების განხილვა-გაანალიზება;
- უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც ადამიანის ძირითადი საპროცესო უფლების გამოყენების სიღრმისეული შესწავლა;
- ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების, კონვენციების, დეკლარაციებისა და სხვა მასალების შედარებითი ანალიზი, წინადადებების შემუშავება ეროვნული კანონმდებლობის მათთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
- საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ქვეყანაში არსებული პრაქტიკის დახვეწისათვის საჭირო წინადადებების შემუშავება.

**სადისერტაციო ნაშრომის ღირებულება:** სამართლიანი სასამართლოს შექმნის თვალსაზრისით აუცილებელია შესწავლილი და გაანალიზებული იქნას ადამიანის უფლებათა შესახებ მსოფლიოში არსებული პრაქტიკა, კონსტიტუციები, დეკლარაციები, კონვენციები და პაქტები, საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ადამიანის ძირითადი უფლების, როგორც ხალხისა და სახელმწიფო ხელისუფლების შემზღუდავი უშუალოდ მომქმედი სამართლის მნიშვნელობა, ადამიანის უფლება სამართლიან სასამართლოზე. ამასთანავე ნაშრომში მოცემულია ავტორის ცალკეული მოსაზრებანი აღნიშნული პრობლემის ირგვლივ, მისი შეფასებები და შემოთავაზებები.

**კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი:** კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია კონსტიტუციური სამართალი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, საქართველოს კონსტიტუციური სამართლის საფუძვლები, მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

სამოსამართლო სამართალი, ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ნაშრომში გამოყენებულია სპეციალური მეცნიერული ნაშრომები, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები და სხვ.

**სადისერტაციო ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა:**  
სადისერტაციო თემის თეორიული მნიშვნელობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იგი არის ადამიანის ძირითადი საპროცესო უფლების-სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელების ანალიზისა და პოპულატრიზაციის ცდა. ასევე საქართველოში არსებული სამართლებრივი აზროვნების განვითარების ობიექტური გადმოცემა. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარი კაზუალური შემთხვევა:

ჩვენს უახლეს ისტორიაში ძველი 1960 წლის სსკ-ით გათვალისწინებული უმაღლესი სასჯელით - სიკვდილით დასჯით მსჯავრდადებული პირები, სიკვდილის მოლოდინში მავანთა შეცდომების გამო ძალიან საინტერესო სამართლებრივ ორომტრიალში აღმოჩნდნენ. ჯერ იყო და 1997 წელს სიკვდილით დასჯის გაუქმების გამო - (რაც ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით უდიდესი წინგადადმული ნაბიჯი იყო), საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ყველა მათგანს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება - სიკვდილით დასჯა 20 წლით თ/აღკვეთით შეეცვალა, მაშინ როდესაც, მთავარი სამართლებრივი, კონსტიტუციური ნორმით (კონს. 84-ე მუხლის მე-5 ნაწილი), სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა სასამართლოსავე გზით არის შესაძლებელი, ასევე, 1997 წელს მოქმედი "შეწყალების შესახებ" საქართველოს კანონი სიკვდილმისჯილთა შეწყალების შემთხვევაში მათი სასჯელების უზენაესი სასამართლოს გზით გადახედვას და შეცვლას ითვალისწინებდა.

ამ შეცდომების გამოსწორება მალევე, ერთი წლის თავზე, თავად უზენაესი სასამართლოს პლენუმმა სცადა, რომლის გადაწყვეტილებით, პრეზიდენტის მიერ ნაწყალობები 20 წლით

თ/აღკვეთა 15 წლით შეუმცირეს. მიზეზი დასაბუთებული იყო, სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. 1997 წელს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ზღვარი შეადგენდა 15 წელს. თუმცა, ამ სწორედ რომ პრეცედენტულ გადაწყვეტილებას გაგრძელება არ მოჰყოლია, სახეზე მივიღეთ ერთი მსჯავრდებული, რომელიც კანონის ფარგლებში მოექცა, დანარჩენი 45 პრეზიდენტის ნაწილობრივი 20 წლიანი პატიმრობის ქვეშ რჩებოდნენ, მანამდე, სანამ ისევ უზენაესი სასამართლო, ოღონდ ამჯერად თერთმეტი წლის დაგვიანებით, არ მიხვდა და კვლავ თავიდან არ დაიწყო ყველა საქმის გადახედვა.

**სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა:**  
ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობას განსაზღვრავს თავად კვლევის საგანი. კვლევის შედეგად მიღებული თეორიული დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას ადვოკატების, პროკურორებისა და მოსამართლეების მიერ, რომელთათვისაც ნათელი გახდება, რომ საქმეთა განხილვისას შესაძლებელია და ხშირად აუცილებელიც კია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების, როგორც უშუალოდ მოქმედი ობიექტური სამართლის გამოყენება;

აგრეთვე ნაშრომი დაინტერესებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს. დისერტაციის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას სამართლის ფაკულტეტზე სასწავლო კურსის რიგი თემების სწავლების პროცესში, სალექციო მუშაობაში, საკურსო ნაშრომებში, რეფერატებისა და სტუდენტთა თეორიული კონფერენციების, სპეცკურსების მომზადებაში.

**სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურის აღწერა:**  
სადისერტაციო თემა მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ “148“ გვერდს, შედგება სატიტულო ფურცლის, სარჩევის, შესავლის, ოთხი თავის, ჩვიდმეტი ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

**სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია:** სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი ასახულია სამ სპეციალურ



სამეცნიერო სტატიაში, რომლებიც გამოქვეყნებულია შემდეგ რეფერირებად ჟურნალებში:

**ჟურნალი** - მართლმსაჯულება და კანონი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი, №1, თბ., 2009 წ. გვ. 120-131.

**ჟურნალი** - საქართველოს უზენაესი სასამართლო, მართლმსაჯულება, სამეცნიერო-პრაქტიკული რეცენზირებული ჟურნალი №2, თბ., 2009 წ. გვ. 135-145.

**ჟურნალი** - სოციალური ეკონომიკა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის და ევროპული უნივერსიტეტის საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი, №2, თბ., 2010 წ. გვ. 119-122.

### **თავი 1. სამართლიანი სასამართლო**

კონსტიტუციური სახელმწიფოს შექმნაში სამართალი გადამწყვეტ როლს ასრულებს. დემოკრატიულ ქვეყნებში საკანონმდებლო აქტები საზოგადოების მთლიანობის საწინდარია. სწორედ ამიტომ, კონსტიტუციური სისტემა სამართლის უზენაესობის გარეშე წარმოუდგენელია.

სამართლის უზენაესობა საკანონმდებლო საქმიანობას ანიჭებს აზრს. ჯონ ლოკის აზრით, უზენაესმა ხელისუფალმა ქვეყანა “გამოცემული, დამკვიდრებული, მუდმივმოქმედი და ხალხისათვის ცნობილი კანონებით” უნდა მართოს.

“საკანონმდებლო ან უზენაესი ხელისუფლების მპყრობელი ვალდებულია სახელმწიფო დამკვიდრებული, მუდმივმოქმედი, გამოცემული და ხალხისათვის ცნობილი კანონებით და არა დროებითი და ნაჩქარევად შექმნილი დეკრეტებით მართოს. გარდა ამისა, საჭიროა **მიუკერძოებელი და სამართლიანი მოსამართლეები**, რომლებიც ყოველგვარ დაპირისპირებასა თუ დავას ამ კანონების გამოყენებით წყვეტენ.<sup>1</sup>”

სამართლებრივი სახელმწიფო სამართლიანობის პრინციპს უნდა ემყარებოდეს. სამართლიანი სახელმწიფო თავისთავში მოიაზრებს სამართლიან სასამართლოს. სამართლიანი სასამართლოს იდეის განხორციელებისათვის კი აუცილებელია ისეთი ძირითადი ელემენტების არსებობა, როგორცაა – დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო, უფლებამოსილი და კანონიერი სასამართლო შემადგენლობა, უზრუნველყოფილი სასამართლო ხელმისაწვდომობა, სასამართლო გადაწყვეტილებათა საქვეყნოობა და დასაბუთება, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა. ასევე სამართლიანობის მოთხოვნის დარღვევა იქნება კანონის გარეშე სასჯელის დანიშვნა ან ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ დასჯის გამოყენება (იხ. სქემა №1, გვ. 11).

ამ კუთხით კანონმდებლობის სრულყოფაზე მუშაობა უწყვეტი პროცესია. სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის ნოემბრის ცვლილებებიც


---

<sup>1</sup> Locke, John, “Second Treatise of Government”, in Two Treatises of Government. Cambridge: Cambridge University Press, 1980.

მნიშვნელოვანწილად შეეხო სასამართლო ხელისუფლების დახვეწის საკითხსაც<sup>2</sup>.

სამართლიანი სასამართლოს ნიშნები

სქემა 1



<sup>2</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", 2010 წლის 15 ოქტომბრის კანონი №3710, სსმ I, №62, 05.11.2010 წ., მუხ. 379.

### 1.1. დამოუკიდებელი სასამართლო

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებაში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ასამოქმედებლად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გვერდით, აუცილებელია დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუტი. არსებობს მოსაზრება, რომ სასამართლო ხელისუფლება პოლიტიკური და სამართლებრივი ფენომენია, რომელიც ადექვატურად ასახავს ხელისუფალთა დანაწილების დოქტრინაზე დაფუძნებული სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისადმი სწრაფვას<sup>3</sup>.

სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია სხვა უამრავ, მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა შორის, სასამართლოს განსაკუთრებულ როლზეა ორიენტირებული, რაც, პირველ რიგში, მისი დამოუკიდებლობის პირობებზეა დამყარებული<sup>4</sup>.

სასამართლოს დამოუკიდებლობის განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორი ის არის, რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებლად ახდენს სასამართლო პოლიტიკის ფორმირებას, შეიმუშავებს სასამართლო საქმიანობის მთავარ მიმართულებებს ცხოვრებაში მიმდინარე შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით. ცხადია, ყველა აღნიშნული თავისებურება, მეტ-ნაკლებად საქართველოს სასამართლო ხელისუფლებაზეც ვრცელდება.<sup>5</sup>

სასამართლო ხელისუფლების როლი და ადგილი სახელმწიფო მოწყობის სისტემაში, რომელიც ხელისუფლების დანაწილების პრინციპზეა დაფუძნებული, პროფესორ ი. მიხაილოვსკაიას აზრით, სამი ფაქტორით არის განპირობებული:

- პირველ რიგში, ეს სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილების მოცულობაა, რომელზეც არის დამოკიდებული მოქმედი კანონმდებლობით აღიარებული

<sup>3</sup> Ваглай М.В., Конституционное право Российской Федерации, М., 1999, с.628.

<sup>4</sup> იხ. რამიშვილი, ნუცა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმში, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXII, გამომცემლობა, თბ., 2005 წ. გვ. 41

<sup>5</sup> იხ. მელქაძე, ოთარი, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXV, გამომცემელი "ინოვაცია", თბ., 2008 წ. გვ.213.

ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და ინტერესების სასამართლო დაცვის ფარგლები;

- მეორე, ეს არის სასამართლო ხელისუფლების თანაფარდობა ხელისუფლების სხვა შტოებთან;

- მესამე, არ შეიძლება შეკავება-გაწონასწორების სისტემის ისეთი ორგანოებისაგან მოწყვეტით განხილვა, რომლებიც სახელისუფლებო სტრუქტურაში ამა თუ იმ ხელისუფლებას, ინსტიტუტებს წარმოადგენენ, ასრულებენ შინაგანი კონტროლის ფუნქციას და ამის ძალით გარკვეული ავტონომიით არიან აღჭურვილნი.<sup>6</sup>

პროფესორ ი. მიხაილოვსკაიას მიერ სასამართლო ხელისუფლების როლისა და ადგილის განსაზღვრული სამი ფაქტორი უფრო სრულად ახასიათებს მის როლს, მაგრამ ნაკლებად მის ადგილს. საქმე ის არის, რომ ხელისუფლების შტოთა ბალანსში სასამართლოების ადგილი მნიშვნელოვანწილად მისი დამოუკიდებლობის ხარისხზეა მიბმული. ამ თვალსაზრისით, უდავოდ არსებითია სასამართლო ხელისუფლების ფორმირების წესი და მთლიანად სასამართლო სისტემის მართვის პრობლემები, რომელთა განზოგადებული განხილვა ბევრ საიტერესო მოსაზრებასაც შეიცავს ქართულ სამართალში იმპლემენტაციის თვალსაზრისით.

კონსტიტუციონალიზმში ტერმინი დამოუკიდებელი სასამართლო სხვადასხვა, ურთიერთდაკავშირებულ განზომილებაში განიხილება. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა, ცხადია, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის იდენტურია, მაგრამ ერთიცა და მეორეც, სასამართლოების დამოუკიდებლობაზეა დაფუძნებული. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ფუძის სიმტკიცე თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობით უნდა იყოს გარანტირებული. ასე რომ, მთლიანის დამოუკიდებლობა, შემადგენელი ნაწილების დამოუკიდებლობით არის განმტკიცებული<sup>7</sup>.

<sup>6</sup> იხ. Михайловская И,В, Судебная власть как инструмент самоограничения государства/ Судебная власть, Под, ред, И,Л, Петрухина, М, Проспект,2003, с,32-33

<sup>7</sup> იხ. რამიშვილი, ნუცა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმში, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXII, გამომცემლობა, თბ., 2005 წ. გვ. 42-43.

ქართული სამართლის ძეგლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მოსამართლისათვის აუცილებელ თვისებებს. ჯერ კიდევ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში ხაზგასმულია (99-ე მუხლი), რომ მოსამართლე უნდა იყოს ღვთისმოშიში, სამართლიანი, მოუსყიდველი, მიუდგომელი, რომელიც არც პატრონის, არც მშობლების, არც ძმისა და მოყვასთა ხათრით უსამართლობას არ ჩაიდენს და მართალ სამართალს გააჩენს<sup>8</sup>.

ნებისმიერი ქვეყნის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, მისი მარეგულირებელი კანონმდებლობის ფარგლებში, სისტემის სტუქტურაზე, უფლებამოსილებების მოცულობაზე და ფუნქციების იურიდიულ ბუნებაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება მთლიანად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, იგი სახელმწიფოებრივი მოწყობის კონსტიტუციურ არჩევანზე, ანუ ხელისუფლების დანაწილების მოქმედ სისტემაზეა დამოკიდებული. აქ უმთავრესი ის არის, თუ როგორ არის დაცული აღნიშნული სისტემა კონსტიტუციის მიერ<sup>9</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-3 პუნქტით: „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.“

სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, ყველას აქვს უფლება დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე. სასამართლოს დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ შექმნილი სამართლებრივი სისტემით, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოს წევრების დანიშვნის წესს, სასამართლოზე ზემოქმედების განხორციელების აღკვეთ გარანტიებს, აგრეთვე მოსამართლეთა პირადი და სოციალური უსაფრთხოების გარანტიებს.<sup>10</sup> საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ მოთხოვნას და ადგენს მოსამართლის

---

<sup>8</sup> იხ. მეტრეველი, ვალერი, ქართული სამართლის ისტორია, გამომცემელი "მერიდიანი", თბ., 2004 წ., გვ 413.

<sup>9</sup> იხ. რამიშვილი, ნუცა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმში, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXII, გამომცემლობა, თბ., 2005 წ. გვ. 51

<sup>10</sup> იხ. სამართლიანი სასამართლოს უფლება, გამომცემელი: საია, რედ: ი.სესიაშვილი, მ.მენაღარიშვილი;

დამოუკიდებლობის გარანტიებს, რომელთა დიდი ნაწილი მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე თავში.

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე. აღნიშნულ გარანტიებში ორი მოთხოვნაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული – სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, რომელთაც ევროპული სასამართლო ყოველთვის ერთად განიხილავს<sup>11</sup>.

საქართველოს კანონმდებლობა სასამართლო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიებს ცალცალკე განმარტავს. სასამართლოს დამოუკიდებლობას განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი, რომლითაც:

1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

2. მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

3. არავის არა აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

4. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას. სასამართლო დამოუკიდებლობის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფა და პატივისცემა განმტკიცებულია სასამართლო დამოუკიდებლობის შესახებ ძირითადი პრინციპებით<sup>12</sup>.

მოსამართლეები, რომლებიც სასამართლოებში იხილავენ უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს, უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და კომპეტენტურები. იმისათვის, რომ მოსამართლე იყოს დამოუკიდებელი, იგი უზრუნველყოფილი

---

<sup>11</sup> იხ. მოსამართლე და მართლმსაჯულება (ევროპული სტანდარტები), მთარგმნელი - ე.გოცირიძე, თბილისი, 2001 წ.

<sup>12</sup> იხ. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დოკუმენტები, წიგნი II, საია, თბ., 1999 წ. გვ. 65

უნდა იყოს საიმედოდ დაცული ვადით, რაც იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება მოსამართლის დათხოვა იმ მიზეზით, რომ მთავრობას მიუღებლად მიაჩნია მისი გადაწყვეტილება. მოსამართლის დათხოვა შეუძლებელია იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ის არღვევს ქცევის წესებს ან თანამდებობისთვის შეუფერებელია გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რამდენად დამნაშავე და თანამდებობისთვის შეუფერებელია მოსამართლე, უნდა მიიღოს ორგანომ, რომელიც მთავრობისაგან დამოუკიდებელი ადამიანებითაა დაკომპლექტებული. მექრთამეობის რისკის გამოსარიცხად მოსამართლეები სათანადო ანაზღაურებას უნდა იღებდნენ. მათ უნდა ჰქონდეთ გავლილი სპეციალური მომზადება და უნდა გააჩნდეთ კანონის გამოყენების პროფესიული გამოცდილება.

იმის შეფასებისას, არის თუ არა ეროვნული სასამართლო დამოუკიდებელი, ევროპული სასამართლო რამოდენიმე ფაქტორს აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას:

- სასამართლოს წევრთა დანიშვნა;
- მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის ვადა;
- გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსამართლეებს არ განიცადონ ზეწოლა;
- სასამართლოს მიერ დამოუკიდებლობის გამომჟღავნება.

დღეს მოქმედი “საერთო სასამართლოს შესახებ” საქართველოს 2009 წლის 04 დეკემბრის ორგანული კანონის 34-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს (აირჩეს) საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული კურსი და შეყვანილია იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში<sup>13</sup>. საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში განხორციელებული ცვლილების მიხედვით შეიცვალა მოსამართლის თანამდებობაზე განწესების ასაკობრივი ცენზი და ვადები. კერძოდ, “მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს

---

<sup>13</sup> იხ. საქართველოს ორგანული კანონი “საერთო სასამართლოების შესახებ”, №2257, სსმ I, №41, 08.12.2009 წ., მუხ. 300.



შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება. მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლის უვადოდ განწესებამდე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის განწესება განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით”. აღნიშნული ცვლილება ძალაში შედის 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან<sup>14</sup>.

საქართველოს 2009 წლის 04 დეკემბრის “საერთო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოსამართლედ არ შეიძლება დაინიშნოს (აირჩეს) ნასამართლევ პირი, აგრეთვე პირი, რომელიც განთავისუფლებული იყო მოსამართლის თანამდებობიდან ამ კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ბ”, ”გ” და ”თ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით, რაც გულისხმობს დისციპლინური გადაცდომის ჩადენას, მოსამართლის სტატუსთან შეუფერებელი თანამდებობის დაკავებას ან შეუთავსებელ საქმიანობას და კორუფციული სამართალდაღვევის ჩადენას ”საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

ამასთანავე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით - დანიშნული მოსამართლე უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არ შეიძლება განთავისუფლებული იქნას თანამდებობიდან მყარი საფუძვლის გარეშე. იმ ქვეყნებში კი, სადაც მოსამართლეებს განსაზღვრული ვადით ირჩევენ, აუცილებელია განთავისუფლების საფუძვლების კანონით ზუსტად განსაზღვრა<sup>15</sup>.

---

<sup>14</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი ”საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ”, 2010 წლის 15 ოქტომბერი, №3710, სსმ I, №62, 05.11.2010 წ., მუხ. 379.

<sup>15</sup> იხ. მოსამართლე და მართლმსაჯულება: ევროპული სტანდარტები, მთარგმნელი - ე.გოცირიძე, თბილისი, 2001 წ.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ვფიქრობ, საჭიროებს მეტ დაკვირვებას. თუ კანონის მოთხოვნებს მივყვებით, მივიღებთ ისეთ შემთხვევას, როცა დისციპლინური დევნის შედეგად გათავისუფლებული მოსამართლე ვეღარ დაინიშნება ხელმეორედ იგივე თანამდებობაზე. კანონმდებლობით ასევე გათვალისწინებულია შემთხვევა, როცა პირს, კონკრეტულად კი მოსამართლეს, ნასამართლეობის ფაქტი გარკვეული დროით ართმევს უფლებას იმუშაოს მოსამართლის თანამდებობაზე. მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის გამო გამოწვეულ ნასამართლეობაზე და ისიც მანამ, სანამ იგი გაქარწყლებული არ იქნება. მაშინ, ბუნებრივია, იბადება კითხვა, როცა მოსამართლე მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოა გათავისუფლებული თანამდებობიდან საჭიროა თუ არა მსგავსი მკაცრი ღონისძიების გამოყენება მის მიმართ და მისთვის ხელახლა მოსამართლედ მუშაობის ყველა საშუალების მოსპობა? ყურადღების მიღმა არ შეიძლება დარჩეს ის ფაქტი, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს იმ საფუძვლით, რომ მოსამართლემ არასწორად განმარტა კანონი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი საუბრობს ისეთ საკითხზე, როგორცაა მოსამართლის შინაგანი რწმენით გადაწყვეტილების მიღება<sup>16</sup>. თუ მოსამართლე აღნიშნული მუხლით იხელმძღვანელებს და შემდეგ ჩაითვლება რომ მან არასწორად განმარტა კანონი, იგი შეიძლება გათავისუფლებული იქნეს თანამდებობიდან სამუდამოდ. ვფიქრობ, აქ ვაწყდებით კოლიზიას საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მითითებულ მუხლებს შორის. რა თქმა უნდა, ორგანული კანონი იერარქიულად უფრო მაღლა დგას და ფაქტობრივად აჩერებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოქმედებას, მაგრამ ამავდროულად არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებას იმის შესახებ, რომ "არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე".

---

<sup>16</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბრის კანონი № 1106, პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997 წ., გვ. 21.

ასევე ერთობ ბუნდოვანია საკონსტიტუციო ცვლილების 86-ე მუხლის მე-2 პუნქტის რედაქციაც. მოსამართლის უვალოდ დანიშვნასთან დაკავშირებით გაუგებარია, რომელი კანონით დადგენილ და რა ასაკის მიღწევაზეა საუბარი ან უვალოდ განწესება როგორ შეიძლება უკავშირდებოდეს რაიმე დადგენილ ვადას. ამასთან, სამ წლამდე განსაზღვრული ვადით მოსამართლის დანიშვნის შესაძლებლობის დაშვება აზრს აკარგვინებს უვალოდ განწესების დემოკრატიულ იდეას<sup>17</sup>.

ასევე, უდავოდ გასათვალისწინებელია საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ქარტიის მოთხოვნა დისციპლინური პასუხისმგებლობის სამართალწარმოების დანერგვის თაობაზე, რომელიც არ ხელყოფს მოსამართლის დამოუკიდებლობას. ამით არის გამართლებული მოსამართლეთა დისციპლინური საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობა, მაგრამ სტატისკის გამოქვეყნება, ვფიქრობ, საჭიროა, თუნდაც მოსახლეობის რწმენის აღსადგენად და იმის საილუსტრაციოდ, რომ ამგვარ მოვლენებს ბრძოლა აქვს გამოცხადებული თავად სასამართლო ხელისუფლების მიერ.

სასამართლოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს ის, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას არ უნდა შეეძლოს მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლება მათი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში. ეს განმტკიცებული უნდა იყოს კანონით და აღიარებული იყოს პრაქტიკაშიც.

ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მოთხოვნაზე, რომ ეროვნული სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს როგორც აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, ასევე მხარეებისაგან<sup>18</sup>. დამოუკიდებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშნად ევროპულმა სასამართლომ დაასახელა მოთხოვნა, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება სავალდებულო უნდა იყოს

---

<sup>17</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", 2010 წლის 15 ოქტომბერი, №3710, სსმ I, №62, 05.11.2010 წ., მუხ. 379.

<sup>18</sup> იხ. Campbell and Fell v. the United Kingdom. ევროპული სასამართლოს 1984 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება. [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge), უკანასკნელად ნანახი იქნა 13.04.09 წ.

შესასრულებლად<sup>19</sup>. ეროვნულ სასამართლოს არ გააჩნია დამოუკიდებლობის აუცილებელი ხარისხი, თუკი იგი სავალდებულოდ აღიარებს მთავრობის მიერ მიცემულ მოსაზრებას იმ ხელშეკრულების დებულებების განმარტებასთან დაკავშირებით, რომლის ინტერპრეტაცია და განმარტებაც მან უნდა მოახდინოს.

დემოკრატიული და სამართლებრივი ქვეყნის არსებობა გულისხმობს სრულყოფილებასთან მიახლოებულ კანონმდებლობის შემქმნას. მრავალწლიანმა ისტორიულმა წარსულმა დაადასტურა, რომ მიუხედავად არაერთი ქვეყნის კანონმდებლების გულმოდგინე მცდელობისა, ვერ შეიქმნა ისეთი სამართლის სისტემა, რომელიც დროის ცვალებადობას გაუმღებდა. როგორც საკოდიფიკაციო მოღვაწეობის გააქტიურების ორსაუკუნოვანი ისტორია ადასტურებს, შეუძლებელია ისეთი კანონის მიღება, რომელსაც ხარვეზი არ ექნება. უზადო და უხარვეზო კანონის შემუშავება უტოპიაა, აღნიშნავს ლადო ჭანტურია საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში და ძნელია არ დავეთანხმო, მით უფრო, რომ იგივე მოსაზრებას იზიარებს საქართველოს კანონმდებლობაც. ამიტომ კვლავ უნდა გაგრძელდეს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა აღნიშნულ პრობლემათა გამოსწორების მიზნით.

## *1.2. მიუკერძოებელი სასამართლო*

დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება აუცილებელია სამართლისა და კანონის უზენაესობის პრინციპის დასამკვიდრებლად. მოსამართლეები მიუკერძოებელი უნდა იყვნენ კამათში მონაწილე მხარეების მიმართ და არ უნდა ემორჩილებოდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების ზეწოლას. მათ უნდა შეეძლოთ საქმის ყველა გარემოების განხილვა და კანონის გამოყენება რაიმე შეზღუდვის, გავლენის, განზრახვის, ზეწოლის, მუქარის, ან პირდაპირი, თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე ნებისმიერი მხარისაგან და ნებისმიერი მიზეზით. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლენი დამოუკიდებელი უნდა იყვნენ სხვა მოსამართლეების, ზემდგომი

---

<sup>19</sup> იხ. Van de Hurk v. the Netherlands 1994 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება. [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge), უკანასკნელად ნანახი იქნა 13.04.09 წ.

პირების, აგრეთვე, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან.

სასამართლო მიუკერძოებლობა გულისხმობს არა მარტო მოსამართლეთა ან მსაჯულთა სუბიექტურ მიუკერძოებლობას, არამედ ობიექტურ მიუკერძოებლობასაც. მოთხოვნა სასამართლოს მიუკერძოებლობის შესახებ გარკვეულწილად ავსებს დამოუკიდებლობის მოთხოვნას, განსაკუთრებით მხარეებთან მიმართებაში. იგი თანაბრად მოქმედებს როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებზე. სასამართლო ამ საკითხს ორ ასპექტად განიხილავს:

- არის თუ არა სასამართლო სუბიექტურად დამოუკიდებელი, რაც მისი წევრების მხარეთაგან პერსონალურ დამოუკიდებლობას გულისხმობს.

- ობიექტური თვალსაზრისით, სასამართლო საკმარისად მიუკერძოებელი ჩანს თუ არა და მოცემულ სიტუაციაში მიუკერძოებლობის არსებული გარანტიები გამორიცხავს თუ არა ამ საკითხზე ნებისმიერ კანონიერ ეჭვს.

იმისათვის რომ სასამართლო ჩაითვალოს მიკერძოებულად, ევროპულმა სასამართლომ საქმის განხილვისას, მოსამართლეთა ან მსაჯულთა სუბიექტური ან ობიექტური მიკერძოება უნდა დადგინოს.

*სუბიექტური მიკერძოების* დასადგენად, საჭიროა ფაქტები, რომლებიც დაამტკიცებენ, რომ სასამართლოს წევრი მოქმედებდა მიკერძოებით მხარის ინტერესების საწინააღმდეგოდ<sup>20</sup>.

საქმეში *"Hauschildt v. Denmark"* სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის, კერძოდ მიუკერძოებლობის, დებულების დარღვევას, რადგანაც მოსამართლეს, რომელიც საქმეს იხილავდა, მონაწილეობა ჰქონდა მიღებული წინა სასამართლო ეტაპზე განმცხადებლისათვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების გადაწყვეტილების გამოტანაში. ხსენებულმა მოსამართლემ წინა სასამართლო გადაწყვეტილებათა გამოტანის 9 შემთხვევაში მიუთითა განსაკუთრებით ძლიერ ეჭვზე, რომ განმცხადებელი დამნაშავე იყო. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ

---

<sup>20</sup> იხ. Hauschildt v. Denmark 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება. [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge), უკანასკნელად ნანახი იქნა 13.04.09 წ.

გადაწყვიტა, რომ განმცხადებლის შიში, წინასწარ ჩამოყალიბებულ მრწამსთან და მიკერძოებასთან დაკავშირებით, ობიექტურად გამართლებული იყო.

ასეთსავე მაგალითს წარმოადგენს საქმე *"Ferrantelli and Santangelo v. Italy"*, სადაც სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა იმ მოტივით, რომ სააპელაციო კოლეგიის თავმჯდომარე, რომელიც იხილავდა განმცხადებლის სააპელაციო საჩივარს, მონაწილეობას იღებდა განმცხადებლის მიერ ჩადენილი ქმედების თანამონაწილის მსჯავრდებაში. თანამონაწილესთან დაკავშირებით გამოტანილი განაჩენი მოიცავდა მრავალ მინიშნებას განმცხადებლის ხსენებულ დანაშაულში მონაწილეობაზე. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, რომლითაც მსჯავრი დაედო განმცხადებელს, იშველიებდა მრავალ ციტატას წინა განაჩენიდან, რომელიც ეხებოდა და მსჯავრს სდებდა განმცხადებლის თანამონაწილეს. სტრასბურგის სასამართლომ ხსენებული ფაქტობრივი გარემოებები საკმარისად ჩათვალა იმისათვის, რათა განმცხადებლის შიში, მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, გამართლებულად ჩაეთვალა.

სასამართლოები არა მხოლოდ უფლებამოსილნი უნდა იყვნენ თავად განსაზღვრონ სასამართლო შედეგები, არამედ სახელმწიფოს არ უნდა შეეძლოს იურისდიქციის თვითნებურად გადაცემა სხვადასხვა სახის სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის. პრინციპი, რომელიც ხაზს უსვამს დებულებას დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ, არის ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, მაგრამ არც ევროპული კონვენცია და არც მისი საზედამხედველო ორგანოები არ მიუთითებენ იმ საშუალებებზე, რომლითაც უნდა შესრულდეს ეს მოთხოვნა. თუმცა, ევროპული სასამართლო პრაქტიკიდან ნათელი ხდება, რომ მოსამართლეები არ შეიძლება ვალდებულნი იყვნენ გაითვალისწინონ ადმასრულებელი ხელისუფლების მიერ ცალკეული კანონებისათვის მიცემული ახსნა განმარტება. საქმეში ბომარტენი საფრანგეთის წინააღმდეგ<sup>21</sup> ევროპულმა

---

<sup>21</sup> იხ. *Beumartin v. France*. ევროპული სასამართლოს 1994 წლის გადაწყვეტილება. დონა გომიენი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოკლე მეგზური. თბ. 2000 წ. გვ. 68

სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა, რადგან შიდა სასამართლომ სთხოვა საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ხელშეკრულების ახსნა-განმარტება და მიწოდებულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით სარჩელი არ დააკმაყოფილა.

საქმეში "დეკუბერი ბელგიის წინააღმდეგ"<sup>22</sup> ევროპული სასამართლოს მხრიდან მიუღებლად იქნა მიჩნეული ერთი და იმავე პირის მიერ მოსამართლისა და გამომძიებლის თანამდებობის შეთავსება.

საქმეში "პიერსაკი ბელგიის წინააღმდეგ"<sup>23</sup> მიუკერძოებლობა, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, როგორც საქმესთან დაკავშირებით წინასწარი რწმენის და მიკერძოების უქონლობა.

**ობიექტური მიკერძოებისას** დასადგენია მოსამართლის ქცევის გარდა, არსებობს თუ არა სხვა ფაქტები, რომლებიც ასაბუთებენ ეჭვებს მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით არ მოითხოვება სასამართლო ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. თუმცა, თუ რომელიმე ქვეყანა შემოიღებს ამ ინსტიტუტს, მან უნდა დაიცვას დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ დადგენილი მოთხოვნები. საქართველოში ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი 2010 წლის 01 ოქტომბრიდან მოქმედებს<sup>24</sup>, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსამართლეების მსგავსად, მსაჯულებიც ვალდებულნი არიან იყვნენ დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა მსაჯულის რასისტულ გამონათქვამზე საქმეში "რემლი

---

<sup>22</sup> იხ. DeCubber v. Belgium. ევროპული სასამართლოს 1984 წლის გადაწყვეტილება. [www.coe.ge](http://www.coe.ge) უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 13.12.2010 წ.

<sup>23</sup> იხ. Piersack v. Belgium. ევროპული სასამართლოს 1982 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება. [www.coe.ge](http://www.coe.ge) უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 13.12.2010 წ.

<sup>24</sup> იხ. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ. 190.

საფრანგეთის წინააღმდეგ<sup>25</sup> და დაადგინა მე-6 მუხლით გათვალისწინებული მიუკერძოებელი სასამართლოს უფლების დარღვევა. საქმის ძირითადი შინაარსი შემდეგში მდგომარეობდა: ალჟირელი წარმოშობის ორი პატიმარი შეეცადა ციხიდან გაქცევას, რა დროსაც დაიღუპა ერთ-ერთი მცველი. ორივე პატიმარს ბრალი დაედო განზრახ მკვლელობისათვის და საქმე განსახილველად გადაეცა ასიზების სასამართლოს. სასამართლო პროცესის დაწყებიდან მე-2 დღეს ბრალდებულის ადვოკატებმა სასამართლოს მიმართეს თხოვნით, ოფიციალურად დაეფიქსირებინათ ერთ-ერთი მსაჯულის რასისტული გამონათქვამი, რომელიც გაიგონა დაინტერესებულმა პირმა. სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან ფაქტი არ მომხდარა სასამართლოს დარბაზში და არც მსაჯულის შეცვლა შეიძლებოდა იმ ეტაპზე, რადგან ისინი უკვე შერჩეულები იყვნენ.

ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის მოსაზრება, თითქოს ასიზების სასამართლოს იმ ეტაპზე აღარ შეეძლო ემსჯელა სასამართლოს მიუკერძოებლობაზე, და განაცხადა, რომ, არათუ უნდა ემსჯელა, არამედ ვალდებულიც იყო გამოეკვლია ეჭვქვეშ დაყენებული მსაჯულის მიუკერძოებლობა და, რომ მიუკერძოებლობის მოთხოვნა თანაბრად შეეხება პროფესიონალ და არაპროფესიონალ მოსამართლეებს, ასევე მსაჯულის გამონათქვამს – “მე რასისტი ვარ”, შეეძლო საფუძვლიანი ეჭვი შეექმნა სასამართლოს მიუკერძოებლობაზე. სასამართლოს უარით კი, შეემოწმებინა მსაჯულის მიკერძოების ფაქტები, დამატებითი საფუძველი შექმნა სასამართლოს მიუკერძოებლობაში დასაეჭვებლად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება გულისხმობს უფლებას მიუკერძოებელ და ნდობით აღჭურვილ სასამართლოზე. სასამართლო ვერ ჩაითვლება მიუკერძოებელ სასამართლოდ, თუკი მისი მიუკერძოებლობა ხალხის თვალში საფუძვლიან ეჭვს წარმოშობს და ნდობას ვერ იმსახურებს<sup>26</sup>.

---

<sup>25</sup> იხ. Remli v. France. ევროპული სასამართლოს 1996 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება; ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი, თბ 2002 წელი, შემდგენელი-ევა გოცირიძე.

<sup>26</sup> იხ. Remli v. France. ევროპული სასამართლოს 1996 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება; გვ 59.



საქმეში "გოჩმენი თურქეთის წინააღმდეგ"<sup>27</sup> მომჩივანი განმარტავდა, რომ სახელმწიფო უშიშროების სასამართლო არ არის „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო“, რადგან მისი საქმის განხილვაში ნაწილობრივ მონაწილეობდა სამხედრო მოსამართლე.

მოსარჩელის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც იხილავდა სახელმწიფო უშიშროების სასამართლო ორი სამოქალაქო და ერთი სამხედრო მოსამართლის შემადგენლობით, ამ უკანასკნელის შეცვლამდე. სისხლის სამართლის დევნიდან დაახლოებით ექვსი წლისა და შვიდი თვის განმავლობაში რამდენიმე სასამართლო მოსმენა მიემდვნა საქმის არსებითად განხილვას, მათ შორის: სასამართლო სხდომის დროს დაიკითხნენ მოწმეები, მოსარჩელემ გააკეთა მთელი რიგი განცხადებებისა და შუამდგომლობებისა, მიღებულ იქნა მრავალი პროცედურული აქტი. ეს აქტები მომავალში არ შეცვლილა ისე მოხდა მათი გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღებისას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სამხედრო მოსამართლის პროცედურის ფინალურ ნაწილში შეცვლა ვერ შეძლებდა, გაეფანტა მოსარჩელის კანონზომიერი ეჭვები სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

ევროპული სასამართლოს აზრით ის ფაქტი, რომ სამოქალაქო პირი წარდგა იმ სასამართლო შემადგენლობის წინაშე, რომლის ერთი წევრი იყო სამხედრო ჩინის მქონე, სერიოზულ ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას, რომლისკენაც ყველა დემოკრატიული საზოგადოების მართლმსაჯულება უნდა ისწრაფოდეს. რაც ნიშნავს იმას, რომ მართლმსაჯულება, რომლის მიმართაც გამოთქმულია პრეტენზია – დამოუკიდებელი იყოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან სამივე ეტაპზე, კერძოდ: გამოძიების, სასამართლო პროცესისა და განაჩენის გამოტანის დროს, როცა სამხედრო მოსამართლე მონაწილეობს ერთი ან რამდენიმე საპროცესო აქტის შედგენასა თუ მიღებაში, რომელიც შემდგომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების

---

<sup>27</sup> იხ. *Göçmen v. Turkey*. ევროპული სასამართლოს 2006 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, წიგნი V, ევრო საბჭო 2008 წელი. გვ 64

დროს ძალაში რჩება და მხედველობაშია მიღებული, ბრალდებულს, ბუნებრივია, უჩნდება ეჭვი მთლიანად სამართალწარმოების კანონიერების მიმართ, თუკი შემდგომ სასამართლოში საქმის განხილვის პროცესმა თავად არ გაფანტა ეს ეჭვები. ის ფაქტი, რომ სამხედრო მოსამართლემ მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო პირის მიმართ აღძრული საქმის სასამართლო განხილვასა და ამ ინსტანციის მიერ მიღებულ რაიმე სამართლებრივ აქტში, მთლიანად სასამართლო პროცედურის შესახებ ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქმე არ განხილულა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

საქმე: ”პეროტე პალონი ესპანეთის წინააღმდეგ”<sup>28</sup> მომჩივანი, რომელიც იყო ეროვნული თავდაცვის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ოპერატიული ქვეგანყოფილების უფროსი, თანამდებობიდან გამომდინარე, მისთვის ხელმისაწვდომი იყო ზოგიერთი დოკუმენტი, რის გამოც წაეყენა ბრალდება ქვეყნის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის შესახებ ინფორმაციის გახმაურების თაობაზე. მომჩივნის მიმართ დაიწყო სასამართლო გამოძიება. ცენტრალურმა სამხედრო სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო, მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამასთან, ორმა მოსამართლემ იმათგან, ვინც მომჩივანი დამნაშავედ ცნო, კერძოდ თავმჯდომარემ და მომსენებელმა მოსამართლემ, მანამდე მონაწილეობა მიიღეს სასამართლოს სხვა შემადგენლობის მუშაობაში, რომელმაც დაამტკიცა დადგენილება მისთვის ბრალდების წაყენების შესახებ და განახორციელა სხვა პროცესუალური მოქმედებანი, მათ შორის – მომჩივნის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელება.

ევროპული სასამართლოს აზრით, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის თავმჯდომარემ და ერთ-ერთმა მოსამართლემ მანამდე მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საპროცესო მოქმედებაში, მათ შორის მომჩივნის შუამდგომლობის უარყოფისა და მისთვის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, წარმოშვა საფუძვლიანი ეჭვი სასამართლოს ამ

---

<sup>28</sup> იხ. Perote Pellon v. Spain. ევროპული სასამართლოს 2002 წლის 25 ივლისის განჩინება. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი, თბ 2005 წ. რედაქტორი-კონსტანტინე კემულარია. გვ 296

შემაღვანელების მიუკერძოებლობის მიმართ. შესაბამისად, დაასკვნა, რომ დაირღვა მომჩივნის უფლება მიუკერძოებელ სასამართლოზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (1999 წლის რედაქციით)<sup>29</sup> - აღკვეთის ღონისძიების სახის განმსაზღვრელ მოსამართლეს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო საქმის არსებით განხილვაში, რაც ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, ზემოთ განხილული მაგალითების გათვალისწინებით, ევროპული კონვენციით აღიარებული უფლების უხეშ დარღვევას წარმოადგენდა.

საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილია პირის უფლება-სისხლის სამართლის საქმე განიხილოს იმ მოსამართლემ, რომლის განსახილველიც არის იგი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ასევე დადგენილია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: საგამომძიებლო ქვემდებარეობა, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის პროცედურები.<sup>30</sup> შესაბამისად, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი მოქმედებს სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე, განსაკუთრებით-სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას. იმისთვის რომ უზრუნველყოფილ იქნეს შეჯიბრებითობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავს ამა თუ იმ პირის მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, ანუ წარმოადგენს აცილების (თვითაცილების) საფუძველს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1999 წლის რედაქციით)<sup>31</sup> „მოსამართლე მონაწილეობას ვერ მიიღებს საქმის განხილვაში, თუ იგი წინათ

---

<sup>29</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 - სსმ I, №16(23), 14.05.1999 წ., მუხ.65.

<sup>30</sup> იხ. Korkelia, Konstantin and et al, - Competibility of Georgian legislation with the standarts of the European convention on human rights and its protocols. Konstantin Korkelia, Nana Mchedlidze, Aleksander Nalbandov, (Gam) – Council of Europe, European Commission. Tb. 2005.

<sup>31</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 - სსმ I, №16(23), 14.05.1999 წ., მუხ.65.

მონაწილეობდა იმავე საქმის წარმოებაში, როგორც გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო სხდომის მდივანი“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი, „მოსამართლე რომელიც მონაწილეობდა პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოებში ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვაში, მონაწილეობას ვერ მიიღებს საქმის შემდგომ განხილვაში“<sup>32</sup>.

დღესმოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის 59-ე მუხლში (ძალაშია 2010 წლის 01 ოქტომბრიდან), რომელიც სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებებსა და აცილების საკითხებს არეგულირებს, განხორციელდა ცვლილება, თუმცა აღკვეთის ღონისძიების სახის განმსაზღვრელ მაგისტრანტ მოსამართლეს კვლავ რჩება თეორიული უფლება მონაწილეობა მიიღოს საქმის არსებით განხილვაში, რადგან აღნიშნულის ამკრძალავ დებულებას ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კვლავ არ ითვალისწინებს<sup>33</sup>. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრანტი მოსამართლის კომპეტენციას განეკუთვნება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა, თუმცა მაგისტრანტი მოსამართლის განსჯადობისთვის მიკუთვნებული აღნიშნული საკითხი მისი არ ყოფნისას ან იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიების ადგილი არ ემთხვევა დანაშაულის ჩადენის ადგილს, შეიძლება განიხილოს გამოძიების ადგილის მიხედვით შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლემ, ანუ აღკვეთის ღონისძიების საკითხს განიხილავს მოსამართლე, რომელსაც უფლება აქვს დაადგინოს განაჩენი იმავე საქმეზე. გარდა ამისა, ”საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტით სასამართლოს თავმჯდომარემ მაგისტრანტ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში<sup>34</sup>, რაც მოსამართლეს

<sup>32</sup> იხ. ზ.მეიშვილი, ო.ჯორბენაძე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები. თბილისი 2006, გვ. 259-260.

<sup>33</sup> იხ. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ.190.

<sup>34</sup> იხ. საქართველოს ორგანული კანონი ”საერთო სასამართლოების შესახებ”, №2257, სსმ I, №41, 08.12.2009 წ., მუხ. 300.

უფლებას აძლევს დაადგინოს განაჩენი საქმეზე, სადაც ბრალდებულის მიმართ აღკვეთი ღონისძიების საკითხი თავად გადაწყვიტა.

აქედან გამომდინარე უმჯობესი იქნებოდა საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლში სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებად ჩაიწეროს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის მიერ იმავე საქმეზე განაჩენის დადგენის აკრძალვა.

აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე ადამინის ძირითადი უფლების დარღვევის უამრავი პრაქტიკული მაგალითი მოიპოვება ქართულ სასამართლო გადაწყვეტილებებში. ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითიც კმარა, კერძოდ: საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ 2008 წლის 23 იანვარს იმსჯელა ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევის შესახებ, რომელშიც პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისას გაითვალისწინა გამოძიების მიერ შეგროვილი შემდეგი მტკიცებულება: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, დაზარალებულის წარმომადგენლის ჩვენება, მოწმის ჩვენებები, ამოღების ოქმი, ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება და სხვა მასალების ერთობლიობის შესაბამისად, ჩათვალა, რომ სახეზე იყო საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლები ბრალდებით გათვალისწინებული ქმედებისათვის ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის<sup>35</sup>. აღნიშნული მსჯელობა, ალბათ, განაჩენის დასადგენადაც საკმარისი იქნებოდა. საგულისხმოა, რომ მოსამართლე 72 საათში პირის დაკავებიდან უკვე უამრავ მტკიცებულებათა განხილვის შედეგად წინასწარ პატიმრობის შეფარდების აუცილებლობას ასე გულმოდგინედ ასაბუთებს, იგივე მოსამართლე კი 2008 წლის 27 აპრილს საქმის არსებითი განხილვის გზით იმავე პირის მიმართ ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს, ყველა იმ

---

<sup>35</sup> იხ. საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2008 წლის 23 იანვრის ბრძანება №10/ა-1.

მტკიცებულებაზე დაყრდნობით რითაც აღვეთი ღონისძიება შეუფარდა<sup>36</sup>.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ 2008 წლის 1 ნოემბერს, იმსჯელა რა ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე, შეუფარდა ორთვიანი წინასწარი პატიმრობა<sup>37</sup>, იმავე მოსამართლემ 2008 წლის 24 დეკემბერს დააყენა განაჩენი<sup>38</sup>.

ასევე, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ 2008 წლის 18 ივნისს იმსჯელა ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეული დაპატიმრების ბრძანების გაუქმების საკითხზე, რა დროსაც მივიდა დაპატიმრების ბრძანების ძალაში დატოვების დასკვნამდე, ვინაიდან არსებობს დასაბუთებული ვარაუდი მის მიერ ბრალდებით წარდგენილი დანაშაულის ჩადენაში<sup>39</sup>. სწორედ აღნიშნულმა მოსამართლემ, 2008 წლის 09 დეკემბერს დაადგინა საბოლოოდ განაჩენიც და პირი, ასევე წარმატებულად, იმავე არგუმენტებით სცნო დამნაშავედ<sup>40</sup>.

### **1.3. კანონიერება, საქვეყნოობა, უფლებამოსილება, დასაბუთებულობა**

სამართლიანობის იდეა მოითხოვს სამართლიანობისაკენ სწრაფვას არა მხოლოდ ზოგადად, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაშიც. ეს ნიშნავს, რომ კანონები სამართლიან ნორმებს უნდა შეიცავდეს, სამართლიან წესებს უნდა ადგენდეს და ამ ნორმათა გამოყენებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში

---

<sup>36</sup> იხ. საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2008 წლის 27 აპრილის განაჩენი №1/23.

<sup>37</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2008 წლის 1 ნოემბრის დადგენილება.

<sup>38</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2008 წლის 24 დეკემბრის განაჩენი №1/5268-08

<sup>39</sup> იხ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის დადგენილება №1-301.

<sup>40</sup> იხ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 09 დეკემბრის განაჩენი №1-301.

ხელისუფლების ორგანოთა ან სასამართლოთა მიერ სამართლიან გადაწყვეტილებამდე და შედეგებამდე უნდა მივყავდეთ. ”კანონები, რომელთა შედეგს კანონმდებელი კარგად ვერ განჭვრეტს, მისივე ზრახვებს ეწინააღმდეგება”<sup>41</sup>.

სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ ძირითად ნიშანს *კანონიერება* წარმოადგენს. ივ. ჯავახიშვილის მითითებით სამართლის აღსანიშნავად ძველ ქართულ მწერლობაშიც და ამჟამადაც იხმარებოდა და იხმარება კანონი. კანონს კი ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა და სამართალს უდრიდა.<sup>42</sup> მისივე განმარტებით, სამართალი ნიშნავს ”იმას, რაც თვითთულ ერს კაცთა საზოგადო ყოფა-ცხოვრებისა და მოქმედება-დამოკიდებულებათა უზენაეს და ჭეშმარიტ განსაზღვრულ მცნებად მიაჩნია”.<sup>43</sup> ფრანგი მეცნიერის ჟან ბემლერის აზრით, კი ”კანონიერია ყველაფერი, რაც შეესაბამება პოლიტიკის დაწერილ კანონებს”<sup>44</sup>

უდავოა სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელობისათვის კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს არსებობა, თუმცა თავისთავად კანონიერი სასამართლო სამართლიან სასამართლოს არ ნიშნავს, რადგან სასამართლო შეიძლება იყოს კანონის საფუძველზე შექმნილი, კანონიერად დანიშნული მოსამართლეებით დაკომპლექტებული, კანონით განსაზღვრულ მიზანსაც ემსახურებოდეს, მაგრამ ზოგადად კანონი, ან მისი კონკრეტული ნორმა სამართლიანობის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდეს.

ევროპულმა სასამართლომ საქმეში – „ზელინსკი, პრადალი და გონზალესი საფრანგეთის წინააღმდეგ“<sup>45</sup> უსამართლოდ მიიჩნია კანონით განსაზღვრული უკუძალის მინიჭება ნორმაზე, რომელიც აუარესებდა განმცხადებლების მდგომარეობას, რადგან საკანონმდებლო აქტმა ძალზე მარტივად დააკანონა სახელმწიფოს პოზიცია მის წინააღმდეგ შეტანილ საქმეებში, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო

<sup>41</sup> იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, რედ. რ. ფეიქრიშვილი, თბ., 1994 წ. გვ. 656.

<sup>42</sup> იხ. ჯავახიშვილი, ივანე, თხზ. 12 ტომად, ტ. VI გვ. 24, თბ., 1982 წ.

<sup>43</sup> იხ. ჯავახიშვილი, ივანე, თხზ. 12 ტომად, ტ. VI გვ. 28, თბ., 1982 წ.

<sup>44</sup> ჟან ბემლერი, დემოკრატია, ანალიტიკური ნარკლვევი, თბ., 1998 წ.

<sup>45</sup> იხ. CASE OF ZELINSKI AND PRADAL AND GONZALEZ AND OTHERS v. FRANCE, ევროპული სასამართლოს 28.10.1999 წლის გადაწყვეტილება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, ტომი IV, ევროპის საბჭო, 2006 წელი.

დასრულებული. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საკანონმდებლო აქტმა შეცვალა გადაწყვეტილებები ერთხელ და სამუდამოდ და განამტკიცა მთავრობის პოზიცია, ვინაიდან აქტი პირდაპირ ითვალისწინებდა მის უკუქცევით მოქმედებას.

ევროპული სასამართლოს აზრით კანონმდებელს აქვს უფლებამოსილება სამოქალაქო სამართლის სფეროში მიიღოს უკუქცევითი ძალის მქონე დებულებები, რომლებიც არეგულირებს კანონიდან გამომდინარე უფლებებს, თუმცა მე-6 მუხლით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გამორიცხავს კანონმდებლის მხრიდან ნებისმიერ ჩარევას, გარდა იმისა, რომელიც ხდება ნამდვილად საერთო ინტერესის მიზნით – სამართალწარმოებაში, რომლის მიზანია დავის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების დადგენა. აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებამ კი მარტივად დააკანონა პროცესის დროს სახელმწიფოს მიერ გამოხატული პოზიცია. ევროპული სასამართლოს აზრით საქმის ფაქტობრივი გარემოებების განმხილველი სასამართლოების გადაწყვეტილებათა უმრავლესობა განმცხადებელთა სასარგებლოდ იყო. აღსანიშნავია, რომ მეცის სააპელაციო სასამართლომ საქმე გადაწყვიტა თავიდან ბოლომდე სოცლურუნველყოფის ოფისების თანამშრომელთა სასარგებლოდ, კოლმარის სააპელაციო სასამართლომ კი, კოლმარის სამეწარმეო სასამართლოსაგან განსხვავებით, უარყო სარჩელები.

ევროპული სასამართლო ვერ ხსნის, თუ რატომ იყო აუცილებელი საკანონმდებლო ჩარევა წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების არსებობისას, როდესაც პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. იგი მიიჩნევს, რომ ასეთი განსხვავებები დამახასიათებელია საფრანგეთის მსგავსი სასამართლო სისტემებისათვის, რომლებიც ეყრდნობა ტერიტორიული იურისდიქციის მქონე პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების ქსელს. ვინაიდან საკასაციო სასამართლოს როლი სწორედ ისაა, რომ გადაჭრას წინააღმდეგობანი ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს შორის, რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა გადაწყვეტილებას მიაღწევდა საკასაციო სასამართლო არსებული წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების არსებობისას იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი არ მიიღებდა საკანონმდებლო აქტს. ევროპული სასამართლოს აზრით, საქმის გარემოებები არ



იძლევა საშუალებას ამტკიცოს, რომ კანონმდებლის ჩარევა წინასწარგანჭვრეტადი იყო; პირიქით, ისინი განამტკიცებენ მოსაზრებას, რომ თავდაპირველი მიზანი შელახული იქნა, ვინაიდან დავა შეეხებოდა იმ ხელშეკრულების გამოყენებას, რომელიც სათანადო პროცედურების შესაბამისად განიხილეს და მიიღეს დაინტერესებულმა დამქირავებლებმა და პროფკავშირებმა.

ფრანგულ სისტემას, რომელშიც შედის საზოგადოების მომსახურების მართვა, გააჩნია სპეციალური სამთავრობო უფლებამოსილება და ექვემდებარება სამინისტროს ზედამხედველობას, არის ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს როლისა და ვალდებულებების გამოხატულება მისი მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის მიზნებისათვის, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს ევროპის სოციალური ქარტიიდან. შესაბამისად, შეუძლებელია არ დავასკვნათ, რომ კანონმდებელი ჩაერია საქმეში მაშინ, როდესაც სახელმწიფო იყო მიმდინარე პროცესის მონაწილე. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი სამართლიან სასამართლოსთან დაკავშირებით<sup>46</sup>.

იურისპრუდენცია შეისწავლის სახელმწიფოს მიერ დადგენილ პოზიტიურ სამართალს. სამართლის სისტემა, ზოგადად, სამართლიანია, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში. სახელმწიფოს მიერ ყველა ფორმალური წესების დაცვით მიღებული ნორმაც შეიძლება იყოს უსამართლო. ისტორია კანონიერი უსამართლობის ბევრ მაგალითს იცნობს. კანონიერი უსამართლობის პრობლემა დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალობას<sup>47</sup>.

სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების მნიშვნელოვანი ელემენტია სასამართლო განხილვის *საქვეყნობა*. ამ პრინციპის არსებობა არა მხოლოდ მხარეების, არამედ საზოგადოების ინტერესებშიც შედის. სასამართლო განხილვის საქვეყნობის პრინციპის რეალური მოქმედება

---

<sup>46</sup> იხ. CASE OF ZELINSKI AND PRADAL AND GONZALEZ AND OTHERS v. FRANCE, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული ტომი IV, ევროპის საბჭო, 2006 წელი. გვ. 354-356 პუნქტი 56-59.

<sup>47</sup> იხ. ხუბუა გიორგი, სამართლის თეორია, გამომცემელი "მერიდიანი", თბ., 2004 წ. გვ. 66.

განაპირობებს საზოგადოების ნდობის ხარისხს მართლმსაჯულებისადმი.

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლით: “სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ”, 2010 წლის ოქტომბრამდე მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება ყველა შემთხვევაში საქვეყნოდ ცხადდებოდა<sup>48</sup>, ხოლო საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (ამოქმედდა 2010 წლის 01 ოქტომბრიდან) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით კი “სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ”<sup>49</sup>.

აღნიშნულ დებულებას აღიარებს საერთაშორისო სამართალიც. 1950 წლის ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, მე-6 მუხლის პირველ ნაწილში ამბობს: “განაჩენი ცხადდება საჯაროდ”. აღნიშნული კონვენციის მოთხოვნაზე, რომ განაჩენი საჯაროდ უნდა გამოცხადდეს არ არის დაწესებული რაიმე შეზღუდვა და იგი მოქმედებს თავად სასამართლო სხდომის დახურულად მიმდინარეობის შემთხვევაშიც<sup>50</sup>.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის პრობლემა, რომელიც საქვეყნობისა და საჯაროობის ტერმინის არასწორ გამოყენებას შეეხება. საერთაშორისო სამართალში საქვეყნოობის ნაცვლად ხმარობენ საჯაროობის ტერმინს იგივე დატვირთვით, რაც გააჩნია საქვეყნოობას. შესაბამისად, საერთაშორისო აქტების ქართულ ენაზე თარგმნისას საქვეყნოობის ნაცვლად თარგმნიან საჯაროობას. ეს კი ტერმინოლოგიური თვალსაზრისით სერიოზული შეცდომაა.

საჯაროობის პრინციპს სისხლის სამართალწარმოებაში საქვეყნოობის პრინციპისაგან განსხვავებული შინაარსი გააჩნია. ამიტომ საქვეყნოობის ნაცვლად საჯაროობის ტერმინის ხმარება, სულ ცოტა, ტერმინოლოგიური უზუსტობაა. აღნიშნულ საკითხს

<sup>48</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი №1251, პარლამენტის უწყებანი, №13-14, 08.04.1998 წ., გვ. 31.

<sup>49</sup> იხ. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ.190.

<sup>50</sup> იხ. ევროპული სასამართლოს 1984 წლის 28 ივნისის დაგაწყვეტილება საქმეზე Campbell and Fell, Series A: Judgments and Decision, Volume 80, P. 42-43.

თავის დროზე გამოეხმაურა პროფესორი გ. ნადარეიშვილი, რომელიც მ.ს. სტროგოვიჩის ნაშრომზე (სისხლის სამართლის პროცესი) დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ ტერმინები საჯაროობა და საქვეყნოობა სხვადასხვა შინაარსისაა. კერძოდ, საჯაროობა ნიშნავს სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებას დაიწყონ წინასწარი გამოძიება დანაშაულის ნიშნების არსებობისას, მიუხედავად იმ მოქალაქეების და ორგანიზაციების ნებისა, რომელთა ინტერესებსაც უშუალოდ ეხება დანაშაული, ანუ საჯაროობა იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლის პროცესის წარმოება და მისი შედეგები დამოკიდებული არ არის იმაზე, საჭიროდ მიაჩნია თუ არა დაზარალებულს განაცხადოს დანაშაულის შესახებ, მიიღებს თუ არა იგი ამა თუ იმ ზომას თავისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. რაც შეეხება საქვეყნოობის ტერმინს, იგი ნიშნავს იმას, რომ სამსჯავრო განხილვა ხდება საქვეყნოდ, ღიად, ხალხის თანდასწრებით<sup>51</sup>.

საქართველოს “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი (მუხლი 13) ითვალისწინებს საქვეყნოობის ძირითადი უფლების მოთხოვნას და ადგენს, რომ:

1. *“სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე.*
2. *დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.*
3. *სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ.*
4. *სასამართლოს შენობაში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და ტრანსლაცია დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას ახორციელებს სასამართლო ან სასამართლოს უფლებამოსილი პირი. სასამართლოს შეუძლია გაავრცელოს თავის ხელთ არსებული სასამართლო პროცესის ფოტო-, კინო- და ვიდეოგადაღების მასალები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს. სასამართლო სხდომის სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა დაიშვება სასამართლოს (მოსამართლის) მიერ დადგენილი წესით. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს*

---

<sup>51</sup> იხ. ნადარეიშვილი. გ. საჯაროობა თუ საქვეყნოობა?// საბჭოთა სამართალი, 1988 წ. N3. გვ. 67-68.

სასამართლოს (მოსამართლის) მოტივირებული გადაწყვეტილებით”.<sup>52</sup>

როგორც უკვე ავლინებთ საჯაროობასა და საქვეყნოობას ტერმინოლოგიური თვალსაზრისით განსხვავებული დატვირთვა გააჩნია, თუმცა საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 85) და ”საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი (მუხლი 13) სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებას ითვალისწინებს საქვეყნოდ, ხოლო საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლი 10) იგივე მნიშვნელობით იყენებს განსხვავებულ ტერმინს - საჯაროს, რაც, ჩემი აზრით, ყოვლად დაუშვებელია. მიმაჩნია რომ ერთი და იგივე შინაარსის მატარებელი დებულებები განსხვავებული ტერმინებით არ უნდა არსებობდეს ქართულ კანონმდებლობაში, ამდენად აუცილებელია შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მოსამართლეთა უფლებამოსილება, რომელიც ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობისა და სამართლიანობის იდეის განხორციელების მიზნით არაერთხელ დაიხვეწა, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების ხარჯზე, ისე ცვლილებების გზით.

აღნიშნულ საკითხზე ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილი სავსებით არაორაზროვნად მიიჩნევს, რომ მოქმედი კანონმდებლობა აშკარად დასახვეწია, რის დასტურადაც მოჰყავთ მაგალითები საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან. იმსჯელა რა მითითებულ ”საკონსტიტუციო სასამართლომ, დაადგინა, რომ ხანმოკლე ვადით სასამართლო ხელისუფლების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებამ უარყოფითად იმოქმედა მოსამართლის დამოუკიდებლობაზე მაშინ, როდესაც, მოსამართლის ხანგრძლივი ვადით ან სიცოცხლის ვადით დანიშნვა დამოუკიდებლობის განმამტკიცებელი ფაქტორია. საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი მოხელე ნაკლები სოციალური დაცვით სარგებლობდა, ვიდრე 10 წლის ვადით განწესებული მოსამართლეები. საქმის არსებითად განხილვის განმავლობაში

---

<sup>52</sup> იხ. საქართველოს ორგანული კანონი ”საერთო სასამართლოების შესახებ”, №2257, სსმ I, №41, 08.12.2009 წ., მუხ. 300.

საკონსტიტუციო სასამართლომ გამოარკვია, რომ მოსამართლეთა 10 წლის ვადით დანიშვნა პრაქტიკაში მათი საწყისი 18-თვიანი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში ქცევის მიხედვით წყდებოდა. 2003 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ 85<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტი არაკონსტიტუციურად გამოაცხადა<sup>53</sup>.

სამწუხაროდ, საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორების ამგვარი შესაძლებლობა დღეისათვის შეზღუდულია, რადგან, როგორც 1.1 პარაგრაფში აღვნიშნეთ, მოსამართლის დროებითი დანიშვნის სამწლიან ვადას ახლა უკვე თავად კონსტიტუცია შეიცავს და მისი არაკონსტიტუციურად გამოცხადება შეუძლებელია. ეს კი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს და მის აღმოსაფხვრელად საჭიროა საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება.<sup>54</sup>

სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელოვანი ელემენტია **დასაბუთებული** სასამართლო გადაწყვეტილება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, გადაწყვეტილება საქმის განხილვის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოტანილი. გამონაკლის შემთხვევაში განსაკუთრებით რთული საქმეების მიმართ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება გადაიდოს, მაგრამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი სასამართლომ უნდა გამოაცხადოს იმავე სხდომაზე, რომელზეც დამთავრდა საქმის განხილვა. იმავდროულად სასამართლო აცხადებს, თუ როდის შეუძლიათ მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს გაეცნონ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული - გადაწყვეტილების

---

53 იხ. კ.კორკელია, ნ.მჭედლიძე, ა.ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბ., 2005 წ., გვ. 157, ასევე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26.02.2003 1/1/138,171,179,209 გადაწყვეტილება.

54 იხ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", 2010 წლის 15 ოქტომბერი, №3710, სსმ I, №62, 05.11.2010 წ., მუხ. 379.

დასაბუთების აუცილებლობა, ვრცელდება ადმინისტრაციულ სამართალწაროებაზე<sup>55</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ 2007 წლის 27 დეკემბრის განჩინებით, გააუქმა გასაჩვირებული გადაწყვეტილება, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრული იყო, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელი გახდა<sup>56</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს - კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი (მუხლი 259). სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში - ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, ვინაიდან უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო დასაბუთებული და ჯეროვანი. აპლიკანტი ნოდარ ჯღარკავა საქართველოს მოქალაქეა. დაიბადა 1939 წელს და ცხოვრობს ლეხანდრაოში. 1995 წელს მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო. 1998 წლის ივლისში გამოტანილ იქნა განჩინება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით ჯღარკავა ჩივის, რომ მას არ მიეცა გასაჩვირების საშუალება, რომლითაც ის ითხოვდა მორალურ და მატერიალურ კომპენსაციას.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა - ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა, რადგან უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ იყო საკმარისად დასაბუთებული და ჯეროვანი. პირველ რიგში სასამართლომ უნდა გაარჩიოს „რეაბილიტიცაცია“ და

---

55 იხ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2352, სსმ I, №39 (46), 1999 წელი, მუხ. 190.

56 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, თბ., 2008 წ. გვ.151-158

„უფლებების აღდგენა“ ყოველგვარი განმარტების მიცემის გარეშე<sup>57</sup>.

კონვენციის დარღვევა დაადგინა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ტატიშვილი რუსეთის წინააღმდეგ“ - განმცხადებლის აზრით პროცესი სამართლიანი არ იყო, რადგან შიდასახლმწიფო სასამართლოებმა თავიანთი დასკვნები დააფუძნეს რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო მიმოსვლის „ხელშეკრულებას“, რომელიც არ არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ბინის მესაკუთრის წარმომადგენელმა განმცხადებლის ბინაში გადასვლაზე მესაკუთრის წერილობითი თანხმობა წარადგინა, სასამართლოები დაჟინებით აცხადებდნენ, რომ განმცხადებლის ბინაში ცხოვრების უფლება სათანადოდ არ იყო დადგენილი. მოსამართლეებმა ფაქტებს არასწორი განმარტება მისცეს, რათა მისი საჩივარი არ დაეკმაყოფილებინათ.

ევროპული სასამართლოს აზრით, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყოს სათანადოდ დასაბუთებული, მაგრამ მისი არაადეკვატური დასაბუთება არც მოსკოვის საქალაქო სასამართლოს არ გამოუსწორებია, რომელმაც უბრალოდ მოიწონა უფრო დაბალი ინსტანციის ორგანოს მიერ წარმოდგენილი საფუძვლები. ვინაიდან განმცხადებლის სააპელაციო სარჩელში მითითებული იყო, რომ რაიონული სასამართლოს დასკვნები მოკლებული იყო ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საფუძველს, საქალაქო სასამართლოს მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცია თავისი საკუთარი დასაბუთებისათვის. სწორედ ამიტომ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის სასამართლოს გადაწყვეტილება ტატიშვილის საქმეზე არ იყო ჯეროვნად დასაბუთებული.

---

<sup>57</sup>CASE of JGARKAVA v. GEORGIA (№7932/03; 02/24/2009), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე, კრებულის შემდგენელი თინათინ ბეჟანიშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ. 2010 წ. გვ. 157.

#### 1.4. კანონის გარეშე პასუხისმგებლობის და ორმაგი დასჯის დაუშვებლობა

სამართლიანობის მოთხოვნის დარღვევა იქნება *კანონის გარეშე სასჯელის დანიშვნა ან ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ დასჯის გამოყენება*.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით – "არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს."<sup>58</sup>, აღნიშნული ნორმა თეორიულად შესაბამისობაშია ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის პირველ პუნქტთან, რომლითაც - "არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი ქმედებისათვის ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად ეროვნულ ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით, არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს."<sup>59</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 28 აპრილს შესულ ცვლილებამდე,<sup>60</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული დანაშაული - ყაჩაღობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, ამავე კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მიეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რადგან სანქციის სახით ითვალისწინებდა თ/აღკვეთას ვადით ექვსი წლიდან თხუთმეტ წლამდე. ცვლილებით კი, ამ დანაშაულისათვის მაქსიმალური ზღვარი შემცირდა ცხრა წლამდე, რის გამოც, სსკ-ის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, წარმოადგენს მძიმე კატეგორიის დანაშაულს.

<sup>58</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, საქართველოს პარლამენტის უწყებები, №№31-33, მუხ. 668.

<sup>59</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო, რომი, 1950 წ.

<sup>60</sup> იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, № 2937, სსმ I, №14, 15.05.2006 წ., მუხ. 90.



ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის ცვლილება დროში საკმაოდ (დაახლოებით ექვსი თვით) უსწრებს ამავე კოდექსის მე-18 მუხლის ცვლილებას (2000 წლის 5 მაისის რედაქცია)<sup>61</sup>, რომლითაც დასჯადი იყო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება, 2006 წლის დეკემბრის ცვლილებით კი დასჯადად ითვლება როგორც მძიმე ისე განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, "რაც არის სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში ქმედების დანაშაულებრიობის დაწესება, რადგან ამ კანონის ამოქმედებამდე ისჯებოდა მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება"<sup>62</sup>. სწორედ ამან გამოიწვია პრაქტიკაში მოსამართლეთათვის მძიმე შედეგები. უზენაეს სასამართლოში 2006 წლის მაისის თვეში მიღებულ იქნა ორი გადაწყვეტილება, რომლითაც ახლად გამოვლენილი გარემოების გათვალისწინებით, მსჯავრდებულთა მიმართ ბრალდების ამ ეპიზოდში შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "გ" ქვეპუნქტისა<sup>63</sup>. თუმცა, საინტერესო მას შემდეგ მოხდა, როდესაც მოსამართლეები მიხვდნენ, რომ ამ დანაშაულისათვის 150 პირზე მეტი იხდიდა სასჯელს, რაც განცხადებების სიმრავლით თვალშისაცემი შეიქნა. ამ ფონზე მეტად "საინტერესო" გამოსავალი იპოვეს, კანონმდებლებთან "იშუამდგომლეს" სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის დახვეწის მიზნით, ხოლო ცვლილების პარლამენტში მიღებამდე ყველა შესული საქმე შეაჩერეს. 2006 წლის დეკემბერში<sup>64</sup> მოთხოვნილმა ცვლილებამაც აღარ დააყოვნა, რის საფუძველზეც ყველა შესული განცხადება უსაფუძვლობის გამო აღარ დაკმაყოფილდა.

საქართველოში, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციის მიზნით წლების წინ დაწყებული და დღემდე მიმდინარე რეფორმა, იმის ნიმუშია, რომ ქართული კანონმდებლობის საქმიანობაში მყარ ჩვეულებად ჩამოყალიბდა

<sup>61</sup> იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №292 – სსმ I, №18, 15.05.2000 წ., მუხ.45.

<sup>62</sup> იხ. ტურავა, მერაბი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, იურისტის ბიბლიოთეკა, მერვე გამოცემა, გამომცემლობა "ზონა კაუზა" თბილისი, 2010 წ. გვ. 27.

<sup>63</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.06.2006 წ. №2 კოლ. გადაწყვეტილება.

<sup>64</sup> იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №4213 - სსმ I, №1, 03.01.2007 წ., მუხ.16

პრაქტიკა, როცა სახელმწიფო მოწყობის პრინციპული საკითხების გააზრების გარეშე, ზედაპირულად, ხშირად სპონტანური კერძო მოსაზრებებიდან გამომდინარე ხორციელდება საკანონმდებლო ცვლილებები<sup>65</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად - *”სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა”*, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კი - *”თუ რამდენჯერმე შეიცვალა სისხლის სამართლის კანონი, გამოიყენება მათ შორის ყველაზე მსუბუქი”*.

ჩვენს უახლეს ისტორიაში, გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევისა, აღსანიშნავია კიდევ ერთი კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეცდომა. კერძოდ, ძველი 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული უმაღლესი სასჯელით - სიკვდილით დასჯით მსჯავრდადებული პირები, სიკვდილის მოლოდინში მაგანთა შეცდომების გამო ძალიან საინტერესო სამართლებრივ ორომტრიალში აღმოჩნდნენ. ჯერ იყო და 1997 წელს სიკვდილით დასჯის გაუქმების გამო (რაც ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის, ადამინის უფლებების დაცვის კუთხით უდიდესი წინგადადმული ნაბიჯი იყო), საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ყველა მათგანს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება - სიკვდილით დასჯა 20 წლით თ/აღკვეთით შეეცვალა, მაშინ როდესაც, მთავარი სამართლებრივი, კონსტიტუციური ნორმით (კონს. 84-ე მუხლის მე-5 ნაწილი), სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა სასამართლოსავე გზით არის შესაძლებელი, ასევე, 1997 წელს მოქმედი *”შეწყალების შესახებ”* საქართველოს კანონი სიკვდილმისჯილთა შეწყალების შემთხვევაში მათი სასჯელების უზენაესი სასამართლოს გზით გადახედვას და შეცვლას ითვალისწინებდა.

ამ შეცდომების გამოსწორება მალევე, ერთი წლის თავზე, თავად უზენაესი სასამართლოს პლენუმმა სცადა, რომლის გადაწყვეტილებით, პრეზიდენტის მიერ ნაწყალობები 20 წლით თ/აღკვეთა 15 წლით შემცირდა. მიზეზი დასაბუთებული იყო სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ამსუბუქებს სასჯელს, აქვს

---

<sup>65</sup> იხ. მელქაძე, ოთარი, ქართული კონსტიტუციონალიზმის შავი ყუთი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXIV, თბ., 2007 წ. გვ. 156

უკუბალა. 1997 წელს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ზღვარი შეადგენდა 15 წელს. თუმცა, გადაწყვეტილებას გაგრძელება არ მოჰყოლია, სახეზე მივიღეთ ერთი მსჯავრდებული, რომელიც კანონის ფარგლებში მოექცა, დანარჩენი 45 პრეზიდენტის ნაწყალობები 20 წლიანი პატიმრობის ქვეშ რჩებოდა, მანამდე, სანამ ისევ უზენაესი სასამართლო, ოღონდ ამჯერად თერთმეტი წლის დაგვიანებით, არ მიხვდა და კვლავ თავიდან არ დაიწყო ყველა საქმის გადახედვა<sup>66</sup>.

### *1.5. უდანაშაულობის პრეზუმფცია*

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, "ადამიანის დამნაშავეობა-უდანაშაულობის საკითხს ყოველთვის ეჭირა და უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი იურისპრუდენციაში. ამ პრინციპის მნიშვნელობა აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლით. უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც უმნიშვნელოვანესი პრინციპი, კონსტიტუციის მე-18 და 42-ე მუხლებთან ერთად წარმოადგენს ე.წ. საპროცესო ძირითად უფლებათა ბლოკის შემადგენელ ნაწილს, რომლებიც ეხება და შეიცავენ ადამიანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების განმსაზღვრელ პრინციპებს."<sup>67</sup>

კონსტიტუციის მე-40 ე მუხლის მიხედვით:

*“1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.*

*2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.*

---

<sup>66</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილებები 2008 წელი - №84/საზ; №384/საზ; №345/საზ; №139/საზ; №372/საზ; №392/საზ.

<sup>67</sup> იზორია ლევანი, კორკელია კონსტანტინე, კუბლაშვილი კონსტანტინე, ხუბუა გიორგი - საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, გამომცემელი მერიდიანი, თბ., 2005 წ. გვ. 374.

3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებას. ყოველგვარი ეჭვი რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ”.

უდანაშაულობის პრეზუმფცია ერთ-ერთი უძველესია სისხლის სამართალში დემოკრატიული საწყისების შეტანის პროცესში. დღეს იგი დაფიქსირებულია მრავალ საერთაშორისო-სამართლებრივ და ყველა ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივ აქტში. საერთაშორისო აქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ<sup>68</sup> და ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ<sup>69</sup> ერთნაირად აცხადებენ, რომ თითოეული პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, მიიჩნევა უდანაშაულოდ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. დანაშაულის ჩადენის დამტკიცება მთლიანად ევალება ბრალმდებელ მხარეს.

ამდენად, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად უნდა ჩაითვალოს სასამართლო პროცესის დასრულებამდე გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, რომელშიც ბრალდებული განაჩენის გამოტანამდე დამნაშავედაა მოხსენიებული.<sup>70</sup>

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით - „ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, უდანაშაულოდ ითვლებოდეს მანამ, სანამ მისი ბრალეულობა დადგენილი არ იქნება კანონის შესაბამისად საჯარო სასამართლოს მიერ, რომელზედაც ის უზრუნველყოფილი იქნება დაცვის ყველა საჭირო საშუალებით”.

---

<sup>68</sup> იხ. საერთაშორისო აქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ მე-14 მუხლი, მე-2 პუნქტი, 1966 წელი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

<sup>69</sup> იხ. European Convention on Human Rights, as amended by protocol №11. of article 6, 1950, Council of European.

<sup>70</sup> ამგვარი პოზიცია გაზიარებულია სხვა ავტორების მიერაც, მაგ., იხ. იზორია ლევანი, კორკელია კონსტანტინე, კუბლაშვილი კონსტანტინე, ხუბუა გიორგი - საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, გამომცემელი მერიდიანი, თბ., 2005 წ. გვ. 375-376.

უდანაშაულობის პრეზუმფცია წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო პროცესის უმნიშვნელოვანეს პრინციპსა და დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ქვაკუთხედს, ბუნებითი სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებულ წესს. მას შეხვდებით ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ადრეულ დოკუმენტებში, როგორც არის, მაგალითად, 1789 წლის დეკლარაცია ადამიანის უფლებათა შესახებ<sup>71</sup>.

ბრალდებულს უფლება აქვს, მიჩნეულ იქნეს უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დადასტურდება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული პროცესის შედეგად. ეს უფლება არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება ადამიანის პატიმრობაში აყვანა სასამართლო პროცესის დაწყებამდე – დაკავების შემდეგ მისი პატიმრობაში გაჩერება კანონიერია ადამიანის უფლებათა კონვენციების თანახმად, თუმცა უნდა ექვემდებარებოდეს კონტროლს. უდანაშაულობის პრეზუმფცია უმთავრესად არის საპროცესო გარანტია – მოსამართლეებმა სასამართლო გარჩევა უნდა დაიწყონ ღია გონებით და არა წინასწარი განწყობით დასდონ ბრალი ბრალდებულს. ბრალის მტკიცების ტვირთი ეკისრება სახელმწიფოს, რომლის მიერაც აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე. მან უნდა დაამტკიცოს ბრალდებულის ბრალეულობა. დანაშაულის დადგენა უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებას, პირდაპირი იქნება ის თუ არაპირდაპირი, რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს სასამართლოს წინაშე. უდანაშაულობის პრეზუმფცია გულისხმობს ასევე საინფორმაციო საშუალებათა მიერ გადაჭარბებული ან ზიანის მომტანი გამუქებისაგან სახელმწიფოს მიერ დაცვას. მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა მიერ მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სახელმწიფომ უნდა გადადგას გონივრული ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ საკუთარ ფუნქციათა განხორციელებისას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქმიანობას

---

<sup>71</sup> იხ. ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია (ფრანგ. Déclaration des Droits de l'Homme et du Citoyen) მიღებულ იქნა ეროვნული წარმომადგენლობითი ასამბლეის შეკრებაზე 1789 წლის 26 აგვისტოს ვერსალში საფრანგეთის რევოლუციის დროს, ხოლო 1958 წლის 4 ოქტომბერს დამტკიცდა საფრანგეთის კონსტიტუციით. დეკლარაცია რევოლუციის უმთავრეს დოკუმენტს წარმოადგენდა, რომელმაც ადამიანის ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებები განსაზღვრა, და რაც დღემდე რჩება საფრანგეთის კონსტიტუციური სამართლის საფუძვლად.

ზიანი არ მიადგეს განსახილველი საქმის გახმაურების გამო. ამ მიზეზით ბევრი სახელმწიფო საქმის გამოძიებას ან სასამართლო პროცესს დახურულად ატარებს. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის<sup>72</sup> მიხედვით სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო განხილვისას ბრალდებულთათვის მინიმალური გარანტიების შექმნის მიზნით პიროვნებაზე არ უნდა მოხდეს ზეწოლა დანაშაულის აღიარების ან საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის მიზნით. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება<sup>73</sup> შეიცავს ანალოგიურ დებულებას ამ დოკუმენტის მიხედვით გამოძიების წარმართვისათვის. ამ ნაწილში მოცემულ ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილულ განცხადებათა უმეტესობა ეხება ზეწოლის ქვეშ აღიარების მიღებას. მაგალითად, საქმეში „ესტრელა ურუგვაის წინააღმდეგ“ ბრალდებული იყო პროფესიონალი პიანისტი, რომელსაც მისივე მტკიცებით, ემუქრებოდნენ ხელების დამტვრევით, თუ არ აღიარებდა სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმიანობებში მონაწილეობას. ეს შეფასებულ იქნა პაქტის დარღვევად, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტის აზრი უგულვებელყოფილ იქნა – ურუგვაიმ უარი განაცხადა, წარმოედგინა მოსაზრებები საჩივარზე<sup>74</sup>.

საქმეში „Barbera, Messegue and Jabardo v. Spain“<sup>75</sup> ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ:

უდანაშაულობის პრეზუმფცია მოითხოვს საკუთარი მოვალეობების განხორციელებისას სასამართლოს წევრები საქმის განხილვას არ შეუდგნენ წინასწარ ჩამოყალიბებული რწმენით, რომ განსასჯელმა ჩაიდინა ის დანაშაული, რომელიც მას ბრალად აქვს წაყენებული. ამის მტკიცების ტვირთი ეკისრება გამოძიებას და აღნიშნულთან დაკავშირებული

---

<sup>72</sup> იხ. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>73</sup> იხ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების 55-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>74</sup> იხ. სმიტი რონა კ. ადამიანის საერთაშორისო უფლებები: სახელმძვანელო. [მეორე გამოცემა]—რედ. გიორგი ჯოხაძე თარგმანი: მანანა კობიაშვილი,— ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, — „სეზანი“.

<sup>75</sup> იხ. Barbera, Messegue and Jabardo v. Spain, 6 December 1988, para 77. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება. [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge), უკანასკნელად ნანახი იქნა 13.04.09წ.

ნებისმიერი ექვი განმარტებულ უნდა იქნეს ბრალდებული სასარგებლოდ.

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი სრულად ეხება სისხლის სამართალწარმოების საქმეებს და მოსამართლეების თუ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მიერ ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარებს; ან განხორციელებულ ქმედებებს, რომლებიც სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გარეშე მიანიშნებენ პირის დამნაშავეობაზე. საქმეში "მინელი შვეიცარიის წინააღმდეგ"<sup>76</sup> განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრული გამოძიება შეწყდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. თუმცა, ეროვნულმა სასამართლომ ბრძანა, რომ განმცხადებელს უნდა გადაეხადა გამოძიების მიერ გაწეული ხარჯების ნაწილი, ასევე, კომპენსაცია სავარაუდო მსხვერპლისათვის იმ მოტივით, რომ ხანდაზმულობის ვადის გაუსვლელობის შემთხვევაში იგი სასამართლოს მიერ მსჯავრდებულად იქნებოდა მიჩნეული. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას, რადგანაც ეროვნული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შეუსაბამო იყო უდანაშაულობის პრინციპთან. როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, არა მხოლოდ ეროვნული სასამართლოები, არამედ ხელისუფლების ეროვნული ორგანოებიც ვალდებულნი არიან, დაიცვან უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი. საქმეში "Allenet de Ribemont v. France"<sup>77</sup> განმცხადებელთან დაკავშირებით (რომელიც იმყოფებოდა პოლიციის პატიმრობაში) პოლიციის მაღალი თანამდებობის პირმა გააკეთა განცხადება, რომ იგი იყო მკვლელობის წამქეზებელი. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია ეხებოდათ ასევე ხელისუფლების ორგანოებს, რადგან განმცხადებელი ბრალდებული იყო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში. პოლიციის თანამდებობის

<sup>76</sup> იხ. საქმე - Minelli v. Switzerland, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1983 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული წიგნი II, ევროპის საბჭო 2004 წ. გვ. 99-127

<sup>77</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი, თბილისი 2002 წელი. გამომცემელი ჯისიანი, შემდგენელი ე.გოცირიძე, გვ. 30-Allenet de Ribemont v. France 10 February, 1995.

პირის მიერ ბრალის დადასტურებამ რაიმე კვალიფიკაციისა თუ დათქმის გარეშე უბიძგა საზოგადოებას მანამდე დაეჯერებინა, რომ განმცხადებელი დამნაშავე იყო, სანამ საქმესთან დაკავშირებული ფაქტები შეფასებულ და განხილულ იქნებოდა სასამართლოს მიერ და გამოტანილი იქნებოდა გადაწყვეტილება პირის მსჯავრდებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მიჩნეულ იქნა უდანაშაულობის პრეზუმფციასთან შეუსაბამოდ. ამ უკანასკნელის დარღვევის გამოსწორებაზე კი თვით იმ ფაქტმაც ვერ იმოქმედა, რომ განმცხადებელი მოგვიანებით გათავისუფლებულ იქნა საკმარისი მტკიცებულებების არქონის მოტივით. უდანაშაულობის პრეზუმფცია თანაბრად უნდა იქნეს დაცული როგორც სასამართლო განხილვის წინ, ასევე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომაც. საქმეში "Sekanina v. Austria"<sup>78</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ დაუშვებელია იმ ეჭვებზე დაყრდნობა, რომლებთან მიმართებითაც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით განმცხადებელი გამართლებულად იქნა მიჩნეული.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამართლიან სასამართლოს იდეის განხორციელებისათვის, ზემოთგანხილული ელემენტების არსებობა, უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია, რომელიმე ელემენტის არ არსებობა მთლიანად სამართლიანი სასამართლოს არ არსებობის ტოლფასია. კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო, უფლებამოსილი, კომპეტენტური და კანონიერი სასამართლო შემადგენლობა, უზრუნველყოფილი სასამართლო ხელმისაწვდომობა, სასამართლო გადაწყვეტილებათა საქვეყნოობა და დასაბუთება, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა, კანონის გარეშე საჯელის გამოყენების აკრძალვა, კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ბოლომდე დაცული არ გახლავთ.

---

<sup>78</sup> იხ. საქმე Sekanina v. Austria, იზორია ლევანი, კორკელია კონსტანტინე, კუბლაშვილი კონსტანტინე, ხუბუა გიორგი - საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, გამომცემელი მერიდიანი, თბ., 2005 წ. გვ. 376.



## თავი 2. სასამართლოზე ხელმისაწვდომობა

### 2.1. სამართლოზე ხელმისაწვდომობის ზოგადი

#### დახასიათება

ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის პრობლემების მეცნიერული გააზრება და კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია დემოკრატიის აღმშენებლობის გზაზე დამდგარი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის;

საქართველოში პოლიტიკური სტრუქტურების სწრაფმა ცვალეობამ და ახალმა ღირებულებითმა ორიენტაციებმა განაპირობეს ადამიანის უფლებათა სწორი კუთხით დანახვა და ახალი დამოუკიდებელი, სამართლიანი სასამართლოს მოდელის შერჩევის აუცილებლობა. ამ პრობლემის გადაჭრაში ფასდაუდებელ სამსახურს გვიწევს სამართლის სფეროში დაგროვილი ჩვენივე მნიშვნელოვანი თეორიული მემკვიდრეობა. სამწუხაროდ, ქართულ სამართლებრივ აზროვნებაში თეორიული მემკვიდრეობის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით გარკვეული დეფიციტი იგრძნობა. მისი საჭიროება კი, განსაკუთრებით დღეს განუზომლად დიდია.

სადისერტაციო თემის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ საქართველოში ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მწირია, ამიტომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ხელს შეუწყობს ეროვნული ხელისუფლების მიერ საერთაშორისო მასშტაბებით განსაზღვრულ სასამართლოთა საქმიანობის პრინციპების სწორ გააზრებასა და გათავისებას და ყოველდღიურ ცხოვრებაში ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალურად გამოყენების სამართლებრივი გზების ჩვენებას;

“ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მკაცრი დაცვა მსოფლიო საზოგადოების პრობლემას წარმოადგენს, რომელსაც სჭირდება გარანტიათა მწყობრი სისტემა. გარანტიები არის პირობების, საშუალებებისა და მეთოდების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველას საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების აღმოჩენის, შექმნისა და

რეალიზაციის უნარს თანაბარი სამართლებრივი შესაძლებლობებით”<sup>79</sup>.

უმეტეს ქვეყნებში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ერთ-ერთი მთავარი გარანტი უზენაესი კანონი – კონსტიტუციაა. ტერმინი “კონსტიტუცია” ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დაწესებას, დადგენას. მისი შექმნის იდეა ინგლისიდან მოდის, მაგრამ პირველად კონტიტუცია დაიწერა ჯერ აშშ-ში 1787 წელს, შემდეგ კი – საფრანგეთსა და პოლონეთში – 1791 წელს.

კონსტიტუციის ცნების სხვადასხვა ვარიანტი არსებობს, მაგრამ ჩვენთვის ყველაზე მისაღებია შემდეგი განსაზღვრება: “კონსტიტუცია არის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული იმპერატიული ძალის მქონე ნორმატიული აქტი, ანუ ქვეყნის უზენაესი კანონი, რომლის მეშვეობითაც ხალხი აფუძნებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოწყობის ძირითად პრინციპებს, განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების სუბიექტებს, ხელისუფლების განხორციელების მექანიზმს, განამტკიცებს სახელმწიფოს მიერ დაცულ სამოქალაქო საზოგადოებასა და ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს”<sup>80</sup>.

*“ადამიანის უფლებები” თანამედროვე ტერმინია, მაგრამ პრინციპი, რომელსაც იგი ასახავს, ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა. იგი გულისხმობს, რომ გარკვეული უფლებები და თავისუფლებები ადამიანის არსებობის საფუძველია. ეს ადამიანის დამახასიათებელი უფლებებია, რომლებიც მას მხოლოდ იმიტომ აქვს, რომ ადამიანად დაიბადა და თითოეული უფლება ადამიანის ღირსებისა და მნიშვნელობის პატივისცემას ემყარება. ეს უფლებები არც ხელისუფლების ან მთავრობის ნება-სურვილით მინიჭებული პრივილეგიაა და არც საჩუქარი. თავნება ხელისუფალი მათ ვერავის წაართმევს და ვერც ვინმეს აიძულებს, უარი თქვას და დათმოს ეს იმიტომ, რომ დანაშაული ჩაიდინა ან კანონი დაარღვია”<sup>81</sup>.*

<sup>79</sup> იხ. გ. ლობჯანიძე, ადამიანის უფლებათა სამართალი, გამომცემელი: ინოვაცია, თბილისი, 2005 წ. გვ.128..

<sup>80</sup> იხ. პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, გამომცემელი: მერიდიანი, თბილისი 2004 გვ.82.

<sup>81</sup> იხ. ადამიანის უფლებები და სასჯელადსრულების დაწესებულებები, ნიუ-ორკი და ჟენევა, 2005 წ. გვ. 4

თავდაპირველად ეს უფლებები არ ყოფილა რაიმე იურიდიულ ჩარჩოში მოქცეული. ისინი მორალურ უფლებებად მიიჩნეოდა. დროთა განმავლობაში ეს უფლებები ფორმალურად აღიარეს და კანონით დაიცვეს. ზოგ შემთხვევაში ისინი კონსტიტუციითაა დაცული, რომელსაც ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გააუქმებს. შეიქმნა დამოუკიდებელი სასამართლოები, სადაც უფლებაწარმეულ ადამიანებს შეუძლიათ მოითხოვონ უფლებების აღდგენა.

კონსტიტუციაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ასახვა ქმნის პიროვნების მიმართ სახელმწიფოს შესაძლო ძალმომრეობის შეზღუდვის სამართლებრივ გარანტიას.

ადამიანის უფლებათა დამცავი სხვადასხვა საშუალებების არსებობის მიუხედავად, ფაქტად რჩება ის გარემოება, რომ პიროვნება იურიდიულად დაუცველია სხვადასხვა უწყების, დაწესებულების, თანამდებობის პირისა და თვით სახელმწიფოსაგან, რადგან კონსტიტუციაში საკმაოდ ფართოდ დეკლარირებული ადამიანის უფლებები სათანადოდ ვერ იცავენ მას ადმინისტრაციის თვითნებობისა და უსამართლობისაგან.

ეს ხდება მაშინ, როდესაც არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი იმ ბიუროკრატიული მანქანის წინააღმდეგ, რომელსაც კანონის ან კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე დიდი უფლებამოსილება გააჩნია.

მანამ, სანამ ადამიანის უფლებები მხოლოდ ქალაქში იქნება დაფიქსირებული და ყოველდღიურ ცხოვრებაში არ იქნება რეალიზებული, სანამ არ მოიპოვებს უმაღლესი ფასეულობის სტატუსს, სანამ არ გახდება სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობის შემზღვეველი, საზოგადოება ვერ შეფასდება როგორც დემოკრატიული, ხოლო სახელმწიფო – როგორც სამართლებრივი<sup>82</sup>.

დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელობისათვის და ქვეყნის სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩასათვლელად უმნიშვნელოვანესია საქართველოს კონსტიტუციაში აღიარებული ადამიანის ე.წ. საპროცესო უფლება ანუ სასამართლოზე მიმართვის უფლება, რაც წარმოადგენს გარანტიას დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით

---

<sup>82</sup> იხ. გმიქანაძე, ევროპის ომბუდსმენები, თბ, 1999 წ. გვ.9

მიმართონ სამართლიან, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს.

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში მოცემულია ადამიანის ძირითადი უფლებები, რომლებიც უშუალოდ მოქმედ სამართალს წარმოადგენს და რომლებითაც შეზღუდულია ხალხი და სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას<sup>83</sup>.

საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე.წ. საპროცესო უფლებათა ბლოკს, რომელიც შედგება მე-18, მე-40 და 42-ე მუხლებისაგან. ამ ბლოკის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი კი 42-ე მუხლია, რომლის თითოეული პუნქტი ადამიანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობათა უმნიშვნელოვანეს პრინციპებს შეიცავს. ესაა: სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, დაცვის უფლება, ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობა, იმ დანაშაულისათვის დასჯის დაუშვებლობა, რომელიც მისი ჩადენის დროს დანაშაულად არ ითვლებოდა, კანონის უკუძალის პრინციპი, შეჯიბრებითობის პრინციპი. ადამიანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობათა განმსაზღვრელ კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს “უდანაშაულობის პრეზუმფციას” საქართველოს კონსტიტუცია ცალკე მუხლად გამოყოფს ( მუხლი 40). ქვეყნის უზენაესი კანონის მე-18 და 42-ე მუხლებში 2010 წლის ნოემბერში განხორციელებული ცვლილებებით ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები კვლავ ძალაში დარჩა<sup>84</sup>.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის 42-ე მუხლის დებულებებს, რომლებითაც გარანტირებულია ყოველი ადამიანის უფლება, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, “ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისი უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს

---

<sup>83</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.

<sup>84</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი “საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ”, 2010 წლის 15 ოქტომბერი, №3710, სსმ I, №62, 05.11.2010 წ., მუხ. 379.

სასამართლოს”. ამ უფლების მიხედვით, ყველას შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მისი საქმის სამართლიანი და საჯარო სასამართლო მოსმენა, თუ მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ დაარღვია მისი უფლებები.

კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება ფორმალურად სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას ნიშნავს, ხოლო შინაარსობრივად – ადამიანის სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს. სრულყოფილი დაცვა კი უპირველესად ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ მოქმედების თუ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას და სამართლებრივ შემოწმებას, რომლებიც ადამიანის უფლებებს არღვევენ<sup>85</sup>

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით შეიქმნა არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა სპეციალურ, პროცესუალურ ნორმებს ენიჭება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-6 მუხლი, რომელსაც კონვენციაში ცენტრალური ადგილი უკავია და ადგენს სამართლის უზენაესობის ფუძემდებლურ პრინციპს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ მუხლთან არის დაკავშირებული, რაც მუხლის მიერ გარანტირებული უფლებების მნიშვნელობით და კონვენციის წევრ სახელმწიფოებში სამოქალაქო, სისხლის და სხვა კატეგორიის საქმეთა წარმოების რაოდენობით არის განპირობებული.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით შექმნილი ადამიანის უფლებების დაცვის საზედამხებდველო ორგანოს – ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ ძირითად დამსახურებას კონვენციით გათვალისწინებული ცნებებისა და უფლებების ზედმიწევნით დეტალური, ფართო და ხშირ შემთხვევაში, მრავალმხრივი ინტერპრეტაცია წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, კონვენციით გარანტირებული უფლება-თავისუფლებების სრულყოფილად

<sup>85</sup> იხ. კ. კუბლაშვილი. ძირითადი უფლებები, გამომცემლი: ჯი სი აი, თბილისი 2003;. გვ.336

შესწავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ევროპული სასამართლო პრეცედენტების შესწავლას ენიჭება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად აღიარების შედეგად კონვენციით გათვალისწინებული ნორმები შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წყარო გახდა, თუმცა ევროპული კონვენცია, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, იმავდროულად რჩება საერთაშორისო სამართლის წყაროდაც. ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, როგორც საერთაშორისო სამართლის წყარო, საქართველოსათვის სავალდებულოა საერთაშორისო დონეზე, ხოლო საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად მისი აღიარების შედეგად იგი იურიდიულად სავალდებულო გახდა ეროვნულ დონეზე<sup>86</sup>

სწორედ ამიტომ, წინამდებარე კვლევის მიზანია ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე განსაზღვროს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიების მოქმედების სფერო და პირობები და განიხილოს საქართველოს და ევროპული კონვენციის სხვა წევრი სახელმწიფოსადმი ამ მუხლით წაყენებული მოთხოვნები და მათი შესრულების ხარისხიანობა.

## **2.2. სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით: *“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან სისხლის სამართლებრივი ნებისმიერი ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ, მაგრამ*

---

<sup>86</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონის მე-7 მუხლის მე-3,5 პუნქტები, სსმ-I, №33, 09.11.2009 წ., მუხ 200 და “საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ” საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997, გვ. 32.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაიშვას სასამართლო განხილვის მთელ, ან მის ნაწილზე, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები, ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან სასამართლოს შეხედულებით, განსაკუთრებულ გარემოებებში, მკაცრი აუცილებლობის ზღვრამდე, თუ საჯაროობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.<sup>87</sup>

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით ყოველი ადამიანისათვის გარანტირებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. მოცემული ფორმულირება მართლმსაჯულების განხორციელების მრავალ ასპექტს მოიცავს, მათ შორის, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებას; მართალია, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება ნათლად არ არის განსაზღვრული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში, მაგრამ სასამართლომ საქმეში - *Golder v. the United Kingdom* - დაადგინა, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება დაცულია კონვენციის მე-6 მუხლით და წარმოადგენს მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს<sup>88</sup>.

სასამართლო, „ინტერპრეტაციის დამხმარე საშუალებებისადმი“ მიმართვის გარეშე, როგორც ეს განსაზღვრულია ვენის კონვენციის 32-ე მუხლით, მიდის იმ დასკვნამდე, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი იცავს ნებისმიერი პირის უფლებას – წარმოადგინოს სამოქალაქო უფლებებთან და ვალდებულებებთან, ასევე სისხლის სამართლის ბრალდებასთან დაკავშირებული საჩივარი სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე. ასე რომ, ეს მუხლი მოიცავს „უფლებას სასამართლოზე“, რომლის უფლება სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობაზე (რაც გულისხმობს სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებული სამართალწარმოების აღძვრის უფლებას სასამართლოს წინაშე)

<sup>87</sup> იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. საერთაშორისო ხელშეკრულებებ, პაქტები, კონვენციები, გამომცემელი: ბონა კაუზა, თბილისი 2007.

<sup>88</sup> იხ. საქმე *Golder v. the United Kingdom*. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, გამომცემელი: ევროპის საბჭო, თბილისი 2004; წიგნი I. გვ. 259-330.

წარმოადგენს მხოლოდ ერთ ნაწილს. ამას ემატება მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილი გარანტიები, რომლებიც ეხება სასამართლოს ორგანიზებასა და შემადგენლობას, სასამართლო პროცესების წარმართვას. ჯამში ყველაფერი ეს ქმნის უფლებას საქმის პატიოსან და სამართლიან განხილვაზე<sup>89</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სადავო გახდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის მე-7 ნაწილისა (1999 წლის რედაქციით)<sup>90</sup> და 293-ე მუხლის მე-2 ნაწილის (1999 წლის რედაქციით)<sup>91</sup> კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში.<sup>92</sup>

აღნიშნულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის მოთხოვნა და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად სცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის მე-7 ნაწილი, რომლის თანახმად, “ამ მუხლის მე-2-3 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს სხდომის ოქმი არ დგება, ხოლო მოსამართლის მიერ გამოტანილი დადგენილება არ გასაჩივრდება” და 293-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, “საგამომიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანება და გამოტანილი დადგენილება არ გასაჩივრდება”.

ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან სამართალწარმოებისას მხარეების მიერ გამოყენებული იქნა როგორც ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, ისე სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

განხილულ საქმეში მოსარჩელე აცხადებდა, რომ სადავო აქტები სარჩელის ავტორს ართმევდა უფლებას, მისი

<sup>89</sup> იხ. საქმე *Golder v. the United Kingdom*. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, გამომცემელი: ევროპის საბჭო, თბილისი 2004; წიგნი I. 36-ე პუნქტი.

<sup>90</sup> იხ. კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, №2048 - სსმ I, №18(25), 01.06.1999 წ., მუხ.75

<sup>91</sup> იხ. კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, №1958 - სსმ I, №16(23), 14.05.1999 წ., მუხ.65

<sup>92</sup> იხ. საქმე №2/6/264, 2004 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები 2004, გამომცემელი: პოლიგრაფი+სი, თბილისი 2005;



უფლებების შემლახველი ბრძანების კანონიერების დასადგენად მიემართა სასამართლოსათვის და დაეცვა თავისი კანონიერი ინტერესები. მოსარჩელის აზრით, გასაჩივრების მექანიზმის არარსებობა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის არსებითი განხილვის დროს მოსარჩელის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული უფლება არ არის აბსოლუტური უფლება, რომლის შეზღუდვა დაუშვებელია.

ნებისმიერი პირის უფლება – საკუთარ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, აღიარებული და გარანტირებული უფლებაა არა მხოლოდ ქვეყნის შიდა კანონმდებლობით, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლითაც. მოსარჩელე მხარემ, ევროპულ კონვენციასთან ერთად, მიმართა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალსაც.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მხარეებს უფლებას აძლევს, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე თავიანთი არგუმენტები ევროპული კონვენციის ნორმებით გაამყარონ და დასძინა, რომ ხსენებული ასევე ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა<sup>93</sup> და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომლითაც დაზუსტებულია ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შინაარსი და მოცულობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა რა მოსარჩელის უფლებაზე სასამართლო ხელმისაწვდომობის კონტექსტში, აღნიშნა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში გათვალისწინებული გარანტიები ვრცელდება არა მხოლოდ სასამართლო განხილვაზე, არამედ როგორც მანამდე, ისე მის შემდგომ არსებულ სტადიებზე. აქვე აღნიშნა, რომ უფლება სასამართლო ხელმისაწვდომობაზე ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კანონით

<sup>93</sup> იხ. ადრემოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და სასამართლო 1998 წელს კონვენციის მე-11 ოქმის ძალაში შესვლის შედეგად.

შექმნილ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე უფლების ერთ-ერთი შემადგენელი ასპექტია და გულისხმობს პირის უფლებას, სამართალწარმოების დაწყების მიზნით მიმართოს სასამართლოს.

საკონსტიტუციო სასამართლომ გააკეთა მინიშნება იმის თაობაზე, რომ სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება აბსოლუტური არ არის. ეს უფლება თავისი ბუნებით სახელმწიფო რეგლამენტაციას საჭიროებს და შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც აღნიშნული უფლების შინაარსსა და კონვენციით გათვალისწინებულ სხვა უფლებებს არ უნდა ლახავდეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განაცხადა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა მოიცავს ყველა ადამიანის უფლებას – მიმართოს სასამართლოს, განსაკუთრებით სამოქალაქო საქმეზე, თუმცა სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური.

სახელმწიფოებს მინიჭებული აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება სასამართლოზე ხელმისაწვდომობის საშუალებათა უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ანუ, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, დადგინდეს იქნეს გარკვეული შეზღუდვები სასამართლოზე ხელმისაწვდომობასთან მიმართებით. თუმცა, აღნიშნული შეზღუდვები ზიანს არ უნდა აყენებდეს თვით ხელმისაწვდომობის უფლების ძირითად არსს<sup>94</sup>, უნდა ემსახურებოდეს კონკრეტულ კანონიერ მიზანს და უნდა იყოს პროპორციული. სასამართლოს მიერ განხილული შეზღუდვები მოიცავს, მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის გადასახადებს<sup>95</sup>, კონკრეტული კატეგორიის მოსარჩელეთა მიერ სამართალწარმოების აღძვრის შეზღუდვას და ხანდაზმულობის ვადებს<sup>96</sup>.

---

<sup>94</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, წიგნი II, ევროპის საბჭოს საიფორმაციო ბიურო საქართველოში, ევროპის საბჭო, 2004 წ. საქმე - Winterwerp v. the Netherlands. ევროპული სასამართლოს 1979 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, გვ. 325.

<sup>95</sup> იხ. Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება. [ჰტტპ://ცმისკპ.ეცპრ.ცფა.ანტ.](#) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 13.12.2010.

<sup>96</sup> იხ. Stubbings v. the United Kingdom. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება. [ჰტტპ://ცმისკპ.ეცპრ.ცფა.ანტ.](#) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 13.12.2010.

მართალია ევროპული კონვენციით არ არსებობს უფლება უფასო სასამართლო პროცედურაზე ან ხარჯების ანაზღაურებაზე სამოქალაქო საკითხებთან მიმართებაში, თუმცა მაღალი გადასახადების დაკისრებამ სასამართლო განხილვისას შესაძლებელია, წარმოშვას პრობლემები სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის დაკისრებამ შესაძლოა იქონიოს ამკრძალავი ეფექტი, საკონსტიტუციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების ჭრილში უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლოს მიხედვით, უფლება ხელმისაწვდომობაზე აბსოლუტური არ არის,<sup>97</sup> საქმეზე - ეშიგდენი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ - სასამართლომ დამატებით დაადგინა, რომ შეფარდებული შეზღუდვები არ უნდა ზღუდავდეს ან ამცირებდეს პირისათვის ნებადართულ ხელმისაწვდომობას იმ ზღვრამდე, რომ თავად უფლების არსი შეილახოს. ამასთან, არ არის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან შესაბამისი, თუ იგი კანონიერ ინტერესს არ ისახავს მიზნად და თუ აღნიშნულ მიზანსა და ზომებს შორის გონივრული თანაფარდობა არ არსებობს.<sup>98</sup>

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, როგორც ამავე სასამართლომ დაადგინა, იმისათვის, რათა სახელმწიფოებისათვის მინიჭებული დისკრეციის საფუძველზე სასამართლოზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით დადგენილი შეზღუდვები კონვენციის მე-6 მუხლთან შესაბამისად ჩაითვალოს, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული;
  - ბ) უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს;
  - გ) შესაბამისობაში უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპთან;<sup>99</sup>
- ა) უფლების მართლზომიერი შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი უნდა იყოს „კანონის შესაბამისად“ ან „კანონით გათვალისწინებული“, ანუ ხსენებულ უფლებათა შეზღუდვის

<sup>97</sup> იხ. საქმე - *Golder v. the United Kingdom* – ევროპული სასამართლოს 1975 წლის 21 თებერვალს გამოტანილი გადაწყვეტილება, Series A no. 18, 38- ე პუნქტი.

<sup>98</sup> იხ. *Ashingdane v. the United Kingdom*, ევროპული სასამართლოს 1985 წლის მაისის გადაწყვეტილება, Series A no. 93, 57- ე პუნქტი.

<sup>99</sup> კონსტანტინე კორკელია, იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ. 2004 წ.

შესაძლებლობა უნდა იყოს ნორმატიულად განმტკიცებული. ტერმინი „კანონი“ უნდა განიმარტოს არა შეზღუდვითად, როგორც ნორმატიული აქტის ერთ-ერთი სახე, არამედ როგორც ნორმატიული აქტი ზოგადად. თავისთავად უფლების შეზღუდვის დაწესება „კანონით“ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ კონკრეტული უფლების შეზღუდვამ დააკმაყოფილოს ევროპული კონვენციის ხსენებული მოთხოვნა. კანონმა უნდა დააკმაყოფილოს მისთვის დაწესებული მოთხოვნები. საქმეზე – სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ<sup>100</sup> – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ფორმულირებიდან – „გათვალისწინებულია კანონით“ – გამომდინარეობს ორი მოთხოვნა, კერძოდ სასამართლომ აღნიშნა: „პირველ რიგში, კანონი უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი: მოქალაქეებს, გარემოებების მიხედვით, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაერკვნენ, რომელი სამართლებრივი ნორმები გამოიყენება მოცემულ შემთხვევაში;

მეორე, ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონად“, თუ იგი არ არის ფორმულირებული საკმარისი სიცხადით, რაც მოქალაქეს მისცემს შესაძლებლობას, შეუსაბამოს მას თავისი მოქმედება: ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საჭიროებისამებრ, შესაბამისი დახმარებით, შექმნილი გარემოებებისათვის გონივრულ ფარგლებში განჭვრიტოს ის შედეგები, რომლებიც ასეთ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს.“<sup>101</sup> ამ საქმეში სასამართლომ, მართალია, მიუთითა, რომ არ არის საჭირო მოქმედების შედეგები განიჭვრიტოს აბსოლუტური სიცხადით, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ ნათელი მოჰფინა ნორმის სიცხადის აუცილებლობის მოთხოვნას. ევროპული კონვენციით, კანონი უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საკმარისი სიცხადით ფორმულირებული. კონკრეტული უფლების შეზღუდვა და მისი ფარგლები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს კანონმდებლობით. საქმეზე – მელოუნის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ<sup>102</sup>, რომელიც ეროვნული უშიშროების ინტერესთა გამო მოსმენის განხორციელებას

<sup>100</sup> იხ. Sunday Times v. the United Kingdom, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება.

<sup>101</sup> იხ. სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Sunday Times v. the United Kingdom), 1979 წლის 26 აპრილი, Series A, no. 30, 49-ე პუნქტი.

<sup>102</sup> იხ. Malone v. the United Kingdom ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება.

ეხებოდა, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ კანონში საკმარისი სიღრმეა უნდა მიეთითოს მოსმენის განმახორციელებელ ორგანოთა დისკრეციული უფლებამოსილება მოსმენის განხორციელების ფარგლებსა და მის მეთოდზე, რათა პირი, რომლის მიმართ ხორციელდება ასეთი მოსმენა, დაცული იყოს თავისი უფლების არამართლზომიერი შეზღუდვისაგან.<sup>103</sup> იმის გამო, რომ ინგლისისა და უელსის კანონი ბუნდოვანი იყო (განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, თუ სად იყო ზღვარი იმ ღონისძიებებს შორის, რომლებიც სამართლებრივი ნორმებით რეგულირდებოდა და რომლებიც შესაბამის ორგანოებს თავიანთი შეხედულებისამებრ შეეძლოთ განეხორციელებინათ), ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ კონვენციის ეს მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, რადგან კანონი არ იყო საკმარისად ნათელი, რის გამოც იგი ვერ უზრუნველყოფდა პირის უფლებების დაცვის მინიმალურ მოთხოვნას. ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა: განჭვრეტის მოთხოვნის არსებობა არ ნიშნავს, რომ პირმა უნდა შეძლოს იმის განჭვრეტა, სავარაუდოდ როდის განახორციელებენ შესაბამისი ორგანოები მის მოსმენას, რაც ამ პირს ადეკვატური მოქმედების საშუალებას მისცემს. ამდენად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანის უფლებათა შეზღუდვის პირველი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია კანონი იყოს როგორც ხელმისაწვდომი, ისე საკმარისად ნათელი, რათა გარკვეული იყოს, როდის და როგორ შეიძლება სახელმწიფომ შეზღუდოს პირის უფლება.

ბ) უფლების შეზღუდვის კანონიერი მიზანი, მეორე პირობა, რომელსაც ითვალისწინებს კონვენცია არის ის, რომ უფლებათა შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს. კანონიერი მიზნები, რომელთა გამოც შეიძლება შეიზღუდოს ხსენებული მუხლებით გათვალისწინებული უფლებები, თითოეულ მუხლში პირდაპირ არის ჩამოყალიბებული.

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, "სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა ან

---

<sup>103</sup> იხ. მელიონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Malone v. the United Kingdom), 1984 წლის 2 აგვისტო, Series A, no. 82.

საზოგადოება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნოობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.”

გ) უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერებისათვის დაწესებულია ასევე მესამე პირობა, რომლის თანახმად, შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

უფლების შეზღუდვა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოწვეულია მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით. მართლზომიერია თუ არა კონვენციის მუხლებით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა, ფასდება პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე. სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიება, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებათა შეზღუდვისაკენ, მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების პროპორციული უნდა იყოს. საქმეზე – სილვერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ<sup>104</sup> – ევროპულმა სასამართლომ საკმაოდ დეტალურად განმარტა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნის შინაარსი, რომ შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლომ განაცხადა:

„ა) ზედსართავი სახელი „აუცილებელი“ არ არის სიტყვა „გარდაუვალის“ სინონიმი, თუმცა მას არც ისეთ ტერმინთა მოქნილობა ახასიათებს, როგორცაა: „დასაშვები“, „ჩვეულებრივი“, „სასარგებლო“, „მიზანშეწონილი“, ან „სასურველი“;

ბ) ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული, მაგრამ არა უსაზღვრო შეფასების ფარგლები შეზღუდვების დაწესებისას. საბოლოოდ სასამართლო თავად ადგენს, შეესაბამება თუ არა ეს შეზღუდვები კონვენციას;

---

<sup>104</sup> იხ. Silver v. the United Kingdom. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება. ადამიანის უფლებათა დაცვის სამაგალითო გადაწყვეტილებები, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი 2001 წ.

გ) ფრაზა – „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ნიშნავს, რომ იმისათვის, რათა ჩარევა შეესაბამებოდეს კონვენციას, ის უნდა შეესატყვისოს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ და უნდა იყოს იმ კანონიერი მიზნის პროპორციული, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება;

დ) კონვენციის მუხლების ის პუნქტები, რომლებიც გარანტირებული უფლებებიდან გამონაკლისს ითვალისწინებს, შეზღუდვითად უნდა განიმარტოს.<sup>105</sup> ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ, მართალია, სახელმწიფოებს აქვთ შეფასების გარკვეული თავისუფლება, მაგრამ არის თუ არა უფლების შეზღუდვა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების პროპორციული – სახელმწიფოს ასეთი შეფასება ექვემდებარება კონტროლს ევროპული სასამართლოს მხრიდან. ევროპული სასამართლო ამოწმებს, დააკმაყოფილა თუ არა უფლების შეზღუდვამ კონვენციის მოთხოვნები, მათ შორის, გამომდინარეობს თუ არა უფლებათა შეზღუდვა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებიდან და არის თუ არა იგი კონვენციით გათვალისწინებული ერთ-ერთი კანონიერი მიზნის პროპორციული.<sup>106</sup> სხვა სიტყვებით, ევროპული სასამართლო იხილავს, გამართლებულია თუ არა სახელმწიფოს მიერ დაყრდნობა კონვენციის იმ დებულებაზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლების შეზღუდვას. უფლებათა შეზღუდვის პროპორციულობის საკითხმა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში დაამკვიდრა პრინციპი, რომლის თანახმად, სახელმწიფოებს აქვთ „თავისუფალი შეფასების ფარგლები“. კერძოდ, სახელმწიფოს აქვს შეფასების გარკვეული თავისუფლება ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მიზანშეწონილობაზე.<sup>107</sup> ამ პრინციპთან დაკავშირებით, საქმეზე – ”ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: „თავიანთი ქვეყნების სასიცოცხლო საწყისებთან უშუალო და მუდმივი კონტაქტის გამო, სახელმწიფო ხელისუფლება უკეთეს

<sup>105</sup> იხ. სილვერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Silver v. the United Kingdom), 1983 წლის 25 მარტი, Series, no. 61, 97-ე პუნქტი.

<sup>106</sup> იხ. W. Strasser, The European Convention on Human Rights: Some Reflections on its Role in the Light of the Practice of the Convention Organs, in: Austrian- Soviet Round-Table on the Protection of Human Rights, F. Matscher & W. Karl (Eds.), 1992, 107-108.

<sup>107</sup> იხ. S. Greer, The Margin of Appreciation: Interpretation and Discretion under the European Convention on Human Rights, 2000, 5-13.

მდგომარეობაშია, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, გამოხატოს თავისი პოზიცია ამ მოთხოვნათა ზუსტი შინაარსის შესახებ, ისევე როგორც მათი დაკმაყოფილებისათვის „შეზღუდვის“ „აუცილებლობის“ ან „სასჯელის“ შესახებ.“<sup>108</sup>

კვლევის შინაარსიდან გამომდინარე საინტერესოა 2004 წელის 28 ივნისის №276 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება “სახალხო დამცველი და ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის” წინააღმდეგ . მოსარჩელე ქეთევან ბახტაძე იყო მოსამართლე, რომელიც თანამდებობიდან გაათავისუფლა მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭომ. ეს ორგანო შექმნილი იყო მოსამართლეთა “დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე და მოქმედებდა როგორც სასამართლო ორგანო, მაშინ როდესაც საქართველოს კონსტიტუციით სპეციალური სასამართლოების შექმნა აკრძალულია. გარდა ამისა, კანონის თანახმად, საბჭოს გადაწყვეტილება იყო საბოლოო და არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას, მაშინ როცა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ქეთევან ბახტაძემ მის მიმართ გამოტანილი უკანონო გადაწყვეტილების გასაჩივრება საერთო სასამართლოებში ვერ შეძლო შესაბამისი მექანიზმის არარსებობის გამო. მოსარჩელეს სადაო აქტით ეზღუდებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით დაცული სასამართლოში მიმართვის უფლება. ამიტომ მოსარჩელემ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა კონსტიტუციური სარჩელით. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დაასაბუთა მთლიანად ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით. მან მიუთითა, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის და მათ შორის მოსამართლეებისთვისაც. სარჩელი ძირითად ნაწილში დაკმაყოფილდა.

ასევე საგულისხმოა, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმდინარე საქმე საქართველოს წინააღმდეგ, მით უფრო, რომ ინდივიდუალურ განაცხადში სადავოდ

---

<sup>108</sup> იხ. ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handyside v. the United Kingdom), 1976 წლის 7 დეკემბერი, Series A, no. 24, 48-ე პუნქტი.



ქვეული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმა უმაღლეს იქნა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანილი. საქმის მოკლე შინაარსით - 2006 წლის 29 ივნისს სააპელაციო სასამართლოს ეზოში “თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები საჯაროდ გამოხატავდნენ თავიანთ მოსაზრებას ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით. ისინი ხმის გამამღიერებლის, ე.წ. მეგაფონის საშუალებით მოუწოდებდნენ სასამართლოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებელ ტელეარხ “202“-ის დამფუძნებლების გათავისუფლებისაკენ. აქციის დაწყებიდან დაახლოებით 5 წუთში სასამართლოს შენობიდან გამოვიდნენ მანდატურები და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დააკავეს ზემოაღნიშნული პირები, რომელთაც მოგვიანებით სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლზე დაყრდნობით, ადგილზე თათბირით და ზეპირი მოსმენის გარეშე (2006 წლის მაისის თვის რედაქციით)<sup>109</sup> შეუფარდა 30 დღიანი პატიმრობა. შესაბამისად, პატიმრობის შეფარდების პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ არც უშუალოდ განმცხადებლებს და არც მათ ადვოკატებს. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, განკარგულება არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას.

განმცხადებლები ჩივიან ევროპული კონვენციის სხვადასხვა მუხლების დარღვევის გამო, მათ შორის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევაზე, ვინაიდან მათ არ მიეცათ უფლება გაესაჩივრებინათ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება. 2006 წლის 29 დეკემბერს განაცხადი გაიგზავნა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში.

საქართველოს ხელისუფლება ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ დაელოდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას და როგორც ზემოთ აღვნიშნე, სასწრაფოდ

---

<sup>109</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936, სსმ I, №14, 15.05.2006 წ., მუხ. 89.

განახორციელა შესაბამისი ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.<sup>110</sup>

საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა უმეტეს შემთხვევაში საკონსტიტუციო ან ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის გზით გახდა შესაძლებელი. აღნიშნულს ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დღემდე (საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლამდე - 2010 წლის 01 ოქტომბრამდე) მოქმედებდა ნორმა, რომელიც არც საკონსტიტუციო სასამართლოს და არც ევროპული სასამართლოს განხილვის საგნად არ ქცეულა, თუმცა არაერთი რეკომენდაცია გაკეთებულა მისი სრულყოფის თუ სრულად შეცვლის მიზნით.<sup>111</sup>

კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2005 წლი მდგომარეობით)<sup>112</sup>, სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს გამომძიებლის ან პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება, რომელიც, მომჩივნის აზრით, უკანონო და დაუსაბუთებელია. ეს მუხლ ასახელებს გასაჩივრების ორ საფუძველს:

ა. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამომძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილებას;

ბ. ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებას.<sup>113</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ამგვარი ფორმულირება, რომელიც ამომწურავად ჩამოთვლის სასამართლოსადმი მიმართვის საფუძველებს, წინააღმდეგობაში მოდიოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ

---

<sup>110</sup> იხ. კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №4208, სსმ I, №4, 12.01.2007 წ., მუხ. 50.

<sup>111</sup> იხ. ვ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, გამომცემელი: ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში, თბილისი 2005; დასკვნები და რეკომენდაციები, 6.9.ა გვ. 177.

<sup>112</sup> იხ. კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №1204, სსმ I, №14, 18.04.2005 წ., მუხ. 94.

<sup>113</sup> იხ. ზ.მეიშვილი, ო.ჯორჯენაძე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები. თბილისი 2006; გვ. 479-481.

პუნქტში გარანტირებულ სასამართლოზე უფლების მოთხოვნებთან. მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და მანამდე კომისიამ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დებულებები განვრცობითად განმარტეს იმ საფუძველზე, რომ აღნიშნულ მუხლს დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება დღესმოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, მართალია ის ითვალისწინებს ზოგადად სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ქმედების ან გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას, მაგალითად, 95-ე მუხლის პირველი პუნქტით - "მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაასაჩივროს სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ქმედება ან გადაწყვეტილება"<sup>114</sup>, თუმცა ამავე კოდექსის 168-ე მუხლით "დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარი სასამართლოში არ საჩივრდება", 106-ე მუხლის პირველი პუნქტით კი ასევე არ საჩივრდება სასამართლოში გამომძიებლის ან/და სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება, ე.ი. ის რისი გასაჩივრების უფლებასაც ითვალისწინებდა ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დღესმოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არ გასაჩივრდება, რაც ნამდვილად ვერ ჩაითვლება წინგადადგმული ნაბიჯად სასამართლოსადმი მიმართვის უფლების სრულყოფის საქმეში. ამდენად აუციელებლად მიმაჩნია განხორციელდეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულუი გადაწყვეტილება სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების ან შეწყვეტის შესახებ გასაჩივრდეს სასამართლოში.

“მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებაზე უფლებას იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ევროპული კონვენციის მიხედვით დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომ მე-

---

<sup>114</sup> იხ. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ.190.

6 მუხლის შეზღუდვითი განმარტება მისი დებულებების მიზნებსა და დანიშნულებასთან შეუსაბამო იქნებოდა.”<sup>115</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის თვალსაზრისით, უმჯობესია საქართველოს ხელისუფლება ქართულ საკანონმდებლო ბაზას არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმებისა და ევროპული სასამართლოს საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების საფუძველზე კი არ ხვეწავდეს არამედ, სახელწიფოს პოზიტიური ვალდებულებების ჭრილში თავადაც სრულყოფდეს.

### 2.3. ქმედითი უფლება ხელმისაწვდომობაზე

სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არა მარტო უნდა არსებობდეს, არამედ ქმედითიც უნდა იყოს. მიმართვის უფლების არსებობა საკმარისი არ არის. სახელმწიფოს ვალდებულება, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ყველასათვის უზრუნველყოფა, არ ნიშნავს უფლების მარტოდენ საკანონმდებლო ნორმებში ასახვას. სასამართლო ხელმისაწვდომობის გარანტირებული უფლება, რომელიც შეიძლება ამოქმედდეს სამომავლოდ ან შეჩერებულია ახალი კანონმდებლობის მიღებამდე, არღვევს ევროპული კონვენციით დაცულ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – ”კუტიჩი ხორვატიის წინააღმდეგ”<sup>116</sup> – ტერორისტული აქტის შედეგად აფეთქებული საცხოვრებელი სახლის გამო, მოსარჩელები ითხოვდნენ ხორვატიის სახელმწიფოსაგან ზარალის ანაზღაურებას. როცა საქმე სასამართლო წარმოებაში იყო, მიღებულ იქნა „სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულებების შესახებ“ კანონის შესწორება, რომლის მიხედვით, ყველა სარჩელის განხილვა ისეთი ზარალის

<sup>115</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რჩეული გადაწყვეტილებები, ტომი I, თბ., 2001 წ. გვ. 28. ევროპული სასამართლოს 1970 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე - Delcourt v. Belgium.

<sup>116</sup> იხ. Kutic v. Croatia, №48778/99, ევროპული სასამართლოს 2002 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება.

ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებული იქნა ტერორისტული აქტის შედეგად, უნდა გადადებულიყო შესაბამისი ახალი კანონმდებლობის ამოქმედებამდე.

აღნიშნულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლოში სარჩელის აღძვრის უფლებით. იგი გულისხმობდა იმ უფლებასაც, რომ სასამართლოს გადაეწყვიტა შესაბამისი დავა. ხორვატიის კანონმდებლობის შესაბამისმა დებულებამ დააბრკოლა მომჩივანთა უფლების განხორციელების რეალიზაცია და მათ ალექვეთათ შესაძლებლობა, რომ სასამართლოს განეხილა მათი სამოქალაქო-სამართლებრივი მოთხოვნები და გადაეწყვიტა დავა.

ეროვნულ სახელმწიფოებს, მართალია, სათანადო სფეროს დარეგულირებისას გააჩნიათ შეფასების თავისუფლების გარკვეული არე, მაგრამ ასეთი რეგულირების ღონისძიებები შესაბამისობაში უნდა იყოს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებთან. ამ გარემოების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი იქნა ისეთი ხარისხით, რომელიც არ იყო საკმარისი მომჩივანთა უფლების რეალიზაციისათვის, რათა ეროვნულ სასამართლოს არ შეეძლო განეხილა და გადაეწყვიტა მათი საქმე, რის გამოც დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.<sup>117</sup>

სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების ეფექტურად განხორციელებამ, შესაძლოა, სხვა ვალდებულებებიც დააკისროს კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოებს – მაგალითად, ისეთი ვალდებულებები, როგორცაა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის ვალდებულება სამოქალაქო ხასიათის ისეთ საქმეებში, რომლებიც ამას საჭიროებენ მათი სირთულიდან გამომდინარე. მაგალითად, საქმეში "Faulkner v. the United Kingdom"<sup>118</sup> სამოქალაქო საქმეზე სამართლებრივი დახმარების აღმოუჩენლობა მიჩნეულ იქნა მე-6 მუხლის მოთხოვნათა დარღვევად. კერძოდ, დადგინდა, რომ

<sup>117</sup> იხ. საქმე Airey v. Ireland, ევროპული სასამართლოს 1979 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

<sup>118</sup> იხ. Faulkner v. the United Kingdom ევროპული სასამართლოს 1999 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება, [www.coe.ge](http://www.coe.ge) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 13.12.2010.

გაერთიანებული სამეფოს ქმედება ეწინააღმდეგებოდა განმცხადებლის უფლებას, განეხორციელებინა სასამართლოზე ეფექტური ხელმისაწვდომობა. სასამართლოს წინაშე მითითებულ საქმეზე მორიგება იქნა მიღწეული მას შემდგომ, რაც მთავრობამ იკისრა ვალდებულება, უზრუნველყო სამართლებრივი დახმარების სისტემა სამოქალაქო საქმეებში.

სასამართლო ხელმისაწვდომობის ქმედითი უფლების აუცილებლობაზე გააკეთა აქცენტი ევროპულმა სასამართლომ საქმეში – ეიერი ირლანდიის წინააღმდეგ<sup>119</sup> – სადაც განმარტა, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სასამართლოების ქმედითი ხელმისაწვდომობა. აღნიშნულ საქმეში განმცხადებლებმა, უფასო სამართლებრივი დახმარების უქონლობისა და ფინანსური შეუძლებლობის გამო, თავად გაეწია ადვოკატის მომსახურეობის ხარჯები, ვერ მოახერხა ეპოვა დამცველი, რომელიც მის წარმომადგენლობას უზრუნველყოფდა.

ევროპულმა სასამართლომ გადამწყვეტად არ მიიჩნია უმაღლესი სასამართლოსათვის ადვოკატის დახმარების გარეშე მიმართვის შესაძლებლობა. მან მრავალჯერ გაიმეორა კონვენციის განზრახვა, უზრუნველყო არა თეორიული და ილუზიური უფლებები, არამედ პრაქტიკული და ქმედითი უფლებები და დაადგინა, რომ აღნიშნული განსაკუთრებით ეხებოდა სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, იმ ადგილის გათვალისწინებით, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიან სასამართლო განხილვაზე უფლებას უკავია. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.

ევროპულმა სასამართლომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ცნება გააფართოვა საქმეში "ანდრონიკუ და კონსტანტინუ კვიპროსის წინააღმდეგ"<sup>120</sup> – დაადგინა რა, რომ თუკი არ არსებობს სამოქალაქო სამართლებრივი დახმარების გაწევის მექანიზმი, ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს ალტერნატიული საშუალებები, რითაც პიროვნებას

---

<sup>119</sup> იხ. საქმე Airey v. Ireland, ევროპული სასამართლოს 1979 წლის 9 ოქტომბერი, Series A no. 32, 24–ე პუნქტი.

<sup>120</sup> იხ. საქმე Avdronicou and Constantinou v. Cyprus, ევროპული სასამართლოს 1997 წლის გადაწყვეტილება.

შესაძლებლობა ექნება დაიცვას თავისი სამოქალაქო სამართლებრივი უფლებები.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით - “დაცვის უფლება გარანტირებულია” და ეს დებულება იმთავითვე უნდა მოიცავდეს უფასო იურიდიულ მომსახურებას, ამის საჭიროების და აუცილებლობის დროს.

”ადვოკატთა შესახებ” საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონი<sup>121</sup>, საერთოდ არ ითვალისწინებს უფასო იურიდიულ დახმარების გაწევის შესაძლებლობას.

რაც შეეხება “იურიდიული დახმარების შესახებ” საქართველოს 2007 წლის 19 ივნისის კანონს<sup>122</sup> - 26-ე მუხლის შესაბამისად – უფასო იურიდიული დახმარება შესაძლებელია მხოლოდ სისხლის სამართლის დავებზე, ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე უფასო იურიდიული დახმარების პრაქტიკული განხორციელების ვადად განსაზღვრული იყო 2009 წლის 1 იანვარი - 2008 წლის 07 ოქტომბრის ცვლილებით კი აღნიშნულმა ვადამ 2011 წლამდე გადაიწია<sup>123</sup>.

შესაბამისად, არ არსებობს კონსტიტუციით გარანტირებული დაცვის უფლების პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე, მაშინ როდესაც კონსტიტუციის მოთხოვნის შესაბამისად ამ მნიშვნელოვანი უფლების განხორციელების მიზნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია იმ მოქალაქეთა უფლებები, რომელთაც არ შეუძლიათ ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება<sup>124</sup>.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, კონსტიტუციასა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებით ადამიანის ძირითად უფლებათა აღიარება თავისთავად არ ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან თავისი ხალხის მიმართ სამართლიან მოპყრობას.

<sup>121</sup> იხ. საქართველოს კანონი ”ადვოკატთა შესახებ, №976, სსმ I, №22, 06.07.2001 წ., მუხ. 78.

<sup>122</sup> იხ. საქართველოს კანონი ”იურიდიული დახმარების შესახებ, №4955, სსმ I, №24, 02.07 2007 წ., მუხ. 218.

<sup>123</sup> იხ. კანონი ”იურიდიული დახმარების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, №325 - სსმ I, №24, 20.10.2008 წ., მუხ.163

<sup>124</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბრის კანონი № 1106, პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997 წ., გვ. 21.

დაცვის უფლება, რომელიც პრაქტიკულ განხორციელებას ვერ ჰპოვებს, შეიძლება ჩაითვალოს უტოპიად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განხილვის საგნად იქცა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მცდელობა შეუსაბამოდ მაღალი სახელმწიფო ბაჟების დაწესების თაობაზე, რისი განხორციელებაც მხარის გადახდისუნარიანობის გათვალისწინების გარეშე სასამართლო ხელმისაწვდომობის დარღვევად შეაფასა.

მაგალითად, საქმე – ”ტუდორი-კომეტი მოლდოვეთის წინააღმდეგ”.<sup>125</sup> ტუდორ-კომეტი არის კომპანია, რომელიც დარეგისტრირებულია მოლდავეთის დედაქალაქში. 1997 წლის ივნისში პოლიციამ დალუქა აპლიკანტი კომპანიის მიერ დაქირავებული საწყობი. საქმე შეეხება ადგილობრივი სასამართლოების მიერ აპლიკანტი კომპანიის საჩივრების განხილვაზე უარის თქმას, იმ მოტივით, რომ აპლიკანტს არ შეეძლო სასამართლო ბაჟის გადახდა. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. აპლიკანტ კომპანიას არ შეეძლო სასამართლო ბაჟის გადახდა, რადგან იმ მომენტისათვის ის არ ეწეოდა სამეურნეო/ეკონომიკურ საქმიანობას, და რომ სასამართლო პროცესი შეეხებოდა სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებულ სავარაუდო უკანონო აქტებს, რომლებმაც ეფექტურად დაშალეს კომპანია. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ საკომპენსაციოდ მოთხოვნილმა თანხამ (1 000 000 აშშ დოლარი), საიდანაც სასამართლო ბაჟი შეადგენდა 21 021 ევროს და მოლდავეთის სასამართლოების მიერ კომპანიის გამამხდელუნარიანობის შეუფასებლობამ, შეზღუდა აპლიკანტის საქმის სამართლიანი განხილვის უფლება და აღნიშნული უფლება გახდა ილუზორული.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - ”საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ”<sup>126</sup> – ასევე დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობისას სასამართლო

<sup>125</sup> იხ. Tudor-Comert v. Moldova, ევროპული სასამართლოს 2004 წლის გადაწყვეტილება.

<sup>126</sup> იხ. mretabi v. Georgia, ევროპული სასამართლოს 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება. ადამიანის უფლებათა დაცვის სამაგალითო გადაწყვეტილებები, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი 2001 წ.



ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების შეუძლებლობის გამო.

აპლიკანტი საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ დაარსდა საქართველოში 1988 წელს. 1992 წლის ივლისს აპლიკანტი კლუბი და საფეხბურთო კლუბი „დინამო“ (ორივე კლუბი საქართველოს საფეხბურთო ფედერაციის წევრია), შეთანხმდნენ კლუბ „დინამოში“ ფეხბურთელების ტრანსფერზე. კლუბ „დინამოდან“ ინგლისურ კლუბებში ფეხბურთელების ტრანსფერის შედეგად, „დინამოს“ აპლიკანტის წინაშე ვალად დაედო 691 000 ევრო, მაგრამ აღნიშნული თანხა ვერ გადაიხადა. წლების განმავლობაში მიმდინარეობდა „დინამოს“ წინააღმდეგ საქმის წარმოება და 2000 წლის მარტში აპლიკანტის სასარგებლოდ დაეკისრა 236 000 ევროს გადახდა. 2001 წლის იანვარში „დინამომ“ სრულად დაფარა დავალიანება. იმის გათვალისწინებით, რომ თანხა იყო არასაკმარისი, აპლიკანტმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა ადგილობრივ სასამართლოს.

აპლიკანტმა ვერცერთ ინსტანციაში ვერ მოიგო საქმე, რადგან უზენაესმა სასამართლომ უარი უთხრა ბაჟისაგან გათავისუფლების მოთხოვნაზე. აპლიკანტის განცხადებით, კლუბ „დინამოსაგან“ შესაბამისი კომპენსაციის მიუღებლობის გამო, ისევე როგორც კლუბ „დინამოსა“ და საქართველოს საფეხბურთო ფედერაციის წინააღმდეგ სასამართლო ინსტანციებში წარმოებული საქმეების განხილვისას არსებული მაღალი გადასახადების გამო, კლუბი „მრეტები“ აღმოჩნდა ფინანსურ კოლაფსში.

კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელმა ჩათვალა რა, რომ მას შეეზღუდა სამართლიანი სასამართლოს უფლება, მიმართა ევროპულ სასამართლოს.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აპლიკანტმა სინამდვილეში უარი თქვა საკასაციო საჩივარზე, რადგან ვერ შეძლო უზენაესი სასამართლოს მიერ დაწესებული ბაჟის გადახდა. მიუხედავად ამისა, სასამართლო შეგვახსენებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი ყველასთვის უზრუნველყოფს უფლებას ნებისმიერი საჩივართ მიმართოს სასამართლოს განმცხადებლის სამოქალაქო უფლებებსა და

მოვალეობებთან დაკავშირებით<sup>127</sup>. სადაც სააპელაციო პროცედურა ხელმისაწვდომია, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ თავის იურისდიქციაში უზრუნველყონ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის კონვენციის მე-6 მუხლის ფუნდამენტური გარანტიები სააპელაციო სასამართლოებში, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოებში<sup>128</sup>.

სახელმწიფო ბაჟის გონივრულობა უნდა განიხილებოდეს საქმეში არსებული კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს აპლიკანტის გადამხდელუნარიანობას, ასევე განხილვების სტადიას, რა დროსაც ასეთი შეზღუდვა წარმოიშვა<sup>129</sup>. უფრო მეტიც, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის გათვალისწინებით, თუკი ეს ისახავს ლეგიტიმურ მიზნებს და თუკი არსებობს გონივრული ურთიერთკავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის<sup>130</sup>.

მიმდინარე საქმეზე ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის ღირებულების გათვალისწინებითა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე და 41-ე მუხლების შესაბამისად, აპლიკანტს მოეთხოვა მაქსიმალური ბაჟი – 5 000 ლარი (2 200 ევრო), სასამართლოების ყველა ინსტანციაში. რამდენადაც, ამ საჩივარმა გაიარა ორი ინსტანცია, არსებული ფინანსური გართულებები გაორმაგდა. ამგვარად, აპლიკანტმა პირველ ინსტანციაში გადაიხადა 5 000 ლარი, რადგან რეგიონალურმა სასამართლომ არ გადაუვადა ბაჟის გადახდა. საკასაციო ინსტანციაში კი აპლიკანტმა ბაჟის გადახდა ვედარ შეძლო.

ევროპული სასამართლოს აზრით მთავრობის არგუმენტები იმის თაობაზე, რომ საქართველოში „უღარიბეს საფეხბურთო კლუბსაც“ კი შეუძლია გაილოს ასეთი ხარჯები, წარმოადგენს

127 *ob. Teltronic-CATV v. Poland*, no. 48140/99, §§ 45 and 64, 10 January 2006, *Golder v. the United Kingdom*, judgment of 21 February 1975, Series A no. 18, pp. 13-18, §§ 28-36

128 *ob. Brualla Gómez de la Torre v. Spain*, judgment of 19 December 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-VIII, p. 2955, § 33; *Tinnelly & Sons Ltd and Others and McElduff and Others v. the United Kingdom*, judgment of 10 July 1998, Reports 1998-IV, p. 1660, § 72.

129 *ob. Kreuz*, cited above, §§ 58 and 60.

<sup>130</sup> *ob. Weissman and others*, cited above, § 36.

ჰიპოთეზას და მოკლებულია ყოველგვარ ფაქტობრივ გარემოებებსა თუ მტკიცებულებას<sup>131</sup>.

ასევე, არადამაჯერებლად მიიჩნია ევროპულმა სასამართლომ მთავრობის არგუმენტები იმის თაობაზე, რომ აპლიკანტს უნდა გადაენახა სასამართლო პროცესისათვის აუცილებელი თანხა, რადგან საფეხბურთო კლუბი „დინამოს“ დავალიანებიდან მან მიიღო ფულის გარკვეული ოდენობა. საქმე იმაშია, რომ აპლიკანტი ბანკროტი იყო და მისი აქტივები უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის დროს განადგურდა, რაც მოგვიანებით დადგენილი წესით გახდა ცნობილი. აპლიკანტმა ასევე თავი შეიკავა ეროვნული ჩემპიონატისას ფულის გადახდისაგან, რადგან მას აღარ შეეძლო მონაწილეობის თანხების გაღება. ასეთ ვითარებაში, თუ უზენაესმა სასამართლომ, არსებითად გამოიკვლია მხოლოდ აპლიკანტის შემოსავლები, მისი შეცდომა, რაც გამოიხატა კლუბის ხარჯებისა და საგარეო ვალების გამოკვლევებაში, შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევითობად. თუკი უზენაესმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ აპლიკანტის განცხადება გაკოტრების თაობაზე არ იყო შესაბამისად გამაგრებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით, მას ეს უნდა დაედგინა და ამ უკანასკნელისათვის მიეცა საჭირო დოკუმენტების წარმოდგენის საშუალება. მიუხედავად ამისა, მთავრობის მტკიცებულებების საპირისპიროდ, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ უზენაესმა სასამართლომ ეს ასე არ გააკეთა. ეს ასახული იყო მხოლოდ მთავრობის მიერ გაცემულ პასუხში, რომ უზენაესი სასამართლოს არამოტივირებული გადაწყვეტილების თაობაზე, ახლო მომავალში გაკეთდებოდა განმარტება.

ზემოხსენებული განხილვების გათვალისწინებით და მთლიანად საქმეზე არსებული ფაქტების შეფასებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ვერ დაიცვა შესაბამისი ბალანსი ერთის მხრივ სახელმწიფოს ინტერესებსა, რომელიც შეეხებოდა სასამართლო ბაჟის გონივრულად განსაზღვრას, ხოლო მეორეს მხრივ აპლიკანტის ინტერესებს შორის, როდესაც იგი თავის პოზიციებს იცავდა სასამართლო ინსტანციებში.

---

<sup>131</sup> იხ. Jedamski and Jedamska v. Poland, no. 73547/01, § 63, 26 July 2005.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობების განსაზღვრასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობაში წლების მანძილზე სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებობდა. ზემოთაღნიშნული დავის მიზეზი იმ დროისათვის მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი გახლდათ, რა დროსაც სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციაში 50 000 ლარს არ აღემატებოდა (2006 წლის მდგომარეობით)<sup>132</sup>. 2007 წლის დეკემბრამდე, მაშინ, როდესაც აღნიშნული საქმე ევროპულ სასამართლოში ჯერ კიდევ განხილვის საგანს წარმოადგენდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტით (2007 წლის მდგომარეობით) სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ერთი სასამართლოს წარმოების ყველა ინსტანციისათვის უკვე – ფიზიკური პირისათვის – 10 000 ლარს, ხოლო იურიდიული პირისათვის – 15 000 ლარს არ აღემატებოდა<sup>133</sup>. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2007 წლის 28 დეკემბრის ცვლილება<sup>134</sup>, კიდევ უფრო ბუნდოვანი და გაუგებარია, ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ფონზე. 39-ე მუხლის მე-3 პუნქტით სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შემდეგნაირად განისაზღვრა:

ა) პირველი ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

ა.ა) ფიზიკური პირისათვის – 3 000 ლარს;

ა.ბ) იურიდიული პირისათვის – 5 000 ლარს;

ბ) სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

ბ.ა) ფიზიკური პირისათვის – 5 000 ლარს;

ბ.ბ) იურიდიული პირისათვის – 7 000 ლარს;

გ) საკასაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

გ.ა) ფიზიკური პირისათვის – 6 000 ლარს;

გ.ბ) იურიდიული პირისათვის – 8 000 ლარს;

ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებამ ევროპული სასამართლოს საქართველოს წინააღმდეგ

<sup>132</sup> იხ. კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, № 3435, სსმ I, №32, 31.07.2006 წ., მუხ. 243.

<sup>133</sup> იხ. კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, № 5304, სსმ I, №30, 27.07.2007 წ., მუხ. 334.

<sup>134</sup> იხ. კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №5669 - სსმ I, №1, 03.01.2008 წ., მუხ.1.

გამოტანილი გადაწყვეტილების ფონზე სახელმწიფო ბაჟის ინსტანციების მიხედვით დაყოფის გზით, ჯამში კიდევ უფრო გაზრდილი ოდენობით და საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის არაადეკვატურად განსაზღვრა.

და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიების მოქმედების სფერო და პირობები ბოლომდე ნათლად არ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობაში, რაც ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი უარყოფითი გადაწყვეტილებების დადგენის რეალურ შანსს კიდევ უფრო ზრდის.

### ***თავი 3. უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე***

სამართლიანობის მოთხოვნა მოიცავს მთლიან სამართალწარმოებას და არა მხოლოდ ზეპირ განხილვას, ან წარმოებას პირველ ინსტანციაში. საკითხი იმის შესახებ, იყო თუ არა სამართალწარმოება სამართლიანი, განისაზღვრება სამართალწარმოების მთლიანობაში განხილვით, თუმცა რომელიმე კონკრეტულ შემთხვევას შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. პროცესის ერთ ეტაპზე არსებული

ნაკლოვანებები შეიძლება გამოსწორებული ან კომპენსირებული იქნეს შემდგომ ეტაპზე.<sup>135</sup>

სამართლიანი სასამართლო განხილვა ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისათვის, რომლის, როგორც შედეგის, გარეშე წარმოუდგენელია სამართლიანი სასამართლოს უფლება.

სამართლიანი სასამართლოს იდეის განხორციელებისათვის აუცილებელია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების არსებობა, რომლის მიღწევაც შეუძლებელია სამართლიანი სასამართლო განხილვის ისეთი ძირითადი გარანტიებისა თუ ასპექტების დაცვის გარეშე, როგორებიცაა – მხარეთა თანასწორუფლებიანობის და შეჯიბრებითობის უფლება, მხარეთა სასამართლო განხილვაზე დასწრების უფლება, საქმის განხილვა გონივრულ ვადაში, მტკიცებულებათა დასაშვებობა, სასამართლო წარმოების ენა და დაცვის გარანტირებული უფლება;


(სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიები სქემის სახითაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, სქემა №2, გვ. 79)

### *სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიები*

სქემა №2

---

<sup>135</sup> იხ. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისთვის, თბ. 2008 წ.



### 3.1. მხარეთა თანასწორობა

კაცობრიობის ისტორია მოწმობს, რომ საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპს გააჩნია ფორმალური თანასწორობის საკუთარი მასშტაბები და სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტთა საკუთარი წრე. ასე რომ, ფორმალური თანასწორობის პრინციპი მუდამ თან სდევს სამართალს. პროფ. ვ.ა. ნერსესიანცის სამართლიანი შენიშვნით - "ყველგან, სადაც მოქმედებს ფორმალური თანასწორობის პრინციპი, იქ არსებობს

სამართლებრივი საწყისები და რეგულირების სამართლებრივი საშუალება. სადაც მოქმედებს სამართალი იქ არსებობს თანასწორობის პრინციპი. იქ სადაც არ არსებობს თანასწორობის პრინციპი არ არსებობს სამართალი როგორც ასეთი.”<sup>136</sup>

საფრანგეთში 1789 წლის 26 აგვისტოს მიღებული ადამიანის უფლებათა დეკლარაცია ორი საუკუნის შემდეგაც წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს, რომელიც კონსტიტუციურად გარანტირებულ თავისუფლებათა ფორმითაა კონკრეტიზებული. უნივერსალური მნიშვნელობის მქონე დეკლარაციის მიზანს მივიწყებულ ან იგნორირებულ უდაო უფლებათა გახსენება, სახელმწიფოს შეცდომისაგან მოქალაქის დაცვა და სახელმწიფოს ძალაუფლების ფარგლების დადგენა წარმოადგენს. დეკლარაციის მე-6 მუხლით დაცულია თანასწორობის პრინციპი - ”კანონი თანაბარი უნდა იყოს ყველასათვის დაცვისა და დასჯის სფეროში.”<sup>137</sup>

მხარეთა თანასწორობის პრინციპი არის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შეჯიბრებითი პროცესის რეალიზაციის აუცილებელი პირობა. თავისი არსით ის მოითხოვს, რომ ყოველ მხარეს ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი საქმე თანაბარ პირობებში. მხარეთა თანასწორობის პრინციპი ნიშნავს მხარეთა პროცესუალურ თანასწორუფლებიანობას.

თანასწორობის პრინციპის ერთ-ერთი მახასიათებელია ის, რომ საქმის განხილვაში მონაწილე ყველა პირი თანასწორია კანონის წინაშე, რითაც აღიარებულია მათი თანასწორობა წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილების, სქესის, რელიგიის, ენის და სხვა გარემოებათა მიუხედავად.<sup>138</sup>

თანასწორობის პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციითა და შესაბამისი ქართული კანონმდებლობით.

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტით-სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

---

<sup>136</sup> იხ. В. С. Нерсесянц, История политических и правовых учений под редакцией, Москва, 1995 г.

<sup>137</sup> იხ. სამართალი საფრანგეთში, საფრანგეთის იუსტიციის სამინისტრო, თბ. 2001 წ.

<sup>138</sup> ზაზა რუხაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი, 1999 წ.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით - სამოქალაქო საქმეებზე მარლმსაჯულება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს მიერ კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მართალია ცალკე არ მიუთითებს თანასწორობის პრინციპზე, თუმცა ამავე კოდექსის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი ვრცელდება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე.<sup>139</sup>

კანონის წინაშე თანასწორობა გულისხმობს ადმინისტრაციული პროცესის მსვლელობისას მოსარჩელისა და მოპასუხის თანასწორუფლებიანობას.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები, როგორც წესი, უფლებრივად არათანაბარი მდგომარეობის მქონე სუბიექტს შორის მიმდინარეობს, რადგან ამ ურთიერთობისათვის დამახასიათებელია სუბორდინაციულობა. მიუხედავად ამისა, სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მონაწილე სუბიექტები თანაბარუფლებიანი არიან, რაც იმაში გამოიხატება, რომ საკუთარი ინტერესების დასაცავად თანაბარი პროცესუალური საშუალებები აქვთ.

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს განსაზღვრავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლი, რომლის თანახმადაც: ყველა თანასწორია კანონის წინაშე. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას.

---

<sup>139</sup> იხ. საქართველო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს - თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2352, სსმ I, №39 (46), 1999 წელი, მუხ. 190.

თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო არამართო უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა დაიცვას პროცესში მონაწილე მხარეთა თანასწორობა.

თანასწორობის პრინციპის დარღვევად შეიძლება შეფასდეს სასამართლო პროცესზე მხარის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის მიუხედავად სასამართლოს მხრიდან უარი სასამართლო განხილვის გადადებაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება<sup>140</sup>. ეს გადაწყვეტილება საგულისხმოა იმითაც, რომ სასამართლომ ქართულ კანონმდებლობასთან ერთად გამოიყენა ევროპული კონვენცია და მასზე აპელირებით დაადგინა თანასწორობის პრინციპის დარღვევა. კასატორი მოითხოვდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბრძანების კონკრეტული პუნქტების ბათილად ცნობას. უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ დააკმაყოფილა კასატორის სარჩელი, იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით და აღნიშნა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ დაარღვია ევროპული კონვენციით უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს უფლება, ვინაიდან სასამართლო პროცესზე მხარეები უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები და მტკიცებულებები.<sup>141</sup>

თანასწორობის პრინციპი არ მოიცავს პროცესუალური წესების ამომწურავ განსაზღვრებას. მისი შეფასება გარკვეულწილად დამოკიდებულია საქმის არსზე, მხარეებს შორის სადავო საკითხის შინაარსისა და მნიშვნელობის ჩათვლით. საქმის არსიდან გამომდინარე, უნდა არსებობდეს აგრეთვე შესაბამისი პროცესუალური გარანტიები. ამაში შედის მტკიცებულებებისა და არგუმენტების წარდგენისა და

<sup>140</sup> იხ. უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, საქმე N3გ/ად-82-კ-01.

<sup>141</sup> იხ. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემები, სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია, თბ., 2007 წ. გვ. 183.

მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე დავის ადეკვატური შესაძლებლობა.

სამოქალაქო საქმეებში კერძო პირებს შორის აუცილებელი არაა მხარეთა თანასწორობა იყოს აბსოლუტური. მაგალითად, სახელმწიფოს არ აკისრია მოვალეობა გაუწიოს სამართლებრივი დახმარება გაჭირვებულ მხარეს მის მდიდარ მოწინააღმდეგე მხარესთან სრული გათანასწორების მიზნით.

მნიშვნელოვანია ის, რომ თითოეულ მხარეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა იმისა, რომ წარმოადგინოს თავისი საქმე მტკიცებულებებთან ერთად ისე, რომ არ აღმოჩნდეს არახელსაყრელ ვითარებაში მეორე მხარესთან შედარებით.

სასამართლო სხდომის გადადება მხოლოდ მნიშვნელოვანი მიზეზით შეიძლება. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ადგენს, თუ რამდენად სერიოზულია სხდომის გადადების საბაზი. ამასთან, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სამართალწარმოებაში ჩართულ მხარეთა უფლებები, რომელიც მოითხოვს რომ საქმის გადაწყვეტა მოსარჩელის (მოპასუხის) ან მის მიერ არჩეული დეოკატის თანდასწრებით მოხდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის პირველი პუნქტით - საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გონივრული ვადით. თუ საქმის სრულყოფილად გამოკვლევა და დამთავრება შეუძლებელია იმავე სხდომაზე, საქმის განხილვა მისი გადადების შემთხვევაში გრძელდება იმ სტადიიდან, რომელზედაც იგი გადაიდო. სასამართლო აგრეთვე უფლებამოსილია საქმის განხილვა გააგრძელოს იმ სტადიიდან, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს. მხარეები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ სასამართლოში საქმის დადგენილ ვადაში განხილვას (2008 წლის რედაქციით)<sup>142</sup>. თუმცა, აღნიშნული ნორმით განსაზღვრული არ არის გონივრული ვადა, რაც სასამართლოს უფლებას აძლევს საკუთარი შეხედულებისამებრ რიგ შემთხვევებში გონივრულად ჩათვალოს 1-2 დღით ან 2-3 თვით

---

<sup>142</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბრის კანონი № 1106, პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997 წ., გვ. 21. და კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5669 - სსმ I, №1, 03.01.2008 წ., მუხ.1.

საქმის გადადება, რაც ერთობ საეჭვოს ხდის გადადების ვადების გონივრულობის ფარგლებში განსაზღვრის საკითხს.

ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლომ<sup>143</sup> სააპელაციო სასამართლოს მიერ მხარისათვის სამი თვით საქმის გადადებაზე უარი თანასწორობის პრინციპის დარღვევად შეაფასა. ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლო დარწმუნდა, რომ სამართალწარმოება დაიწყო 1993 წელს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სარჩელის საფუძველზე. პირველი სხდომა 1997 წელს გაიმართა და გადაწყვეტილება 1998 წელს გამოცხადდა. ჩეხეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არეგულირებს სასამართლო განხილვის გადადების შესაძლებლობას. თუმცა, სასამართლომ მხარეთა უფლებები უნდა გაითვალისწინოს. ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ადვოკატის მოთხოვნა სხდომის გადადებასთან დაკავშირებით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით გამართლებული იყო, რადგან მოსარჩელის ადვოკატი სასამართლო სხდომის გადადებას სამი თვით ითხოვდა, რაც, წარმოებული დავის საერთო ხანგრძლივობის გათვალისწინებით არც თუ დიდი მნიშვნელობის მატარებელი იქნებოდა. მხოლოდ მოპასუხის ადვოკატის დასწრებამ სასამართლო განხილვაზე კი დაარღვია სამართალწარმოებისას მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის (ძალაშია 2010 წლის 01 ოქტომბრიდან)<sup>144</sup> თანახმად, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

სასამართლო განხილვის უწყვეტობის პრინციპი მხარეთა თანასწორობის უფლების დაცვის ერთ-ერთი გარანტიაა. როგორც ზემოთ ვნახეთ, როდესაც მხარეს სურს საქმის გადადება უკეთ მომზადების ან ადვოკატის მოუცლელობის გამო და სასამართლო საქმის გაჭიანურების მიზეზით არ აკმაყოფილებს, მხარეთა თანასწორობის უფლებას არღვევს. თუმცა კიდევ უფრო საინტერესოა შემთხვევა, როდესაც სასამართლო საქმის განხილვას

---

<sup>143</sup> იხ. ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებები ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით, გამომცემელი საია, თბილისი, 2004 წ. გვ.184-186.

<sup>144</sup> იხ. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ. 190.

საკუთარი ინიციატივით გადადებს. ნაწილი იურისტებისა<sup>145</sup> აცხადებდა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 441-ე მუხლი<sup>146</sup> (1998 წლის რედაქციით) სასამართლო განხილვის უწყვეტობის პრინციპს ცუდად არეგულირებდა, ვინაიდან კანონით არ იყო განსაზღვრული, თუ რამდენი დღით შეიძლებოდა საქმის განხილვის გადადება სხდომის ჩატარებიდან მომავალ სხდომამდე, რის გამოც იყო შემთხვევები, როცა სასამართლო განხილვის გადადება მოხდა 2-3 თვით, მოსამართლის კუთვნილ შვებულებასთან დაკავშირებით. ასეთ ვითარებაში, განსასჯელი ელოდება, თუ როდის დაბრუნდებიან მოსამართლეები დასასვენებელი სახლებიდან, რის შემდეგაც ხშირად ერთდღიანი პროცესის ჩატარებით მთავრდებოდა სასამართლო განხილვა. სასამართლო განხილვის უწყვეტობის ამგვარი დარღვევა კი წარმოადგენს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევას. სასამართლო განხილვის უწყვეტობის პრინციპის ერთ-ერთი დანიშნულება სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებასთან ერთად არის ის, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო იმყოფებოდეს სასამართლო პროცესზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ზეგავლენის ქვეშ. ასეთი ხანგრძლივი დროით სასამართლო პროცესის გადადების დროს მოსამართლეს ავიწყდება მტკიცებულებათა შინაარსი, რის გამოც დიდია შანსი მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გათვალისწინებული იქნას ერთის არგუმენტები და არც კი გაახსენდეს მეორის მტკიცებულება, რომელზედაც მხარემ დაამყარა თავისი პოზიცია, რითაც იგი აშკარა უთანასწორო პირობებში აღმოჩნდება მეორე მხარესთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ 2006 წლის 28 აპრილის ცვლილებით<sup>147</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გაუქმდა ზემოთ აღნიშნული 441-ე მუხლი, ანუ კანონმდებელმა ნორმის დაზუსტებისა და საქმის განხილვის გადადების ვადების ზუსტად განსაზღვრის ნაცვლად მთლიანად გააუქმა ნორმა, რითაც კიდევ

---

<sup>145</sup> იხ. გვენეტაძე ნინო, ტურავა მერაბი., სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი., 2005 წ. გვ. 84

<sup>146</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის კანონი N1251, პარლამენტის უწყებანი, №13-14, 08.04.1998 წ., გვ. 31.

<sup>147</sup> იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №2936, სსმ I, №14, 15.05.2006 წ., მუხ. 89.

უფრო ბუნდოვანი გახდა მოსამართლეთა მხრიდან საკუთარი ინიციატივით საქმის განხილვის გადადების საფუძველი და შესაბამისად ვადებიც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის მიზანი მარტოდენ გაუქმებულ ნორმაზე მსჯელობა არ გახლავთ. პრობლემა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, რომელიც საქართველოში 2010 წლის 01 ოქტომბრიდან ამოქმედდა<sup>148</sup>, 185-ე მუხლით - სასამართლო განხილვა მიმდინარეობს უწყვეტად, გარდა შესვენებისათვის საჭირო დროისა. სასამართლო საქმის განხილვის გადადება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით შესაძლებელია მხოლოდ მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, მხარის, მოწმის ან თარჯიმნის გამოუცხადებლობის, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, აგრეთვე ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. საქმის განხილვის გადადების პერიოდში სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს სხვა სისხლის სამართლის საქმე (შუამდგომლობა, საჩივარი).

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: ის, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს საქმის განხილვის გადადების საფუძველს ძალიან კარგია, თუმცა კვლავ ბუნდოვანია საქმის განხილვის გადადების ვადა, რაც შეიძლება მოსამართლის მიერ გამოყენებული იქნეს არასწორად და განხილვა თავისი შეხედულებისამებრ გადადოს გაცილებით მეტი დროით, ვიდრე ეს საჭიროა გადადების მიზეზის აღმოფხვრისათვის. ამასთან კანონმდებელი უფლებას აძლევს სასამართლოს საქმის განხილვის გადადების პერიოდში განიხილოს სხვა სისხლის სამართლის საქმე, რაც უარყოფითად მოქმედებს გადადებული საქმის შემდგომ მსვლელობაზე, რადგან მოსამართლეს შეიძლება დაავიწყდეს საქმის შინაარსი ან განხილვისას გამოვლენილი გარემოებები, მოწმეები სასურველი დამაჯერებლობით ვეღარ იხსენებენ ფაქტებს, მოვლენებს და სხვა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე უმჯობესი იქნებოდა საქმის გადადების ვადა განსაზღვრულიყო გადადების მიზეზის აღმოფხვრისათვის საჭირო დროის მონაკვეთით,

---

<sup>148</sup> იხ. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ. 190.

რომლის გასვლამდეც სხვა სისხლის სამართლის საქმის განხილვა იგივე მოსამართლემ არ უნდა განახორციელოს.

### **3.2. შეჯიბრებითობის პრინციპი**

შეჯიბრებითობის პრინციპი წარმოადგენს კონსტიტუციურ - სამართლებრივ პრინციპს და იგი დამახასიათებელია ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესებისათვის.

წმინდა შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესის არსებობას მიზანშეუწონლად მიიჩნევს კონტინენტალურ-ევროპული სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემა. იგი უკავშირდება ისეთ ფუნდამენტურ საკითხს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი სახელმწიფოს სახელით მიღებულ განაჩენზე. წმინდა შეჯიბრებითობის დროს ასეთ პასუხისმგებლობას თავის თავზე ვერ აიღებს სასამართლო. წმინდა შეჯიბრებითი პროცესის პირობებში მხოლოდ მხარეთა ინიციატივით უნდა ხდებოდეს მტკიცებულებათა წარმოდგენა და გამოკვლევა და მოსამართლე უნდა ასრულებდეს მხოლოდ არბიტრის ფუნქციას. მას უფლება არა აქვს, თავისი ინიციატივით შეავსოს სასამართლო გამოძიების თუნდაც აშკარა ხარვეზები. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, სასამართლო ვერ იქნება გადაწყვეტილების სამართლიანობაზე პასუხისმგებელი. თუ სახელმწიფო ბრალდების მხარე ძლიერია და დაცვის მხარე შედარებით სუსტი, ამან შეიძლება გამოიწვიოს განსასჯელისთვის საზიანო გადაწყვეტილების მიღება. ასეთ ვითარებაში, როცა სასამართლო გამოძიების ხარვეზები შეიძლება შეივსოს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენით, რომლის მოპოვებისა და წარმოდგენის შესახებ ინიციატივას არ გამოხატავს დაცვის მხარე, წმინდა შეჯიბრებითობის პრინციპი განსასჯელის საზიანოდ იქნება გამოყენებული. იმისათვის, რომ არ იქნეს დაშვებული განსასჯელის უფლების დარღვევა, კონტინენტალურ-ევროპული სისტემის ქვეყნებში, მხარეთა მიერ თავიანთი შუამდგომლობებისა და მოქმედების ამოწურვის შემდეგ, სასამართლოს უფლება ეძლევა, გააგრძელოს სასამართლო გამოძიება მასში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, რომ მან ამით საბოლოოდ შეძლოს ისეთი განაჩენის დადგენა,

რომელიც კანონიერი და იმავდროულად სამართლიანიც იქნება. თუმცა ამაში როდი იგულისხმება აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენის ამოცანა, ვინაიდან სისხლის სამართალში მოქმედებს სხვადასხვა პრინციპები, რომლებიც სამართლიანობის პრინციპიდან გადახვევას ითვალისწინებენ განსასჯელის სასარგებლოდ. სისხლის სამართლის პროცეში მოქმედებს, მაგალითად, პრინციპი: ყველა ეჭვის ბრალდებულის (განსასჯელის) სასარგებლოდ გადაწყვეტის შესახებ. მაშასადამე, არც კონტინენტალური ევროპის ქვეყნებში არის სამართლიანობა ყველა განაჩენის დადგენის აუცილებელი კრიტერიუმი. ამ პრინციპიდან გადახვევა შეიძლება მოხდეს განსასჯელის სასარგებლოდ იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულება, რომელიც უტყუარად ადასტურებს პირის ბრალეულობას, მოპოვებულია კანონით აკრძალული მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით. ასეთი მტკიცებულება ჩაითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად, რის გამოც იგი საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს და ამას შეიძლება მოჰყვეს პირის გამართლება. ასეთი მიდგომა გამართლებულია იმითაც, რომ კანონდარღვევით მტკიცებულებების მოპოვება ხშირად პირდაპირ იწვევს ადამიანის რიგი უფლებების შელახვას, ხოლო უფლების შელახვით სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელება ნონსენსი იქნებოდა.

სასამართლო განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტში. მიუხედავად ამ კონსტიტუციური ნორმისა, ჩვენს ქვეყანაში საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ისევე როგორც ადმინისტრაციული პროცესი) იურისტთა აზრით წმინდა შეჯიბრებითი არ იყო, რადგან იგი ინკვიზიციურობის ელემენტებსაც შეიცავდა.<sup>149</sup> თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ძალადაკარგულად გამოცხადების დროისათვის, მასში განხორციელებული არაერთი ცვლილებით, მხარეთა შეჯიბრებითობის თვალსაზრისით საგრძნობლად გაუმჯობესებული იყო.

---

<sup>149</sup> იხ. ნინო გვენეტაძე, მერაბ ტურავა, სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2005 წ. გვ. 82-83



ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით<sup>150</sup> გამყარებულია შეჯიბრებითობის პრინციპი, სადაც მხარეებს თანაბარი უფლებები გააჩნიათ. მოსამართლე, როგორც ნამდვილი არბიტრი, წარმართავს მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილვის მიმდინარეობას, მისი მოვალეობაა წაიყვანოს პროცესი და მხარეებს მტკიცებულებების წარმოსადგენად თანაბარი საშუალება მისცეს. ასევე მოსამართლეს არ აქვს უფლება და არ ეკისრება ავდებულება, რომ შეითავსოს ამა თუ იმ მხარის ფუნქცია, რაც სასამართლო განხილვის სამართლიანობისაკენ გადადგმულ ნაბიჯად შეგვიძლია შევაფასოთ<sup>151</sup>. რაც შეეხება მტკიცებულების მოპოვებას, აქაც ძირეული ცვლილებები განხორციელდა: დაცვისა და ბრალდების მხარეს აქვს საშუალება, თანაბარი ძალებით მოიპოვონ მტკიცებულებები, ჩაატარონ საგამომიებო მოქმედებები გარდა ჩხრევისა და ამოღებისა რომლის ჩატარების უფლება ადვოკატს არ გააჩნია<sup>152</sup>.

ადმინისტრაციულ პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპს ადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი. შეჯიბრებითობის პრინციპი, თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, გულისხმობს ადმინისტრაციული პროცესის ყოველი სუბიექტის შესაძლებლობას საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით გამოიყენოს კანონით დაშვებული ყველა საშუალება, იქნება ეს მტკიცებულებათა წარმოდგენა, ზეპირი თუ წერილობითი განცხადების გაკეთება და სხვა.

ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებიდან არანაკლებ მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის იმავე მუხლით განსაზღვრული ინკვიზიციურობის პრინციპიც. ამ პრინციპის არსი ისაა, რომ საქმის განმხილველი ადმინისტრაციული სასამართლო, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია თავად იზრუნოს მხარეთა მიერ წარმოდგენილის გარდა სხვა დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებაზეც. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ინკვიზიციურობის პრინციპი მხარეებს არ ათავისუფლებს მათ ხელთ არსებული მტკიცებულებების წარმოდგენისაგან, რათა მათი მოთხოვნები

---

<sup>150</sup> იხ. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ.190.

<sup>151</sup> იხ. იქვე მუხლი 25.

<sup>152</sup> იხ. იქვე მუხლი 111-ის მე-2 პუნქტი.

საკმარისად იყოს დასაბუთებული, ამავე დროს ეს პრინციპი იძლევა არაერთგვაროვანი შესაძლებლობების მქონე მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების თანაბარი სასამართლო დაცვის უზრუნველყოფის გარანტიას.

ადმინისტრაციულ პროცესში მოწმე შეიძლება გამოძახებული იქნას არა მარტო მხარის ინიციატივით, არამედ სასამართლოს ინიციატივითაც, განსხვავებით სამოქალაქო პროცესისაგან, სადაც მოწმე შეიძლება დაასახელოს მხარემ, ხოლო სასამართლოს არ შეუძლია თვითონ დაასახელოს მოწმე, გამოიძახოს და დაკითხოს იგი.<sup>153</sup>

აქვე აღსანიშნავია, რომ იურისტთა წრეებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადმინისტრაციულ სასამართლოს ხშირად მოიხსენიებენ როგორც "ინკვიზიციურ" სასამართლოს<sup>154</sup>. ჯ. რუსიაშვილისა და ი. ტაბუცაძის მოსაზრებით - "მტკიცებულებათა შეგროვებისას გამოკვლევის პროცესში აქტიურობის გამოჩენის შესაძლებლობის მინიჭების გამო არის მიჩნეული ადმინისტრაციული სასამართლო პროცესი ინკვიზიციურად."<sup>155</sup> თუმცა, ამ მხრივ განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს პროფესორი ვალერი ლორია.<sup>156</sup>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო არ უნდა იქცეს საქმეზე გამოძიების მწარმოებელ ორგანოდ. მან ინკვიზიციურობის ელემენტები უნდა ამოქმედოს კონკრეტული საქმის საჭიროებიდან გამომდინარე ზუსტად განსაზღვრული ამოცანის მისაღწევად, ხოლო მხარეებმა უარი არ უნდა იქვან მათთვის მინიჭებული უფლებების გამოყენებაზე იმ იმედით, რომ სასამართლო თავად დაადგენს საქმის ყველა ფაქტობრივ გარემოებას.

### **3.3. დასწრება სასამართლო განხილვაზე**

---

<sup>153</sup> იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2004 წ. გვ. 252-253.

<sup>154</sup> იხ. გვენეტაძე გიორგი, ჟურნალი, პროფესია ადვოკატი №2 2007 წ. გვ. 29.

<sup>155</sup> იხ. რუსიაშვილი, ჯ., ტაბუცაძე, ი., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2000 წ., გვ. 23.

<sup>156</sup> იხ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი: გ.გიორგაძე, მ. კოპალეიშვილი, ა. ლორია, ვ. ლორია, ხ. ლორია, მ. სალხინაშვილი, ნ. წკეპლაძე, ც.ჩქარეული, ი. ხარშილაძე. თბილისი, 2007 წელი;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი<sup>157</sup> ადგენს, რომ განსასჯელის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში სავალდებულოა, რის გამოც საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა უზრუნველყოს განსასჯელის წარმოდგენა სასამართლო სხდომაზე ბადრაგის მიერ, თუ ის პატიმრობაშია, ხოლო სხვა შემთხვევაში დროზე უნდა შეატყობინოს მას პროცესის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 189-ე მუხლის პირველ პუნქტში (2010 წლის რედაქციით) მიუთითებს იმ შემთხვევას, როცა სასამართლოს შეუძლია ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა. ერთი საკითხი, რომელსაც საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა მიაქციოს ყურადღება არის ის, რომ ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვაში მისი დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის პირველი პუნქტით დასაშვებია ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა, თუ იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, რაც ნამდვილად ვერ ჩაითვლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, რადგან სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განსასჯელს უფლება უნდა ჰქონდეს დაესწროს სასამართლო განხილვას<sup>158</sup>. მის გარეშე სასამართლო განხილვის ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუკი ხელისუფლების ორგანოები მოქმედებდნენ პატიოსნად და ჯეროვანი ღონისძიებები განახორციელებს განსასჯელის წარსადგენად სასამართლო სხდომაზე, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო<sup>159</sup>.

პირის უფლება, დაესწროს სააპელაციო საჩივარს, დამოკიდებულია თვით ამ საჩივრის ფარგლებზე. ანუ, იმ

---

<sup>157</sup> იხ. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ.190.

<sup>158</sup> იხ. Ekbatani v. Sweden. ევროპული სასამართლოს 1988 25 მაისის გადაწყვეტილება, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი) სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ. 2008; გვ. 95

<sup>159</sup> იხ. Colloza and Rubinat v. Italy. ევროპული სასამართლოს 1995 წლის გადაწყვეტილება.

შემთხვევაში, თუკი სასამართლო განიხილავს მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს, ანუ საკასაციო საჩივარს, განმცხადებლის დასწრება არ არის აუცილებელი. იმ შემთხვევაში, თუკი განიხილება როგორც ფაქტები, ასევე სამართლებრივი საკითხები, განმცხადებლის დასწრების აუცილებლობა განსაზღვრულ უნდა იქნეს იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად შეუწყობს აღნიშნული ხელს სასამართლოს იმსჯელოს ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით.<sup>160</sup>

ჩაითვლება თუ არა ბრალდებულის ან სამოქალაქო მოსარჩელის პროცესზე არ დასწრება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად, დამოკიდებულია ყოველი კონკრეტული სამართალწარმოების ბუნებაზე. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი იცავს ზეპირი სასამართლო განხილვის უფლებას, თუკი საქმე მხოლოდ ერთი ინსტანციით განიხილება. საქმეში “ალან ჯაკობსონი შვედეთის წინააღმდეგ”<sup>161</sup>, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა. ეს სასამართლო პროცესი შეეხებოდა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მსგავს საქმეებში, სადაც საქმე პირველი და ერთადერთი ინსტანციის მიერ განიხილება “უფლება საჯარო განხილვაზე” აუცილებლად მოიცავს ზეპირი განხილვის უფლებას, თუკი არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული გარემოება, რომელიც ასეთი მოსმენის გამართვას შეუძლებელს ხდის. აქედან გამომდინარე, განმცხადებელი უნდა დაესწროს მოსმენას სულ მცირე ერთ სასამართლო ინსტანციაში, რათა სადავოდ გამხდარი შიდა სამართალწარმოება იყოს მე-6 მუხლის შესაბამისი.

უნდა მიეცეს თუ არა მოსარჩელე მხარეს ან მსჯავრდებულ პირს ზეპირი განხილვის უფლება აპელაციის ეტაპზე, მთლიანად დამოკიდებულია შიდა კანონმდებლობით განსაზღვრული

---

<sup>160</sup> იხ. Beliziuk v. Poland ევროპული სასამართლოს 1998 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება.

<sup>161</sup> იხ. Allan Jacobsson (no. 2) v. Sweden, ევროპული სასამართლოს 1998 წლის გადაწყვეტილება, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი) სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ. 2008; გვ. 94.

პროცესის მთლიანობაში შეფასებასა და სააპელაციო სასამართლოს როლზე.

საქმეში- "ეკბატანი შვედეთის წინააღმდეგ"<sup>162</sup> განმცხადებელს მსჯავრი დაედო პირველ ინსტანციაში გამართული მოსმენის შემდეგ. განმცხადებლის სააპელაციო საჩივარი ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილეს. ევროპული სასამართლო იძულებული გახდა შეესწავლა შვედური სააპელაციო სისტემის არსი, სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლები და წესი, რომლის მიხედვითაც განმცხადებლის ინტერესები წარდგენილი და დაცული იყო სააპელაციო სასამართლოში. მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლოს ფუნქციას წარმოადგენდა საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების განხილვა და მისი მთავარი ამოცანა იყო დაედგინა განმცხადებლის ბრალეულობა. ასეთ ვითარებაში სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლის ბრალეულობის თუ უდანაშაულობის საკითხი მართებულად ვერ გადაწყდებოდა ბრალდებულის მიერ უშუალოდ სასამართლო პროცესზე პირადად გაკეთებული ახსნა-განმარტების შეფასების გარეშე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა მოესმინა ბრალდებულისა და ბრალდების მხარისათვის. რადგანაც მოცემულ შემთხვევაში ამას არ ჰქონია ადგილი, სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს ზეპირი მოსმენის გამართვას პირველი ინსტანციით, ხოლო სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში დასაშვებია საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა, თუმცა, ზეპირ მოსმენას სავალდებულოდ მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების განხილვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის პრაქტიკამ მანკიერი ხასიათი მიიღო. ქართული კანონმდებლობით სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში დასაშვებია საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა, თუმცა შემამფოთებელია სტატისტიკა, რომლითაც ირკვევა, რომ საქართველოში საკასაციო

---

<sup>162</sup> იხ. Ekbatani v. Sweden. ევროპული სასამართლოს 1988 25 მაისის გადაწყვეტილება, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი) სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ. 2008; გვ. 95

სასამართლოში სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების 99% ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 10 ივლისის ოფიციალური სტატისტიკა (იხ. დანართი)<sup>163</sup> (2009 წლის და 2010 წლის 5 თვის მონაცემებით) ზეპირი მოსმენის გარეშე განხილული საქმეების ასეთია: (საქართველოს უზენაეს სასამართლოში ზეპირი მოსმენის გარეშე განხილული საქმეების სტატისტიკა, სქემა №3, გვ.94)

*საქართველოს უზენაეს სასამართლოში ზეპირი მოსმენის გარეშე  
განხილული საქმეების სტატისტიკა*

სქემა №3

<b>2009 წელი:</b>		
საქმის განმხილვეელი პალატა	სულ განხილულია	მათ შორის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილულია
სისხლის სამართლის საქმე	1409 საქმე	1388 საქმე
სამოქალაქო საქმე	1237 საქმე	1130 საქმე
ადმინისტრაციული საქმე	1874 საქმე	1659 საქმე
<b>2010 წლის 5 თვე:</b>		
საქმის განმხილვეელი პალატა	სულ განხილულია	მათ შორის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილულია
სისხლის სამართლის საქმე	549 საქმე	542 საქმე
სამოქალაქო საქმე	482 საქმე	444 საქმე
ადმინისტრაციული საქმე	594 საქმე	540 საქმე

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ზეპირი მოსმენის გარეშე საქმეების განხილვის პრაქტიკამ იმდენად მასიური ხასიათი მიიღო, რომ თითქმის ყველა საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოში პროცესის გამართვის გარეშე განიხილება, თუ არ ჩავთვლით იშვიათ გამონაკლის შემთხვევებში გამართულ ზეპირ მოსმენებს, მაშინ როდესაც ევროპული სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გამართვის შესაძლებლობას გამონაკლის

<sup>163</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლო, წერილი'35-ვ; 13.07.2010 წელი; ზეპირი მოსმენის გარეშე განხილული საქმეების სტატისტიკა.

შემთხვევებში უშვებს, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს არ შეესაბამება.

### **3.4. საქმის განხილვის გონივრული ვადა**

სასამართლო დაცვა ეფექტური შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როცა იგი დროულად ხორციელდება. ერთი მხრივ, ეს ნიშნავს, რომ, სასამართლო პროცესები უნდა ჩატარდეს გონივრულად მისაღებ ვადებში და არ მოხდეს მათი დაუსრულებელი გაჭიანურება. ამით სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლება მოითხოვს მართლმსაჯულება განხორციელდეს გაჭიანურების გარეშე. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი პროცედურები, რომელიც შეესაბამება ძირითადი უფლების ამ მოთხოვნას და უზრუნველყოფს მოქალაქის უფლებას სამართლიან, დროულ და ეფექტიან სასამართლოზე.

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ყველასათვის უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, რომელიც უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში.

გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვის უფლების მიზანს წარმოადგენს მხარეების დაცვა პროცესის გაჭიანურებისაგან. საკითხი, თუ დროის რა პერიოდი იქნება მიჩნეული გონივრულად საქმის განხილვისას, დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე. მაშინ, როდესაც ვადის გონივრულობის შეფასება ხდება, ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სამ საკითხზე: საქმის სირთულეზე, განმცხადებლისა და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების ქცევაზე. ევროპული სასამართლო სამივე სადავო საკითხს ცალ-ცალკე განიხილავს და მიდის დასკვნამდე, ჰქონდა თუ არა ადგილი საქმის გაჭიანურებას მთლიანობაში ან ცალკეულ ეტაპებზე.

გონივრული ვადის ათვლა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საქმეებში იწყება სამართალწარმოების დაწყებისთანავე, ხოლო სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საქმეებში – ბრალდების წაყენებისთანავე. რაც შეეხება გონივრული ვადის დინების შეწყვეტას, ეს მომენტი დგება მაშინ, როდესაც

საქმესთან დაკავშირებული სამართალწარმოება მთავრდება უმაღლეს ინსტანციაში, ანუ, როდესაც საქმესთან დაკავშირებული განხილვის შედეგად გამოტანილ იქნება საბოლოო გადაწყვეტილება.

ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებში ცალკეული ქვეყნების ეროვნული სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვა გაუმართლებელი ხანგრძლივობით გრძელდებოდა. დარღვევა დადგენილი იქნა, მაგალითად იმ შემთხვევაში, როცა საქმეში "ნუვოლი იტალიის წინააღმდეგ", მომჩივნის საქმე ერთსა და იმავე სასამართლოს წარმოებაში იმყოფებოდა 5 წლისა და 10 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, აქედან 3 წელი და 4 თვე უსაფუძვლოდ იყო გაჭიანურებული, რაც ევროპული სასამართლოს აზრით იტალიის ხელისუფლებას უნდა შერაცხოდა ბრალად.<sup>164</sup> ევროპული სასამართლო ყველაზე ხშირად განიხილავს სწორედ სამართალწარმოების გაჭიანურებასთან დაკავშირებულ საჩივრებს, ვიდრე სხვა ნებისმიერ დარღვევას. საქმეში "ბოტაცი იტალიის წინააღმდეგ" <sup>165</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიის სასამართლოების მიერ საქმის განხილვის გონივრული ვადების სისტემატიური დარღვევა წარმოადგენდა კონვენციასთან შეუთავსებელ ადამიანის უფლებათა დარღვევას.

კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დადგინდა, საქმეში - "კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ", როცა განსახილველი პერიოდი მოიცავდა 5 წელს და 2 თვეს. ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა რუსეთის მთავრობის მიერ იმის აღიარება, რომ მოცემული საქმის განხილვის გაჭიანურება არ შეიძლებოდა საქმის სირთულით გამართლებულიყო. გარკვეული გაჭიანურება შესაძლოა მომჩივნის ბრალითაც მომხდარიყო, მაგრამ ცხადი იყო, რომ მისმა მოქმედებამ არსებითი გავლენა ვერ მოახდინა საქმისწარმოების მთელ ხანგრძლივობაზე. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლებამ კალაშნიკოვის

---

<sup>164</sup> იხ. *Nuvoli v. Italy* ( N 41424/98) ევროპული სასამართლოს 2002 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, შემდგენელი ე. გოცირიძე თბ. 2005. გვ. 231

<sup>165</sup> იხ. *Bottazzi v. Italy*, (28/7/1999) ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ.2008. გვ. გვ. 123



საქმის განხილვის დროს არ შეასრულა თავისი ვალდებულება-გულდასმითა და სათანადო პასუხისმგებლობით მოკიდებოდა საქმეს, რაზედაც თავისთავად მეტყველებდა ის ფაქტი, რომ კალაშნიკოვი საქმის წარმოების მთელი პროცესის განმავლობაში პატიმრობაში იქნა დატოვებული.<sup>166</sup>

ევროპული სასამართლო ეროვნულ სასამართლოებში განხორციელებული სამართალწარმოების ხანგრძლივობის შემოწმებას იწყებს იმ დღიდან, როდესაც ხელშემკვრელმა სახელმწიფომ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება. თუმცა, მხედველობაში მიიღება დროის ის ხანგრძლივობა, რომელიც გავიდა რატიფიცირებამდე.<sup>167</sup>

ევროპულმა სასამართლომ მის მიერ დადგენილ პრეცედენტულ სამართალში აღნიშნა, რომ როდესაც საკითხი ეხება ეროვნულ ინსტანციებში განხორციელებული სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ფაქტორები: განსახილველი საქმის სირთულე; განმცხადებლის ქმედებები და მისი ქცევა; სახელმწიფოს მართლმსაჯულებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ქმედებები.<sup>168</sup>

ამასთან ერთად, სასამართლოს არ დაუწესებია რაიმე უნივერსალური სახის სტანდარტი გონივრულ ვადასთან დაკავშირებით, არამედ მხედველობაში იღებს კონკრეტული საქმის გარემოებებს და ზემოხსენებული კრიტერიუმების საფუძველზე ახორციელებს საქმის მთლიან და ყოვლისმომცველ შეფასებას.

საქმის სირთულის შეფასებისათვის საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტორი უნდა იქნეს გამოკვლეული. საქმის სირთულე შესაძლოა დაკავშირებული იყოს როგორც ფაქტებთან, ასევე სამართლებრივ საკითხებთან. ევროპული

---

<sup>166</sup> იხ. Kalashnikov v. Russia ( N 47095/99) ევროპული სასამართლოს 2002 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, შემდგენელი ე. გოცირიძე, თბ. 2005. გვ 291-292

<sup>167</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, გამომცემელი საია, თბილისი, 2004 წ. ევროპული სასამართლოს 1997 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე - Proszak v. Poland

<sup>168</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, წიგნი I. გამომცემელი: ევროსაბჭო, თბილისი 2004; ევროპული სასამართლოს 1981 წლის 06 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე - Buchholz v. the Federal Republic of Germany

სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტების ხასიათს, რომლებიც დადგენილ უნდა იქნეს. ასევე, საქმეში მონაწილე ბრალდებულებისა და მოწმეების რაოდენობას, საქმეების გაერთიანებას, პროცედურაში სხვა პირების ჩარევას.

თუ სამართალწარმოების გაჭიანურება გამოწვეულია განმცხადებლის მიზეზით, უსაფუძვლოდ ჩაითვლება მისი საჩივარი სამართალწარმოების გაჭიანურებასთან დაკავშირებით. თუმცა, განმცხადებლის საწინააღმდეგო არგუმენტად არ შეიძლება მოყვანილ იქნეს ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელმა მიმართა და სრულად გამოიყენა თავის დასაცავად ის საპროცესო საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაცვის განხორციელებისათვის. ამასთან ერთად, განმცხადებელი ვალდებული არ არის აქტიურად ითანამშრომლოს იმ სამართალწარმოების დაჩქარებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც მას უეჭველად ემუქრება მსჯავრის დადება წაყენებულ ბრალდებაში. იმ შემთხვევაში, თუკი განმცხადებელი ცდილობს თავისი ქმედებებით დააჩქაროს სამართალწარმოების განხორციელება, აღნიშნული ჩაითვლება მის სასარგებლოდ. ხოლო, თუკი იგი აქტიურად არ ცდილობს სამართალწარმოების დაჩქარებას, ეს ნეგატიურად არ აისახება განმცხადებლის პრეტენზიაზე სამართალწარმოების გაჭიანურებასთან დაკავშირებით.

სამართალწარმოების გაჭიანურების შემთხვევები სამოქალაქო სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საქმეებში მოიცავს: სამართალწარმოების გადადებას სხვა საქმეზე განაჩენის დადგენამდე; სასამართლო განხილვის ან სახელმწიფოს მიერ მტკიცებულების წარმოდგენის გადადებას; სასამართლოს რეგისტრატურის ან ადმინისტრაციული ორგანოების ბრალით გამოწვეულ გაჭიანურებას. სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საქმეებში მოიცავს: სასამართლოებს შორის საქმეების მოძრაობას; ორი ან მეტი განსასჯელის საქმის მოსმენას ერთდროულად; განაჩენის მიწოდებას ბრალდებულისათვის.

ევროპული სასამართლოს აზრით, სახელმწიფოებმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ და განახორციელონ ადეკვატური ღონისძიებები, რათა მათი სასამართლო სისტემა იყოს მოქნილი და ეფექტური. ადეკვატური ღონისძიებები შესაძლოა მოიცავდეს და გულისხმობდეს დამატებითი მოსამართლეებისა თუ ადმინისტრაციული პერსონალის დანიშვნას. თუმცა, ზოგადად

არ დადგინდება დარღვევა, თუკი: სასამართლოების წინაშე განსახილველი საქმეების დაგროვებას დროებითი ხასიათი აქვს, გამონაკლისს წარმოადგენს, ან აღნიშნულის აღმოსაფხვრელად სახელმწიფომ ყველა აუცილებელი ღონისძიება განახორციელა გონივრულ ვადაში. როდესაც აღნიშნულთან დაკავშირებით ევროპულ სასამართლოს გამოაქვს საკუთარი გადაწყვეტილება, მხედველობაში იღებს შესაბამისი სახელმწიფოს პოლიტიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას.

საქმეში- "ლალი ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ"<sup>169</sup> 2009 წლის 10 თებერვალს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა, აპლიკანტი მიუთითებდა, რომ მისი სამოქალაქო საქმის განხილვა გაჭიანურდა, რითიც დაირღვა გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი განხილვის უფლება. აღნიშნული სამოქალაქო საქმე ადგილობრივ სასამართლოებში შვიდი თვის განმავლობაში (2005 წლის 20 ივლისიდან 2006 წლის 13 მარტამდე) იყო უმოქმედოდ დატოვებული.

მართლმსაჯულების ეროვნული ორგანოების მიერ განხორციელებული მცდელობები, სამართალწარმოების მაქსიმალურად დაჩქარებასთან დაკავშირებით, ძალიან დიდ და მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმაში, რომ განმცხადებლებმა ისარგებლონ მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიებით.

ხსენებულიდან გამომდინარე, ეროვნულ სასამართლოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ სამართალწარმოების ყველა მონაწილემ მაქსიმალურად ეცადოს თავიდან აიცილოს აუცილებლობას მოკლებული გაჭიანურება.

საქმეში "კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ"<sup>170</sup>, სასამართლომ ისიც კი დაადგინა, რომ ადგილობრივი კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს ცალკე სასამართლო პროცესის ჩატარების შესაძლებლობას, რომელიც იქნებოდა ეფექტური დაცვის საშუალება პროცესის გაჭიანურებასთან დაკავშირებით. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გონივრულ ვადაში სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის გამო

<sup>169</sup> იხ. ლალი ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, №41957/04, ევროპული სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვალის გადაწყვეტილება.

<sup>170</sup> იხ. Kudla v. Poland, ევროპული სასამართლოს 2000 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ.2008. გვ. გვ. 124

მიყენებული ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს ისევე, როგორც ამას თვითონ ევროპული სასამართლო აკეთებს მსგავს საქმეებში.

საქმეში “კოკიარელა იტალიის წინააღმდეგ”<sup>171</sup> და მასთან ერთად სხვა ცხრა იტალიურ საქმეში, განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ უმიზეზოდ გაჭიანურებული საქმეების გამო მათ უბრალოდ სასაცილო ოდენობის კომპენსაცია შესთავაზეს. მათ კომპენსაციისთვის მიმართეს იტალიურ სასამართლოებს გაჭიანურებული სამოქალაქო პროცესების გამო. ყველა ამ საქმეში დადგინდა, რომ პროცესები მართლაც გაჭიანურებული იყო და განმცხადებლებს მიეკუთვნათ 1 000-დან 5 000 ევროს ოდენობის კომპენსაცია. დადგენილი იქნა რა მე-6 მუხლის დარღვევა, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ცხრავე საქმეში მიღებული კომპენსაცია შეადგენდა იმ თანხის 8%-დან 27%-ს, რომელსაც მსგავს იტალიურ საქმეებში ევროპული სასამართლო აწესებდა განმცხადებლების სასარგებლოდ.

ევროპული სასამართლო ასევე მიუდგა საქმეს ხორვატიის წინააღმდეგ და დაადგინა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პროცესის გაჭიანურების გამო დანიშნული კომპენსაცია გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე მსგავს საქმეებში ევროპის სასამართლოს მიერ მიკუთვნებული.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს ამგვარ პროცედურას, ანუ საქმის გაჭიანურების გამო გასაჩივრების უფლებას, თუმცა ამ მხრივ წინგადაგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (რომელიც 2010 წლის პირველ ოქტომბერს ამოქმედდა)<sup>172</sup> მე-8 მუხლის შემდეგი დანაწესი:

„1. ბრალდებულს (მსჯავრდებულს, გამართლებულს) აქვს სამართლიანი პროცესის უფლება.

2. ბრალდებულს აქვს უფლება სწრაფი მართლმსაჯულებისა ამ კოდექსით დადგენილ ვადებში. პირს უფლება აქვს უარი

<sup>171</sup> იხ. *Cocchiarella v Italy* ევროპული სასამართლოს 2006 წლის გადაწყვეტილება. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ.2008. გვ. გვ. 124

<sup>172</sup> იხ. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ. 190.

განაცხადოს ამ უფლებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადო მომზადებისათვის.

3. სასამართლო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა”.

რეკომენდაციის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი პროცედურის არსებობა შედარებით წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ადამიანის ისეთი ძირითადი უფლების დაცვისკენ, როგორც არის გონივრულ ვადაში მისი საქმის განხილვის უფლება. თუმცა საქმის გაჭიანურების გამო გასაჩივრებისა და სათანადო კომპენსაციის მიღების შესაძლებლობის კანონმდებლობით გათვალისწინება აშკარად გაზრდიდა აღნიშნული უფლების დაცვის გარანტიებს.

### **3.5. მტკიცებულებათა დასაშვებობა**

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“. ეს დებულება მეორდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-72 მუხლის პირველ პუნქტში<sup>173</sup>. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის (მუხლი 157), კერძო საუბრის საიდუმლოების (მუხლი 158), პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების (მუხლი 159), ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევისათვის (მუხლი 160). ეს პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა მარტო კერძო პირებს, არამედ სახელმწიფოს წარმომადგენელ იმ ოფიციალურ პირებსაც, რომლებიც კანონის მოთხოვნათა დარღვევით იჭრებიან ადამიანის პირად ცხოვრებაში. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ადამიანის პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებები მხოლოდ კანონის საფუძველზე და კანონით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემთხვევაში

---

<sup>173</sup> იხ. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ. 190.

შეიძლება შეიზღუდოს, ეს შეზღუდვა კი სახელმწიფომ შეიძლება განახორციელოს მხოლოდ კანონით დადგენილი წესების შესაბამისად. ყოველივე ამის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი კი კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტია, რომელიც ზღუდავს სახელმწიფოს და ავალდებულებს მას, საჭიროების შემთხვევაში, მხოლოდ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და არა საკუთარი სურვილისამებრ ჩაერიოს ადამიანთა ცხოვრებაში. ამავე დროს, აღნიშნული დებულება აფრთხილებს სახელმწიფოს, კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას არ ექნება იურიდიული ძალა და იგი პასუხს აგებს ამ დარღვევისათვის.

კონსტანტინე კორკელიას სამართლიანი შენიშვნით<sup>174</sup> კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტი ყურადღებით უნდა განიმარტოს- „თავდაპირველად ისე ჩანს, რომ ამ ნორმით იურიდიული ძალის არმქონედ არის გამოცხადებული ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც კანონის დარღვევით იქნება მოპოვებული. კონსტიტუციის მიღების შემდეგ საქართველოს სასამართლოთა სამართალშემოქმედება ცხადყოფს, რომ მოსამართლეები, კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ასეთ მტკიცებულებებს უარყოფენ, არ მიიჩნევენ დასაშვებად და გადაწყვეტილების მიღებისას არ ითვალისწინებენ მათ. როცა საქმე ეხება სახელმწიფოს (საგამომიებო ორგანოების) მიერ ბრალდების სასარგებლოდ კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, ბუნებრივია, ასეთი მიდგომა აუცილებელია და სავსებით შეესაბამება კონსტიტუციის მოთხოვნას. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციითა და კანონმდებლობით აღიარებულ სამართალწარმოების თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს, ეს იმას ნიშნავს, რომ დაცვის მხარესაც აქვს უფლება და შეეცდება მოიპოვოს ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებები. სწორედ ასეთ მტკიცებულებებზე არ ვრცელდება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი ზოგადი ნორმა, რადგან ამ ნორმის მთავარი მიზანია დაისაჯოს

---

<sup>174</sup> იხ. ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, გიორგი ხუბუა, კონსტანტინე კუბლაშვილი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემელი „მერიდიანი“, თბ. 2005. გვ. 387-388.

მხოლოდ დამნაშავე: იგი უკრძალავს სასამართლოს უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებას სწორედ იმიტომ, რომ არ მოხდეს უდანაშაულო ადამიანის დასჯა”. აქვე მოყავს საინტერესო მაგალითი - „სასამართლო პროცესი, რომელშიც განსასჯელს ბრალი ედება მეზობლის მკვლელობაში, რომელთანაც მას სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პრობლემების გამო მეტად რთული და დამაბული ურთიერთობა ჰქონდა. სასამართლო პროცესზე დაცვის მხარეს მოაქვს მტკიცებულება - ვიდეოფირი, რომელიც უკანონოდ არის მოპოვებული. ვიდეოფირის უკანონობას თავად დაცვის მხარეც აღიარებს, რადგან აცხადებს, რომ ვიდეოფირი მოიპარეს იმ საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთი მობინადრის ბინიდან, რომლის სადარბაზოსთანაც მოხდა მკვლელობა. ამ მობინადრეს კი, თავის მხრივ, ასევე კანონის დარღვევით ჰქონდა დამონტაჟებული სადარბაზოს შესასვლელთან ფარული ვიდეო კამერა, რომელიც აფიქსირებდა ყველა შემსვლელსა და გამომსვლელს, აგრეთვე ქუჩაში გამვლელ მოქალაქეებს. ამ ვიდეოფირზე აღბეჭდილი იყო მკვლელობის ფაქტიც, და გვიანი ღამისა და სიბნელის მიუხედავად, გარკვევით ჩანდა, რომ მკვლელი სულ სხვა პირი იყო. ბუნებრივია, რომ ასეთი მტკიცებულება, რომელიც ამართლებს ბრალდებულს, აუცილებლად უნდა გამოიყენოს სასამართლომ და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. თუ სასამართლო ასეთ შემთხვევებში უარს იტყვის უკანონოდ მოპოვებული იმ მტკიცებულების გამოყენებაზე, რომელიც აშკარად აბათილებს ბრალდებას და ამართლებს ბრალდებულს, მივიღებთ ვითარებას, როცა ნამდვილი დამნაშავე დაუსჯელი დარჩება, ნამდვილად უდანაშაულო კი უსამართლოდ დაისჯება”.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად ”კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს”.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებში სასამართლოს მრავალჯერ მოუხდა იმ საკითხის განხილვა, წარმოადგენს თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას ეროვნული სასამართლოების მიერ გარკვეულ კატეგორიათა მტკიცებულებების მიღება სამართალწარმოების პროცესში. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ საქმესთან დაკავშირებულ მტკიცებულებათა

შეფასება უწინარესად სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება და შესაბამისად, მათი შეფასება, პირველ ყოვლისა, სწორედ ეროვნული სასამართლოების კომპეტენციაში შედის.

ევროპულმა სასამართლომ რამდენჯერმე განაცხადა, რომ მის კომპეტენციაში არ შედის იმის განხილვა, თუ რამდენად სწორად იქნა ეროვნული სასამართლოს მიერ კონკრეტული მტკიცებულებების დაშვება და გათვალისწინება, არამედ, ევროპული სასამართლო აფასებს, მთლიანობაში რამდენად სამართლიანად და პატიოსნად იქნა წარმართული სამართალწარმოება, მათ შორის, მტკიცებულებებთან მიმართებაშიც.

საქმეში "ტეიხერ დე კასტრო პორტუგალიის წინააღმდეგ"<sup>175</sup> ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას, ვინაიდან განმცხადებელი მსჯავრდებულ იქნა იმ განცხადებების საფუძველზე, რომლებიც გაკეთებულ იქნა პოლიციის საიდუმლო აგენტის მიერ. სწორედ მან მოახდინა განმცხადებლის ინსპირირება და წაქეზება, ჩაედინა დანაშაული. ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საჯარო ინტერესებს არ შეუძლიათ გაამართლონ ისეთი მტკიცებულების დაშვება ეროვნული სასამართლოების მიერ, რომლებიც მოპოვებულია პოლიციის მიერ დანაშაულის ჩადენის წაქეზების შედეგად.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის თანახმად, როცა ბრალდება ეფუძნება მხოლოდ ბრალდებულის მიერ გაკეთებულ აღიარებას, უნდა არსებობდეს პროცედურა, რომლის შედეგადაც შესაძლებელი იქნება ასეთი მტკიცებულების დასაშვებობის გადამოწმება. ევროპულმა სასამართლომ განიხილა სრულ იზოლაციაში მყოფი პირის აღიარება საქმეში "ბარბერა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ"<sup>176</sup> და ხელშემკვრელ მთავრობებს მოუწოდა, თავი შეიკავონ სრულ იზოლაციაში მოპოვებული აღიარებებისაგან განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განმცხადებელს, ანუ აღიარების მიმცემ პირს, არ

<sup>175</sup> იხ. Teixeira de Castro v. Portugal ევროპული სასამართლოს 1998 წლის 09 ივნისის გადაწყვეტილება.

<sup>176</sup> იხ. Barbera, Messegue and Jabardo v. Spain ევროპული სასამართლოს 1988 წლის 06 დეკემბრის გადაწყვეტილება.



ჰქონდა საშუალება სამართლებრივი კონსულტაცია განეხორციელებინა თავის ადვოკატთან.

### **3.6. სასამართლო წარმოების ენა**

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-2 პუნქტით, „სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის მიეჩინება თარჯიმანი“.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მესამე პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის თანახმად:

„3. ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლებათა შემდეგი მინიმუმი:

ე) მიიღოს თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ილაპარაკოს ენაზე, რომელსაც იყენებს სასამართლო“.

თუ ბრალდებულს შეუძლია სასამართლოსთვის გასაგებ ენაზე საუბარი და ესმის იგი, მას არ აქვს თარჯიმნის ყოლის უფლება იმისათვის, რომ დაცვა სხვა ენაზე წარმართოს. ითვლება, რომ ზოგადად, ფიზიკური უუნარობიდან გამომდინარე, საუბრის ან გაგების უუნარობა (როგორც არის მაგალითად სიყრუე ან სიმუნჯე), ასევე წარმოშობს შესაბამისი თარჯიმნის უფასო დახმარების უფლებას. იმისათვის, რომ განისაზღვროს ამა თუ იმ საქმეში უფლება თარჯიმნის უფასო დახმარებაზე, საჭიროა გაირკვეს საუბრის ან გაგების შესაძლებლობის დონე და ხარისხი. ზოგად პრინციპს კი წარმოადგენს ის, რომ ბრალდებული ისეთ მდგომარეობაში უნდა იყოს, რომ საკუთარი შესაძლებლობით ან თარჯიმნის დახმარებით, შეეძლოს პროცესის გაგება და მასში მონაწილეობის მიღება იმ დონეზე, რაც სამართლიან სასამართლო განხილვას უზრუნველყოფს.

„მე-3 პუნქტით გათვლისწინებული უფლება თავდაპირველად აბსოლუტურად მიიჩნეოდა. შემდგომ სასამართლომ საქმეზე - ”კამასინსკი ავსტრიის წინააღმდეგ“<sup>177</sup> - განაცხადა:

---

<sup>177</sup> ob. Kamasinski v. Austria, ევროპული სასამართლოს 1989 წლის გადაწყვეტილება, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი) სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ. 2008, გვ. 176.

„მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტი ისე შორს არ მიდის, რომ მოითხოვოს წერილობითი მტკიცებულების თუ სამართალწარმოებაზე არსებული ოფიციალური დოკუმენტაციის სრული წერილობითი თარგმანი. გაწეული მთარგმნელობითი დახმარება იმგვარი ხასიათისა უნდა იყოს, რომ პირი იცნობდეს მის წინააღმდეგ წარმოებულ საქმეს და დაიცვას თავი, სახელდობრ, შეეძლოს საქმის გარემოებათა მისეული ვერსიის წარდგენა.

საქმეში “კუსკანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”<sup>178</sup>, განმცხადებელი ფლობდა იტალიურ რესტორანს ინგლისში. მას მსჯავრი დაედო საგადასახადო დანაშაულებში. წინასწარი მოსმენების დროს ადვოკატს არც ერთხელ არ განუცხადებია, რომ ბრალდებული საჭიროებდა თარჯიმანს. თუმცა სასამართლოზე ადვოკატმა განაცხადა, რომ მის კლიენტს ჰქონდა პრობლემები ინგლისური ენის გაგებასთან დაკავშირებით და მასაც შეექმნა სირთულე საკუთარ კლიენტთან ურთიერთობაში. პირველი ინსტანციის სასამართლომ გადადო პროცესი, რათა მოწვეულიყო თარჯიმანი. თუმცა, როცა სასამართლო განხილვა გაგრძელდა, თარჯიმანი არ გამოცხადდა. მსჯავრდებულის ადვოკატმა განაცხადა, რომ თუ საჭირო გახდებოდა, ბრალდებულის ძმა გასწევდა შესაბამის დახმარებას. განმცხადებელმა აღიარა დანაშაული და მას თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლემ იცოდა განმცხადებლის სირთულეების შესახებ. ბრალდებულთან კონსულტაციის გზით თარჯიმნის დანიშვნის საჭიროების შემოწმება მოსამართლის ვალდებულებას შეადგენდა; განსაკუთრებით გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ადვოკატმა აღნიშნა მის კლიენტთან ურთიერთობისას წარმოქმნილი სირთულეების შესახებ. ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასევე იმ სასჯელის სიმკაცრეზე, რომელიც შესაძლოა დაკისრებოდა განმცხადებელს. აქედან გამომდინარე, მან დაადგინა, რომ მოსამართლეს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, რომ დარწმუნებულიყო: მიაყენებდა თუ არა თარჯიმნის არყოფნა

---

<sup>178</sup> იხ. *Cuscani v. United Kingdom*, 2002 ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი) სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ. 2008, გვ. 176.

ზიანს განმცხადებლის სრულ მონაწილეობას მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საკითხის განხილვაში.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა აღნიშნული უფლების დაცვის კუთხით შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ვეროპულ კონვენციასთან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, (ძალაშია 2010 წლის 01 ოქტომბრიდან) პროცესის მონაწილეს, რომელმაც არ იცის, ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, დაენიშნება თარჯიმანი.<sup>179</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს თარჯიმნის შრომის ანაზღაურებას სახელმწიფოს ხარჯზე. მოიაზრება თუ არა წერილობითი თარგმანი თარჯიმნის მომსახურებაში, შეიძლება დავასკვნათ 53-ე მუხლის პიველი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტით<sup>180</sup>, რომლის თანახმადაც, თარჯიმანს იძახებენ, როცა საჭიროა მეორე ენიდან ითარგმნოს ესა თუ ის წერილობითი ტექსტი. ეს შეიძლება საჭირო გახდეს როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობისას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს თარჯიმნის შემდეგ ვალდებულებებს (მუხლი 54-ის მე-2 პუნქტი)<sup>181</sup>: ა) თარჯიმანი ვალდებულია გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამომცხადებით; ბ) ზუსტად და სრულად თარგმნოს ჩვენება თუ დოკუმენტი; გ) ხელმოწერით დაადასტუროს თარგმანის უტყუარობა; დ) გამომძიებლის ან პროკურორის ნრბართვის გარეშე არ გაამჟღავნოს გამოძიების მასალა, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შემცველი ცნობები.

თუ თარჯიმანი უარს იტყვის ან თავს აარიდებს თავის მოვალეობათა შესრულებას არასაკმარის მიზეზით, მას შეიძლება დაეკისროს ფულადი სახდელი. თარჯიმანს უფლება აქვს უარი ითქვას საქმის წარმოებაში მონაწილეობაზე, თუ თარგმნისათვის

---

<sup>179</sup> იხ. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ. 190.

<sup>180</sup> იხ. იქვე მუხლი 53.

<sup>181</sup> იხ. იქვე მუხლი 54.

საჭირო ცოდნა არ გააჩნია (54-ე მუხლი პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტი)<sup>182</sup>.

წესები, რომლებიც ეხება თარჯიმანს, ვრცელდება იმ პირზეც, რომელსაც ესმის ყრუ მუნჯთა ნიშნები და რომელიც მოწვეულია სამართალწარმოებაში მონაწილეობისათვის, თანახმად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტით (ძალაშია 2010 წლის 01 ოქტომბრიდან)<sup>183</sup>.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული კანონმდებლობა არა თუ სრულ შესაბამისობაშია ევროპულ კონვენციასთან, არამედ სასამართლო წარმოების ენასთან დაკავშირებულ რიგ უფლებებს უფრო სრულყოფილადაც განსაზღვრავს ვიდრე ევროპული კონვენცია.

### **3.7. დაცვის უფლება**

პირისათვის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ გარანტიას დაცვის უფლება წარმოადგენს. დაცვის უფლება, ანუ დამცველის ყოლის, ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებული უფლებაა.

ცივილიზებულ სახელმწიფოთა გამოცდილების საფუძველზე, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) მიერ ზედამხედველობის გაწევის შესაძლებლობით სრულიად ახალი ინსტიტუტი დაამკვიდრა.

ომბუდსმენის ინსტიტუტი ახალი, განსაკუთრებული ნაირსახეობაა სამართლებრივი კონტროლისა, რომლის ძირითადი დანიშნულება ისაა, რომ დაიცვას პიროვნება ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოებისა და სახელმწიფო მოხელეების მიერ ადმინისტრაციული უფლებამოსილების არამართლზომიერი გამოყენების შემთხვევებისაგან<sup>184</sup>.

---

<sup>182</sup> იხ. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ. 190.

<sup>183</sup> იხ. იქვე მუხლი 53.

<sup>184</sup> იხ. მელქამე ოთარი, სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი IV, თბ., 1996 წ.

ომბუდსმენის ინსტიტუტი პირველად 1713 წელს შეიქმნა შვედეთში<sup>185</sup>. XX საუკუნეში, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამ ინსტიტუტმა ფართო გავრცელება ჰპოვა და მრავალი ქვეყნის კონსტიტუციურ-პოლიტიკურ სისტემაშია ჩართული (ფინეთი, დანია, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ახალი ზელანდია, ინდოეთი და სხვა.), თუმცა განსხვავებული სახელწოდებითაც შეიძლება მოიხსენიებოდეს (მედიატორი<sup>186</sup>, პროვედორი, პროკურატორი, ადამიანის უფლებათა დაცვის რწმუნებული<sup>187</sup> და სხვა.)

სახალხო დამცველის თანამდებობა პირველად საქართველოში 1995 წლის 24 აგვისტოს კონტიტუციის 43-ე მუხლის საფუძველზე იქნა შემოღებული, რომლის ძალითაც, სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას<sup>188</sup>.

სახალხო დამცველი საქართველოს ტერიტორიაზე ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. იგი უფლებამოსილია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის მიზნით წინადადებები წარუდგინოს პარლამენტს კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით. უდავოდ მნიშვნელოვანია ისიც, რომ სახალხო დამცველი ამოწმებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას<sup>189</sup>.

სახელმწიფოში არ შეიძლება ადამიანის და მოქალაქის უფლებებზე მაღლა იდგეს სხვა ღირებულება.<sup>190</sup>

XIX საუკუნის ბოლოს ცნობილი რუსი იურისტი ე.ვ. ვასკოვსკი წერდა: ”სისხლის სამართლის პროცესში და სამოქალაქო

---

<sup>185</sup> იხ. B. Wieslander, “The Parliamentary Ombudsman in Sweden”, Stockholm, 1994;

<sup>186</sup> იხ. Mediator of the French Republic, “Mediator of the French Republic-Reports”, Paris, 1997;

<sup>187</sup> იხ. Commissioner for Civil Rights of Poland, “National Ombudsmen – Collection of Legislation from 27 Countries, Warsaw, 1998;

<sup>188</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. კ. კორკელია, თბ., 2006 წ. გვ. 215.

<sup>189</sup> ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (სტატიათა კრებული), რედ. კ. კორკელია, გამომცემელი: საია, თბ., 2002 წ. გვ. 167.

<sup>190</sup> იხ. В.И. Сергеев. Адвокат и адвокатура. М., 2003, с.15.

სამართალწარმოებაში სამართალმექონაგე მოქმედებს საზოგადოების მიერ მიცემული უფლებამოსილებით და მის ინტერესში, როგორც საზოგადოების რწმუნებული. ადვოკატის აღიარება საზოგადოების რწმუნებულად აძლევს ადვოკატურას არსებობის უფლებას და მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება დამტკიცდეს მისი აუცილებლობა.<sup>191</sup>

დაცვის უფლება, გარდა ქვეყნის შიდა ნორმატიული აქტებისა, საერთაშორისო ხელშეკრულებებითაც დადგენილი და გარანტირებული ფუნდამენტური უფლებაა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის თანახმად, ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს:

”მიეცეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა დაცვის მოსამზადებლად”.

მოსამართლე ვალდებულია, უზრუნველყოს დაცვის უფლება მის მიერ წარმოებული სასამართლო განხილვის პერიოდში, რაც გულისხმობს გარანტიას, რომ ადვოკატი დაინიშნოს და მას გააჩნდეს საკმარისი დრო და საშუალება ჯეროვნად მოამზადოს დაცვის პოზიცია.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებები, დაცვის უფლების შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილია<sup>192</sup>. იგი მოიცავს სამ განსხვავებულ ელემენტს: საკუთარი თავის პირადად დაცვის უფლებას, კონკრეტულ სიტუაციაში ადვოკატის არჩევის შესაძლებლობასა და უფასო იურიდიული დახმარების უფლებას, როცა განმცხადებელს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური საშუალება და ამას მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს.<sup>193</sup>

სასამართლოში საკუთარი ინტერესების დაცვის უფლება აბსოლუტური არ არის. ერთ შემთხვევაში შესაძლებელია პირს

---

<sup>191</sup> იხ. E.M. Смирнова. адвокатура. Учебное пособие. Санкт-Петербург, с. 7.

<sup>192</sup> იხ. Nuala Mole and Catharina Harby – A guide to the implementation of Article 6 of the European Convention on Human Rights. The right to a fair trial, Human rights handbooks No.3, Council of Europe, 2001, 2006 1st edition 2001; 2nd edition, August 2006 Printed in Belgium.

<sup>193</sup> იხ. Stephanos Stavros - The guarantees for accused persons under Article 6 of the European Convention on Human Rights. Martinus Nijhoff Publishers Dordrecht/ Boston/ London. 1992. 202-221.

უარი ეთქვას სახელმწიფოს სახსრებით ადვოკატის გამოყოფაზე, თუ ამას არ მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები. მეორე შემთხვევაში კი, ასევე მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნიოს პირის მიერ საკუთარი თავის პირადად დაცვის უფლების განხორციელება და დამცველი დაუნიშნოს ბიუჯეტის ხარჯზე (მაგ: არასრულწლოვნებს, უვადო თავისუფლების აღკვეთის შესაძლო გამოყენებისას და სხვა).

ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში "ეზეჰი და კონორი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ"<sup>194</sup>, განმცხადებლებს, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ სასჯელალსრულებით დაწესებულებებში, მოეთხოვებოდათ ციხის უფროსის წინაშე, ციხის პერსონალის მიმართ აგრესიული ქცევის გამო, მიმდინარე მოსმენებზე დასწრება. ისინი დამნაშავედ ცნეს ციხის შინაგანაწესის დარღვევაში და გაუგრძელეს პატიმრობის ვადა. ორივე განმცხადებელს მიეცა პროცესის გადადების შესაძლებლობა საკუთარ ადვოკატებთან მოსალაპარაკებლად, თუმცა დამცველის დასწრება მოსმენებზე არ იყო ნებადართული, რადგან ციხის უფროსი ამას საჭიროდ არ მიიჩნევდა. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ კონვენციით განსაზღვრული დაცვის უფლებები დარღვეული იქნა.

საქმეში "ბერლინსკი პოლონეთის წინააღმდეგ"<sup>195</sup>, განმცხადებლები ერთი წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ წინასწარ პატიმრობაში, სანამ ისინი მიიღებდნენ უარს იურიდიული დახმარების მოთხოვნაზე (სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული პოლიციის ოფიცრებისადმი წინააღმდეგობის გაწევის გამო). სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, შეზღუდვები სამართლებრივი დახმარების გაწევაზე შეიძლება დაწესდეს გამოძიების ადრეულ ეტაპებზე. თუმცა კონვენცია არ აძლევდა პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს იმის უფლებას, რომ ასეთი დიდი დროის განმავლობაში დაეტოვებინათ უყურადღებოდ განმცხადებელთა მოთხოვნა სამართლებრივ

<sup>194</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი, რედაქტორი-კონსტანტინე კემულარია. თბ. 2005 წ. გვ. 284, ევროპული სასამართლოს 2002 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე - Ezeh and Connors v. The United Kingdom.

<sup>195</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი, რედაქტორი-კონსტანტინე კემულარია. თბ. 2005 წ. გვ. 260, ევროპული სასამართლოს 2002 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე - Berlinski v. Poland

დახმარებაზე, მით უმეტეს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ჩატარდა მთელი რიგი პროცესუალური მოქმედებები, მათ შორის განმცხადებელთა დაკითხვები და სამედიცინო ექსპერტიზები. ამის გამო დაირღვა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი.

პირს უფლება აქვს ისარგებლოს ისეთი სამართლებრივი დახმარებით, რომელიც პრაქტიკული და ეფექტურია, და არა მხოლოდ თეორიული და ილუზიური.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტი - "დაცვის უფლება გარანტირებულია", - იმთავითვე გულისხმობს უფასო იურიდიული მომსახურების არსებობას, ამის საჭიროების და აუცილებლობის დროს.

"ადვოკატთა შესახებ" 2001 წლის 20 ივნისის საქართველოს კანონი<sup>196</sup>, საერთოდ არ ითვალისწინებს უფასო იურიდიული დახმარების გაწევის შესაძლებლობას.

რაც შეეხება "იურიდიული დახმარების შესახებ" 2007 წლის 19 ივნისის საქართველოს კანონს<sup>197</sup> - 26-ე მუხლის შესაბამისად - უფასო იურიდიული დახმარება შესაძლებელია მხოლოდ სისხლის სამართლის დავებზე, ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე უფასო იურიდიული დახმარების პრაქტიკული განხორციელების ვადად განსაზღვრული იყო 2009 წლის 1 იანვარი - 2008 წლის 07 ოქტომბრის ცვლილებით კი აღნიშნულმა ვადამ 2011 წლამდე გადაიწია<sup>198</sup>.

შესაბამისად, არ არსებობს კონსტიტუციით გარანტირებული დაცვის უფლების პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე, მაშინ როდესაც კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ზოგადად, დაცვის უზრუნველყოფას ეხება არა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე, არამედ ნებისმიერი სახის სასამართლო წარმოებასთან დაკავშირებით. ამასთან, კონსტიტუციის მოთხოვნის შესაბამისად, ამ მნიშვნელოვანი უფლების განხორციელების მიზნით საქართველოს სამოქალაქო

<sup>196</sup> იხ. საქართველოს კანონი "ადვოკატთა შესახებ", №976, სსმ I, №22, 06.07.2001 წ., მუხ. 78.

<sup>197</sup> იხ. საქართველოს კანონი "იურიდიული დახმარების შესახებ", №4955, სსმ I, №24, 02.07.2007 წ., მუხ. 218.

<sup>198</sup> კანონი "იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, №325 - სსმ I, №24, 20.10.2008 წ., მუხ.163.



საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია იმ მოქალაქეთა უფლებები, რომელთაც არ შეუძლიათ ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება<sup>199</sup>.

ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA Rule of Law Initiative) მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგად აცხადებს, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ქვეყანაში იურიდიული დახმარების გაწევას ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით. თუმცა, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქვეყნის მასშტაბით უფასო იურიდიულ დახმარებაზე მოთხოვნა სრულად ვერ კმაყოფილდება ამჟამად ხელმისაწვდომი მომსახურების საშუალებებით<sup>200</sup>.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, კონსტიტუციითა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით ადამიანის ძირითად უფლებათა აღიარება თავისთავად არ ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან თავისი ხალხის მიმართ სამართლიან მოპყრობას. დაცვის უფლება, რომელიც პრაქტიკულ განხორციელებას ვერ ჰპოვებს, შეიძლება ჩაითვალოს უტოპიად.

## თავი 4. სასამართლოს გადაწყვეტილების უზრუნველყოფის გარანტიები

### 4.1. სასამართლო გადაწყვეტილებათა უზენაესობა

სასამართლო	გადაწყვეტილებათა	აღსრულების
სავალდებულოობა	განმტკიცებულია	უზენაესი კანონით -

<sup>199</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბრის კანონი № 1106, პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997 წ., გვ. 21.

<sup>200</sup> იხ. იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი, საქართველო, ნაწილი II, დაბეჭდილია ამერიკის შეერთებულ შტატებში, 2007 წლის ნოემბერი, გვ. 109

საქართველოს კონსტიტუციით. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, “სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.”<sup>201</sup>

ყველა ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მიმართოს სასამართლოს. ყველა პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.<sup>202</sup> იხილავს რა სასამართლო სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეს, მას განაჩენი ან გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით. სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განაჩენთა შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას. სასამართლოს მოთხოვნათა და განკარგულებათა შესრულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის.

კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველასათვის და უნდა შესრულდეს. სხვანაირად გადაწყვეტილების ამ შედეგს ”გადაწყვეტილების სავალდებულოობას” უწოდებენ.<sup>203</sup>

სასამართლო ხელისუფლების ეფექტურობა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაში გამოიხატება.

გადაწყვეტილება მოსამართლეს გამოაქვს წერილობითი ფორმით, საქართველოს სახელით და დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას, თუ როდის შედის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში, ანუ როდის შეიძლება რომ იგი იძულებით იქნეს აღსრულებული, თუკი ის მხარე ვის წინააღმდეგაც არის გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება, ნებაყოფლობით არ აღასრულებს მას. აქედან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა იწვევს მთელ რიგ სამართლებრივ შედეგებს, რომელთა

<sup>201</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს.

<sup>202</sup> იხ. აპოლონ ფალიაშვილი, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები, გამომცემელი ”მერიდიანი”, თბ. 1998 წ. გვ. 21.

<sup>203</sup> იხ. თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, თბ. 1999 წელი. გვ. 123.

შორისაც აღსანიშნავი და უმთავრესია სასამართლო გადაწყვეტილების უზენაესობა და სავალდებულოობა, რადგან ის სავალდებულოდ შესასრულებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის, ყველა სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის.<sup>204</sup>

1999 წლის 16 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“<sup>205</sup>, რომელმაც დაარეგულირა სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების საკითხი. კანონს ექსპერტიზა ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ ჩაუტარდა 1999 წელს.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით<sup>206</sup>, ყველა სახელმწიფო ორგანო, ფიზიკური და იურიდიული პირი, მოქალაქეთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ვალდებულია შეასრულოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და მის წევრთა მიერ საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომლებიც მათი უფლებამოსილებიდან წარმოდგება (24-ე მუხლის პირველი პუნქტი). საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის საბოლოო და მისი შეუსრულებლობა კანონით ისჯება (25-ე მუხლის პირველი პუნქტი). არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ ორგანული კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი(25-ე მუხლი მე-2 პუნქტი). საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს გამოქვეყნების შემდეგ, თუ ორგანული კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი(25-ე მუხლის მე-3 მუხლი). საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება/გამოცემა,

---

<sup>204</sup> იხ. თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, თბ. 1999 წელი. გვ. 122.

<sup>205</sup> იხ. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, №1908, სსმ I, №13(20), 01.05.1999 წ., მუხ. 52.

<sup>206</sup> იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, №95, პარლამენტის უწყებანი, №001, 27.02.1996 წ., გვ. 8.

რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი (25-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

აქედან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილებათა უზენაესობა, განმტკიცებულია რა ქვეყნის ძირიდად კანონში, წარმოადგენს სასამართლო აქტების სავალდებულოობის კონსტიტუციურ პრინციპს, რაც სასამართლო გადაწყვეტილებების სავალდებულო აღსრულებადობიდანაც ჩანს.

#### 4.2. სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება

საქმის წარმოება სასამართლოში, როგორც წესი, მთავრდება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანით. სასამართლო გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აქტია, რომელიც იცავს დარღვეულ ან სადაო უფლებას და ყველასათვის სავალდებულო განსაზღვრულობა შეაქვს სადაო ურთიერთობაში, უზრუნველყოფს მოპასუხე მხარის მიერ თავისი ვალდებულების შესრულებას. ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა-დარღვეული ან სადაო უფლების დაცვა.<sup>207</sup>

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“<sup>208</sup> ევროპის 1950 წლის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ყველა ადამიანისათვის იცავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას სამოქალაქო - სამართლებრივი უფლება - მოვალეობების განსაზღვრისას. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის მხოლოდ თეორიული უფლება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე, არამედ გულისხმობს - აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების კანონიერ მოლოდინს. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო განმარტავს, რომ აღსრულების პროცესი არის სამართალწარმოების შემადგენელი ნაწილი და უფლება სასამართლოზე, როგორც პირველი

<sup>207</sup> იხ. ზურაბ ძლიერიშვილი, ლადო ჭანტურია, ვალერი მეტრეველი, რომან შენგელია და სხები, ქართული სამართლის საფუძვლები, გამომცემელი "მერიდიანი", თბ. 2000 წ. გვ. 206-209.

<sup>208</sup> იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო, 1950 წელი.

ინსტანციისა და სააკუელაციო სასამართლოზე, გულისხმობს ასევე აღსრულების პროცესის ხელმისაწვდომობასაც.<sup>209</sup>

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი<sup>210</sup> კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან შედარებით, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ განსხვავებულად არეგულირებს თანხის გადახდევინების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას. „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია კერძო სამართლის სუბიექტის მიმართ იძულებითი აღსრულების პროცესი დაიწყოს სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებაზე წინადადების წარდგენიდან 7 დღის ვადაში, თუ გაფრთხილებული მხარე ამ ვადაში ნებაყოფლობით არ განახორციელებს აღსრულებას. ხოლო ფულის ან ქონების გადახდევინებისას წინადადების ჩაბარებასთან ერთად, სასამართლო აღმასრულებელი დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების აღწერას ან დაყადაღებას კანონით დადგენილი წესით<sup>211</sup>.

საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან თანხის იძულებით გადახდევინებისას სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია, იმოქმედოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 92-ე<sup>212</sup> და 92<sup>1</sup> 213 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და საბიუჯეტო ორგანიზაციებს სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისათვის ეძლევათ ერთი თვის ვადა. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ აღმასრულებელი უფლებამოსილია, დაიწყოს იძულებითი აღსრულება. ხშირია შემთხვევები, როცა

<sup>209</sup> იხ. „აპოსტილი საქართველოს წინააღმდეგ“, ევროპის სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება.

<sup>210</sup> იხ. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, №1908, სსმ I, №13(20), 01.05.1999 წ., მუხ. 52.

<sup>211</sup> იხ. კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, N210 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან, სსმ I, 28.07.2008 წ.

<sup>212</sup> იხ. კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, N210 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან, სსმ I, 28.07.2008 წ.

<sup>213</sup> იხ. კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, N2797, სსმ I, 30.03.2010 წ.

აღსრულების ეროვნული ბიუროდან გაგზავნილ წინადადებებს სასამართლო გადაწყვეტილებების ნებაყოფლობით აღსრულება არ მოჰყოლია და ასეთი წინადადებები განმეორებით ეგზავნებოდათ მოვალე სახელმწიფო დაწესებულებებს, მაგრამ უშედეგოდ. მიუხედავად იმისა, რომ იძულებითი აღსრულების ღონისძიებებზე ვრცელდება კანონით დადგენილი ვადები, რიგ შემთხვევებში, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესი დიდი ხნით ჭიანჭურდება და ხშირად სასამართლო გადაწყვეტილებები წლების განმავლობაში არის აღუსრულებელი. იძულებითი აღსრულების პროცესი არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. მოვალის, მათ შორის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოხელის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია, მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

სასამართლო გადაწყვეტილების სწრაფი აღსრულება დამოკიდებულია სასამართლო აღმასრულებლისაგან მიცემულ წინადადებაში მითითებულ დროზე და იძულებითი აღსრულების ღონისძიებების დაწყებაზე, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის კანონით განსხვავებულად არის განსაზღვრული – იძულებითი აღსრულების პროცესი, თანხის გადახდევინების ნაწილში, შეიძლება დაიწყოს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ წინადადების მიცემიდან სამი თვის შემდეგ.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ასეთი პროცედურა აშკარად არათანაბარ პირობებში აყენებს კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და ერთგვარად დისკრიმინაციული ხასიათი აქვს.

უფლებადარღვეულ მოსამსახურეთა სამსახურში აღდგენის თაობაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესი თავისი სპეციფიკით ყველაზე რთულია.

ერთი მხრივ, ასეთი პროცესის სირთულე განპირობებულია იმით, რომ კანონმდებლობა, რომელიც მოქმედებს მითითებულ სფეროში, არასრულყოფილია და მოითხოვს დახვეწას. კერძოდ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი არ მოიცავს იმ მექანიზმებს, რომლებიც, სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლო აღმასრულებელს საშუალებას მისცემდა, გაეტარებინა კონკრეტული იძულებითი სააღსრულებო ღონისძიებები. სასამართლო აღმასრულებლები ასეთ შემთხვევებში შემოიფარგლებიან მხოლოდ წერილობითი მიმართვით, რომლითაც სახელმწიფო ორგანოებისაგან და თანამდებობის პირებისაგან სასამართლო გადაწყვეტილების და სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნების ნებაყოფლობით შესრულებას მოითხოვენ.

მაგრამ პრაქტიკაში ხშირად ხდება რომ, ის თანამდებობა, რომელზეც სასამართლო გადაწყვეტილებით აღდგენილია მოდავე მხარე, ხელოვნურად აღარ არსებობს. კარგი იქნებოდა, ასეთი შემთხვევების არსებობის დროს სამსახურში აღდგენილი უფლებადარღვეული მოსამსახურის ინტერესების დასაცავად „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ჩადებულიყო იძულებითი აღსრულების კონკრეტული მექანიზმები. მაგალითად დაწესდეს, უფლებადარღვეული მოსამსახურის სხვა, დაკარგულის თანაბარ, თანამდებობაზე აღდგენის დავალებულიება, რაც მოსამსახურეს დაიცავდა სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის უკანონო მოქმედებისა და თვითნებობისაგან.

საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 15 ივლისის №210 კანონით ცვლილებები და დამატებები შევიდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში<sup>214</sup>. შეიცვალა სააღსრულებო დეპარტამენტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და განხორციელდა სააღსრულებო ორგანოების ახალი სისტემის ჩამოყალიბება. ცვლილებების განხორციელების ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენდა აღსრულების სფეროში სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის შექმნა და მითითებული სისტემის მუშაობის ეფექტურობის ამაღლება. ახლებურად

---

<sup>214</sup> იხ. კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, N210 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან, სსმ I, 28.07.2008 წ

დარეგულირდა აღსრულების საფასურის გადახდისა და იძულებითი აღსრულების ღონისძიებების დაწყების საკითხები. გარკვეული კატეგორიის საქმეებზე კრედიტორები გათავისუფლდნენ წინასწარი ხარჯის გაღების ვალდებულებისაგან. მაგალითად, საფასურის წინასწარ გადახდისაგან თავისუფლდებიან კრედიტორები, რომელთაც აქვთ მოთხოვნა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ასევე, საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ. იძულებითი აღსრულების საფასურის წინასწარ გადახდისაგან გათავისუფლდნენ ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები. ზემოხსენებული საკითხი ერთ-ერთი სერიოზული პრობლემათაგანი იყო და ხშირად იწვევდა კრედიტორების უფლებების დარღვევას, რადგან სასამართლო აღმასრულებლები უარს ამბობდნენ იძულებითი აღსრულების დაწყებაზე კრედიტორებისაგან აღსრულების ხარჯების წინასწარ გადაუხდელობის შემთხვევაში. სააღსრულებო ხარჯთაღრიცხვა კი არ იყო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად (1999 წლის რედაქციით)<sup>215</sup> გაანგარიშებული და არ იყო დასაბუთებული კრედიტორისაგან მისი წინასწარ გადახდის საჭიროება. აღსრულების ხარჯების წინასწარ გადაუხდელობის შემთხვევაში აღსრულების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მეორე წინადადება (1999 წლის რედაქციით)<sup>216</sup>, რომელიც ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით: „სასამართლო აღმასრულებელი სააღსრულებო მოქმედებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. სასამართლო აღმასრულებელს უფლება აქვს კრედიტორის მიერ კანონით გათვალისწინებული წინასწარი ხარჯის გაუღებლობის შემთხვევაში უარი თქვას გადაწყვეტილების აღსრულებაზე.“

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შედეგად, ახალი ინსტიტუტი გაჩნდა -

---

<sup>215</sup> იხ. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, №1908, სსმ I, №13(20), 01.05.1999 წ., მუხ. 52

<sup>216</sup> იხ. იქვე მუხლი 26.



კერძო აღსრულება. კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი 2009 წლის 1 ივლისიდან ამუშავდა და საქართველოს მოქალაქეებს თავისუფალი არჩევანის და ალტერნატიული სამსახურით მომსახურების უფლება მიეცათ - მათ შეუძლიათ სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად, ან სახელმწიფო აღმასრულებელი აირჩიონ ან - კერძო. კრედიტორი სურვილის მიხედვით ამას თავად გადაწყვეტს.

კრედიტორი და კერძო აღმასრულებელი გადასახადზე ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმდებიან. ამ მხრივ მათ სრული თავისუფლება ექნებათ. თუმცა, მოვალის ინტერესებიდან გამომდინარე, შეზღუდვა მაინც დაწესდა. კრედიტორსა და კერძო აღმასრულებელს შორის დადებული შეთანხმების მიუხედავად, კერძო აღმასრულებელი მოვალისგან იმაზე მეტ საზღაურს ვერ აიღებს, რაც "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონით არის დადგენილი. ამავე კანონით ხელმძღვანელობენ სახელმწიფო აღმასრულებლებიც.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლება ვრცელდება არა მარტო სასამართლო განხილვასა და მის წინასწარ ეტაპებზე, არამედ თანმდევ ეტაპებზეც (როგორც არის სასამართლო განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება). აღნიშნული მიდგომა სასამართლომ პირველად დააფიქსირა სამოქალაქო სამართალწარმოებასთან დაკავშირებით საქმეში "ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ"<sup>217</sup>. მსგავსი მიდგომა გამოამჟღავნა ევროპულმა სასამართლომ საქმეში "ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ"<sup>218</sup>, განმცხადებელს სოციალური დაცვის სამსახურმა დაუნიშნა კომპენსაცია. კომპენსაციის დანიშნვიდან ექვსი წლის შემდეგ, განმცხადებელმა მიმართა სასამართლოს სოციალური სამსახურის წინააღმდეგ. შემდგომში განმცხადებელს შეატყობინეს,

---

<sup>217</sup> იხ. *Hornsby v. Greece* ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება. კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005 წ. გვ. 131

<sup>218</sup> იხ. *Burdov v. Russia*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის გადაწყვეტილება. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია, თბილისი, 2007 წ. გვ. 166

რომ, მიუხედავად სააღსრულებო ფურცლისა, აღსრულება ვერ მოხდებოდა, რადგან სოციალურ სამსახურს არ გააჩნდა ფულადი სახსრები. ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება იქნებოდა ილუზორული, თუკი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემიდან გამომდინარე, საბოლოო და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დარჩებოდა აღუსრულებელი ერთ-ერთი მხარის საზიანოდ. ასევე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია სახსრების არარსებობით გაამართლოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა. აღსრულების დაყოვნება გარკვეული დროით შეიძლება მისაღები იყო, მაგრამ დაყოვნება არ უნდა მოხდეს იმ ვადით, რომ ხელყოს თავად მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების არსი. საქმეში “კირტატოსი საბერძნეთის წინააღმდეგ”<sup>219</sup>, განმცხადებლებმა სადაოდ გახადეს მათ ქონებაზე გავლენის მომხდენი ადგილობრივი დაგეგმარების გადაწყვეტილებები და საქმე მოიგეს. სასამართლომ გამოარკვია, რომ ადგილობრივი ორგანოები 7 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არიდებდნენ თავს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საჭირო ზომების მიღებას, რითაც მთლიანად აზრი დაუკარგეს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დებულებებს. იმის განსაზღვრისას, ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ნებისმიერი დაყოვნება შესაბამისობაშია თუ არა მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან, ევროპული სასამართლო არ იყენებს ისეთ კრიტერიუმს, როგორცაა “გონივრული ვადა”, რომელიც ეხება არა აღსრულების პროცედურებს, არამედ მხოლოდ სისხლის ან სამოქალაქო საქმის განხილვის პერიოდს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მომენტამდე. საქმეში “იასიუნიენი და სხვები ლიტვის წინააღმდეგ”<sup>220</sup> სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის პირველი

---

<sup>219</sup> იხ. *Kyrtatos v. Greece*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისთვის, თბილისი, 2008 წ. გვ. 62

<sup>220</sup> იხ. *Jasiuniene and Others v. Lithuania*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისთვის, თბილისი, 2008 წ. გვ. 62

პუნქტის დარღვევა, ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებმა 8 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ აღასრულეს ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ავალდებულებდა მათ განმცხადებლისთვის კომპენსაციის გადახდას საკუთრების უფლების რესტიტუციის შესახებ სპეციალური ეროვნული კანონის თანახმად.

ანალოგიური მიდგომა გამოამჟღავნა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს დიდმა პალატამ საქმეზე "ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ", რომელიც ეხებოდა ჩვენი ქვეყნის უზენაესი სასამართლოს მიერ სისხლის სამართალწარმოების საქმეზე გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის აღუსრულებლობას თითქმის 3 წლის მანძილზე. აღნიშნულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ:

"გამოტანილი განაჩენის აღსრულება აღქმულ უნდა იქნეს, როგორც სასამართლო განხილვის განუყოფელი ნაწილი მე-6 მუხლის მიზნებისათვის, კონვენციის მე-6 მუხლით მინიჭებული გარანტიები ილუზიური იქნებოდა, თუკი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული სისტემა მისცემდა იმის შესაძლებლობას, რომ გამამართლებელი სასამართლო გადაწყვეტილება გამართლებული პირის საზიანოდ განუხორციელებელი დარჩენილიყო. დაუჯერებელი იქნებოდა, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, ამავე მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად აღებული, მოითხოვდეს ხელშემკვრელი სახელმწიფოსაგან პოზიტიური ნაბიჯების გადადგმას ყველა იმ პირთან მიმართებაში, რომლებსაც ბრალი წაეყენათ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში და დეტალურად განსაზღვრავდეს პროცესში მონაწილე მხარის გარანტიებს (სამართალწარმოება, რომელიც არის სამართლიანი, საჯარო და სწრაფი), ამავე დროს არ იცავდეს გამამართლებელი გადაწყვეტილების განხორციელებას, რომელიც გამოტანილი იქნა ასეთი სამართალწარმოების შედეგად. სისხლის სამართალწარმოება შეადგენს ერთ მთლიან ნაწილს და მე-6

მუხლით გარანტირებული დაცვა არ წყვეტს მოქმედებას პირველ ინსტანციაში მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ”<sup>221</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ, 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაში „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, იმსჯელა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგიერთი ნორმის შესაბამისობაზე საერთაშორისო სამართლის ნორმებთან და ცალსახად მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობამ ვერ უზრუნველყო, შეესრულებინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება და აღესრულებინა კანონიერ ძალაში შესული 2001 წლის 21 ნოემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა. მოგვიანებით, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება და ევროპის საბჭოს მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაციები საფუძვლად დაედო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში სათანადო ცვლილებების და დამატებების განხორციელებას.<sup>222</sup>

ცვლილებების შედეგად 26-ე მუხლის მეორე წინადადება ამოიღეს ნორმის შემადგენლობიდან<sup>223</sup>, რაც შეიძლება შეფასდეს, ნორმის სრულყოფისაკენ გადადგმულ ნაბიჯად. ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა მე-10 მუხლი და სხვა ნორმები. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის გამო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა ევროპის სასამართლომ შემდეგ საქმეებში: შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს

---

<sup>221</sup> იხ. Assanidze v. Georgia, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 08 აპრილის გადაწყვეტილება, ევროპის საბჭო, 2004 წლის სექტემბერი, 182-ე პუნქტი.

<sup>222</sup> იხ. კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, N210 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან, სსმ I, 28.07.2008 წ.

<sup>223</sup> იხ. კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №2459, სსმ I, 30.12.2009 წ.

წინააღმდეგ<sup>224</sup> და შპს „ამატ-ჯი“ და მებაღიშვილი საქართველოს წინააღმდეგ<sup>225</sup>. ორივე საწარმოს სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები 2001 წლიდან კანონიერ ძალაში იყო შესული, მაგრამ 2006 წლამდე იყო აღუსრულებელი.

2004 წლიდან დღემდე<sup>226</sup>, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქართველოს წინააღმდეგ განიხილა და გადაწყვეტილება გამოიტანა 60 საქმეზე. აქედან, ევროსასამართლომ წარმოებაში არ მიიღო 12 საქმე, არ დაადგინა ევროპული კონვენციის და/ან მისი დამატებითი ოქმების დარღვევა 6 საქმეში, ხოლო განსახილველ საქმეთა სიიდან სხვადასხვა მოტივით ამოიღო 15 განაცხადი, მათ შორის, 3 განაცხადი დასრულდა მთავრობასა და განმცხადებელს შორის მეგობრული მორიგებით. ამავე პერიოდში, ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ გადაწყვეტილება გამოიტანა 28 საქმეზე.<sup>227</sup>

როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ვსაუბრობთ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას. ცნობილია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე. ამიტომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოქმედებდეს სხვა ქვეყანაში თუ ამ უკანასკნელმა სცნო იგი.<sup>228</sup>

---

<sup>224</sup> იხ. CASE of “IZA” Ltd and MAKRAKHIDZE v. GEORGIA, ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე, კრებულის შემდგენელი თინათინ ბეჟანიშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ. 2010 წ. გვ. 56.

<sup>225</sup> იხ. CASE of “AMAT-G” and MEBAGHISHVILI v. GEORGIA, ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე, კრებულის შემდგენელი თინათინ ბეჟანიშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ. 2010 წ. გვ. 49.

<sup>226</sup> 2010 წლის აპრილამდე;

<sup>227</sup> იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდი, [www.justice.gov.ge](http://www.justice.gov.ge)

<sup>228</sup> იხ. ზვიად გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2006 წ. გვ. 429.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა გულისხმობს არა სრული გადაწყვეტილების, არამედ მისი ცალკეული ნაწილების ცნობას. გადაწყვეტილების ცნობისას არ ხდება ცალკეული შიდასაპროცესო გადაწყვეტილების ცნობა. მხარისათვის, ვის სასარგებლოდაც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა მნიშვნელოვანია, რომ როგორმე მიაღწიოს მეორე ქვეყნის სასამართლოსაგან აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებას. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გადაწყვეტილების მცნობმა სასამართლომ განახორციელა ისეთი პროცედურები, რომელმაც გადაწყვეტილება „ადგილზე მიღებულად“ აქცია და თავისი ქვეყნის იძულებითი აღსრულების კანონმდებლობას დაუქვემდებარა.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, პირველ რიგში, ემსახურება სამოქალაქო ბრუნვისა და მართლმსაჯულების საქმიანობის გამარტივებას. მოდავე მხარისათვის მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ ერთი ქვეყნის სასამართლოში შეტანილი სარჩელით ამოწუროს ყველა ის საკითხი, რომლითაც ის მოპასუხეს ედავება. თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვა იმდენად რთულია, რომ ხშირად სცილდება არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ქვეყნის ფარგლებს. ამიტომ, ხშირად სასამართლო გადაწყვეტილებაც აღსრულებას რამდენიმე ქვეყანაში მოითხოვს. შესაბამისად, თუ რომელიმე უცხო ქვეყანა უარს იტყვის ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულებაზე, მოდავე მხარე იძულებული იქნება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეიტანოს სარჩელი ამ ქვეყნის სასამართლოში, რაც დამატებით დროსა და ხარჯებს მოითხოვს.

ისევე, როგორც უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისას, თითოეული ქვეყანა დამოუკიდებლად წყვეტს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს როგორც ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, ისე ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურა საკმაოდ მრავალფეროვანია. ევროპის ქვეყნების უმრავლესობა აღსრულებისას ითვალისწინებს როგორც ტრადიციულ ე.წ.

„ეგზეკუტურის პროცედურას“<sup>229</sup>, ისე გადაწყვეტილებათა გამარტივებული აღსრულების პროცედურებსაც - იმისდამიხედვით თუ რომელ სამართლებრივ სისტემას განეკუთვნება გადაწყვეტილების აღსრულებელი სახელმწიფო.<sup>230</sup>

როდესაც უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებათა აღსრულებაზეა საუბარი, მასში იგულისხმება ორი ტიპის გადაწყვეტილებათა აღსრულება: ა) უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება და ბ) უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცედურა ერთმანეთს ემთხვევა.

მსგავსი მდგომარეობაა ქართულ კანონმდებლობაშიც. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე და 71-ე მუხლები<sup>231</sup>, მართალია არეგულირებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცედურას, მაგრამ ქართული სასამართლოები აღნიშნულ მუხლებს ანალოგიით იყენებენ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულებისას. ქართული კანონმდებლობა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების მიღების საკითხში კომპეტენტურ ორგანოდ მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიიჩნევს.

უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას, შიდა სახელმწიფოებრივი სპეციალური კანონმდებლობის გარდა, საერთაშორისო ხელშეკრულებებიც არეგულირებს. ამის ნათელი მაგალითია ნიუ-იორკის 1958 წლის 31 დეკემბრის კონვენცია „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“<sup>232</sup>,

<sup>229</sup> „ეგზეკუტურის პროცედურა“ ცნობილია ევროპის ძირითად სახელმწიფოთა საპროცესო კანონმდებლობაში და გულისხმობს უცხო ქვეყნის სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე სპეციალური ეგზეკუტურის გაცემას. ეს ტერმინი ლათინური წარმოშობისაა და აღსრულებით პროცედურას ნიშნავს. ის მიზნად ისახავს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებებისათვის შიდასახელმწიფოებრივ სამართალში აღსრულებითი ძალის მინიჭებას.

<sup>230</sup> იხ. ზვიად გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2006 წ. გვ. 437.

<sup>231</sup> იხ. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, №1361, პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ. 25.

<sup>232</sup> იხ. გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ. 2009 წ. გვ. 516-617.

რომელსაც საქართველო პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით მიუერთდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით. სასამართლოს გადაწყვეტილებები, მათ შორის განაჩენი, სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ეს დებულებები ხელს უწყობენ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსრულებას, მაგრამ თავისთავად განაჩენის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოების სწორი მუშაობისა და ოპერატიულობის გარეშე განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფა ვერ იქნება მიღწეული.

განაჩენის აღსრულება არის სისხლის სამართლის პროცესის დამამთავრებელი სტადია, როდესაც განაჩენი აღსრულებულია, სამართალწარმოება საქმეზე დამთავრებულია და ასევე მთავრდება სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ სტადიაზე ხორციელდება სისხლის სამართალწარმოების უმთავრესი ამოცანა- დამნაშავეის დასჯით სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეის რესოციალიზაცია. დანაშაულთან ბრძოლაში მთავარია არა მარტო კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დადგენა, არამედ განაჩენის დროულად და სწორად აღსრულება. განაჩენის თავის დროზე კანონის შესაბამისად აღუსრულებლობა ამცირებს მის ეფექტურობას და უარყოფით გავლენას ახდენს სასჯელის იმ მიზნის მიღწევაზე, რაც ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაში გამოიხატება.<sup>233</sup>

საქართველოს "პატიმრობის კოდექსის" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით "თავისუფლების აღკვეთის აღსრულების საფუძველია სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა"<sup>234</sup>.

<sup>233</sup> იხ. იური გაბისონია, აპოლონ ფალიაშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "მერიდიანი", თბ. 2002 წ. გვ. 523.

<sup>234</sup> იხ. "პატიმრობის კოდექსი", საქართველოს 2010 წლის 9 მარტის კანონი №2696, სს. I, №12, 24.03.2010 წ., მუხ. 49.



საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (ძალაშია 2010 წლის 01 ოქტომბრიდან)<sup>235</sup> 279-ე მუხლის თანახმად „განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების<sup>236</sup> შესაბამისად განაჩენის აღსასრულებლად მიიქცევა ევალება განაჩენის გამომტან სასამართლოს. განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულებას სასამართლო, განაჩენის ასლთან ერთად უგზავნის იმ ორგანოს, რომელსაც განაჩენის აღსრულება ევალება. ეს უკანასკნელი კი განაჩენის დამდგენ სასამართლოს დაუყოვნებლივ აცნობებს განაჩენის აღსრულების შესახებ, ხოლო იმავე კოდექსის 281-ე მუხლით<sup>237</sup> - იმ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების შემდეგ, რომლითაც მსჯავრდებულს სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია მსჯავრდებულის ოჯახს შეატყობინოს, სად გაიგზავნა იგი სასჯელის მოსახდელად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (ძალაშია 2010 წლის 01 ოქტომბრიდან) 283-ე მუხლის თანახმად მსჯავრდებული უზრუნველყოფილია მოახდინოს თავის უფლებათა სასამართლო წესით დაცვა. კერძოდ, მსჯავრდებული უზრუნველყოფილია განაჩენის აღსასრულებლად მიიქცევამდე და აღსრულებისას - თხოვნით მიმართოს სასამართლოს რათა ფაქტიურ გარემოებათა— (ავადმყოფობა, ორსულობა, მცირეწლოვანი /ერთ წლამდე/ ბავშვი) - გამო მოხდეს მის მიმართ დადგენილი განაჩენის აღსრულების გადავადება.<sup>238</sup>

კანონმდებელი განაჩენის აღსრულების გადავადების საკითხის დაყენების შესაძლებლობას სხვადასხვა ეტაპზე ანიჭებს მსჯავრდებულს. ამდენად, კანონმდებლის ნებიდან გამომდინარე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლი იძლევა უფლებამოსილებას

---

<sup>235</sup> იხ. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ.190.

<sup>236</sup> იხ. იქვე მუხლი 280.

<sup>237</sup> იხ. იქვე მუხლი 281.

<sup>238</sup> იხ. იქვე მუხლი 283.

სასამართლომ მსჯავრდებულთა თხოვნის შემთხვევაში იმსჯელოს და განიხილოს საკითხები, როგორც უშუალოდ განაჩენის გამოტანისას, ასევე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის პერიოდში და ასევე უშუალოდ განაჩენის აღსრულების მომენტში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 289-ე მუხლის (ძალაშია 2010 წლის 01 ოქტომბრიდან)<sup>239</sup> ნორმები არეგულირებს უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულებას და განმარტავს, რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულების საკითხს, განსჯადობის დაცვით და მსჯავრდებულის ადგილსამყოფელის მიხედვით, განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო. ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების მიღებიდან ერთი თვის ვადაში და აგრეთვე ადასტურებს მის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან.

2007 წლის 19 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესის და პრობაციის შესახებ“<sup>240</sup>, ამ კანონმა დაარეგულირა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ღონისძიებების გამოყენების უფლების მქონე ორგანოთა სისტემა, სტატუსი და მათი საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები.<sup>241</sup>

მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული არაერთი ღონისძიებისა სასამართლოს გადაწყვეტილებათა უზენაესობისა და აღსრულების განმტკიცების თაობაზე, უნდა ითქვას, რომ ისინი მაინც არასრულია, რადგან პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სამართლებრივი მექანიზმი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების სფეროში დასახვეწია. აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას უთუოდ ხელს შეუწყობდა სასამართლო გადაწყვეტილებათა

<sup>239</sup> იხ. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ.190.

<sup>240</sup> იხ. საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, №4956, სსმ I, №24, 02.07.2007, მუხ. 219.

<sup>241</sup> იხ. სასჯელარსრულებითი სამართალი, ნორმატიული აქტების კრებული, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ. 2008 წ.

აღუსრულებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თანამდებობის პირთა მიმართ რეალური გამოყენებაც.

და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიების მოქმედების სფერო და პირობები ბოლომდე ნათლად არ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობაში, რაც ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი უარყოფითი გადაწყვეტილებების დადგენის რეალურ შანსს კიდევ უფრო ზრდის.

## დასკვნა

ნაშრომის დასასრულს შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა და გამოითქვას რეკომენდაციები საქართველოს კონსტიტუციით დაცული ადამიანის ისეთი ძირითადი უფლების დაცვასთან დაკავშირებით, როგორც არის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება.

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, როგორც ძირითად ტერმინს სასამართლოს მნიშვნელობისათვის იყენებს “სამართლიან სასამართლოს”, მაშინ როდესაც ქვეყნის უზენაესი კანონი – საქართველოს კონსტიტუცია საერთოდ არ იცნობს მსგავს დეფინიციას სასამართლოს მნიშვნელობისათვის. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულია ყველა ადამიანის უფლება, თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. მაგრამ, აქვე მითითებული არ არის, რომ ეს სასამართლო უნდა იყოს სამართლიანი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი. ვფიქრობ, სასამართლოს სამართლიანობაზე მითითება ქვეყნის უზენაეს კანონში საჭიროა, რაც გაზრდის ხელისუფლების პასუხისმგებლობას არა მხოლოდ მართლმსაჯულების სისტემის გარეგანი ფორმირების მიხედვით, არამედ ადამიანის უფლებების რეალური დაცვის უზრუნველყოფის სფეროში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, უპრიანია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავშიც სასამართლოსთან დაკავშირებით ხაზი გაესვას “სამართლიანობის”, “დამოუკიდებელობისა”, და “მიუკერძოებლობის” არსებით ნიშნებს, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ინტერესების რეალურ და საფუძვლიან დაცვას.
2. ასევე ერთობ ბუნდოვანია მოსანართლის უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილების რედაქციაც (მუხ. 86). გაუგებარია, რომელი კანონით დადგენილ და რა ასაკის მიღწევაზეა საუბარი ან უვადოდ განწყება როგორ შეიძლება უკავშირდებოდეს რაიმე

- დადგენილ ვადას. ამასთან, სამ წლამდე განსაზღვრული ვადით მოსამართლის დანიშვნის შესაძლებლობის დაშვება აზრს აკარგვინებს უვადოდ განწესების დემოკრატიულ იდეას.
3. სამართლიან სასამართლოს იდეის განხორციელებისათვის, სამართლიანი სასამართლოს ელემენტების არსებობა, უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია, რომელიმე ელემენტის არ არსებობა მთლიანად სამართლიანი სასამართლოს არ არსებობის ტოლფასია. კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო, უფლებამოსილი, კომპეტენტური და კანონიერი სასამართლო შემადგენლობა, უზრუნველყოფილი სასამართლო ხელმისაწვდომობა, სასამართლო გადაწყვეტილებათა საქვეყნობა და დასაბუთება, უდანაშაულობის პრეზუმციის დაცვა, კანონის გარეშე საჯელის გამოყენების აკრძალვა, კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ბოლომდე დაცული არ გახლავთ.
  4. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის თვალსაზრისით, უმჯობესია საქართველოს ხელისუფლება ქართულ საკანონმდებლო ბაზას არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმებისა და ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების საფუძველზე კი არ ხვეწავდეს, არამედ სახელწიფოს პოზიტიური ვალდებულებების ქრილში თავადაც სრულყოფდეს.
  5. საქართველოს ხელისუფლებამ ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების მიუხედავად, კიდევ უფრო გაზარდა სასამართლო განხილვისათვის დადგენილი სახელმწიფო ბაჟი, რაც აშკარად არ შეესაბამება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მატერიალურ შესაძლებლობებს.
  6. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიების მოქმედების სფერო და პირობები ბოლომდე ნათლად არ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობაში, რაც ევროპული სასამართლოს მიერ

საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი უარყოფითი გადაწყვეტილებების დადგენის რეალურ შანსს კიდევ უფრო ზრდის.

7. რეკომენდაციის სახით შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: ის, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს საქმის განხილვის გადადების საფუძველს ძალიან კარგია, თუმცა კვლავ ბუნდოვანია საქმის განხილვის გადადების ვადა, რაც შეიძლება მოსამართლის მიერ გამოყენებული იქნეს არასწორად და განხილვა თავისი შეხედულებისამებრ გადადოს გაცილებით მეტი დროით, ვიდრე ეს საჭიროა გადადების მიზეზის აღმოფხვრისათვის. ამასთან კანონმდებელი უფლებას აძლევს სასამართლოს საქმის განხილვის გადადების პერიოდში განიხილოს სხვა სისხლის სამართლის საქმე, რაც უარყოფითად მოქმედებს გადადებული საქმის შემდგომ მსვლელობაზე, რადგან მოსამართლეს შეიძლება დაავიწყდეს საქმის შინაარსი ან განხილვისას გამოვლენილი გარემოებები, მოწმეები სასურველი დამაჯერებლობით ვეღარ იხსენებენ ფაქტებს, მოვლენებს და სხვა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე უმჯობესი იქნებოდა საქმის გადადების ვადა განსაზღვრულიყო გადადების მიზეზის აღმოფხვრისათვის საჭირო დროის მონაკვეთით, რომლის გასვლამდეც სხვა სისხლის სამართლის საქმის განხილვა იგივე მოსამართლემ არ უნდა განახორციელოს.
8. უნდა ითქვას, რომ სასამართლო არ უნდა იქცეს საქმეზე გამოძიების მწარმოებელ ორგანოდ. მან ინკვიზიციურობის ელემენტები უნდა აამოქმედოს კონკრეტული საქმის საჭიროებიდან გამომდინარე ზუსტად განსაზღვრული ამოცანის მისაღწევად, ხოლო მხარეებმა უარი არ უნდა თქვან მათთვის მინიჭებული უფლებების გამოყენებაზე იმ იმედით, რომ სასამართლო თავად დაადგენს საქმის ყველა ფაქტობრივ გარემოებას.
9. ასევე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ზეპირი მოსმენის გარეშე საქმეების განხილვის პრაქტიკამ იმდენად მასიური ხასიათი მიიღო, რომ თითქმის ყველა საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოში პროცესის გამართვის გარეშე განიხილება, თუ არ ჩავთვლით იშვიათ გამონაკლის შემთხვევებში გამართულ ზეპირ მოსმენებს, მაშინ როდესაც

ევროპული სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გამართვის შესაძლებლობას გამონაკლის შემთხვევებში უშვებს, აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს არ შეესაბამება.

10. რეკომენდაციის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საქმის გაჭიანურების თავიდან აცილების პროცედურის არსებობა შედარებით წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ადამიანის ისეთი ძირითადი უფლების დაცვისკენ, როგორც არის გონივრულ ვადაში მისი საქმის განხილვის უფლება. თუმცა, საქმის გაჭიანურების გამო გასაჩივრებისა და სათანადო კომპენსაციის მიღების შესაძლებლობის კანონმდებლობით გათვალისწინება აშკარად გაზრდიდა აღნიშნული უფლების დაცვის გარანტიებს.
11. ასევე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული კანონმდებლობა არა თუ სრულ შესაბამისობაშია ევროპულ კონვენციასთან, არამედ სასამართლო წარმოების ენასთან დაკავშირებულ რიგ უფლებებს უფრო სრულყოფილადაც განსაზღვრავს ვიდრე ევროპული კონვენცია. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, პროცესის მონაწილეს, რომელმაც არ იცის, ან არასათანადოდ იცის სამართალწამოების ენა, უფლება აქვს, საქმის განხილვისას გამოიყენოს მშობლიური ენა ან სხვა ენა, რომელიც უკეთ იცის. ამ შემთხვევებში, აგრეთვე საქმის მასალების გაცნობისას, პროცესის მონაწილეს უფლება აქვს ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით. საგამომიებო და სასამართლო დოკუმენტები, რომლებიც კანონის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა გადაეცეს ბრალდებულს ან პროცესის მონაწილეს, უნდა ითარგმნოს მის მშობლიურ ენაზე ან სხვა ენაზე, რომელიც მან იცის.
12. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით - “დაცვის უფლება გარანტირებულია” და ეს დებულება იმთავითვე უნდა მოიცავდეს უფასო იურიდიულ მომსახურებას ამის საჭიროების და აუცილებლობის დროს. ”ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონი კი, საერთოდ არ ითვალისწინებს უფასო იურიდიული დახმარების გაწევის შესაძლებლობას. რაც შეეხება “იურიდიული დახმარების

შესახებ” 2007 წლის 19 ივნისის საქართველოს კანონს, 26-ე მუხლის შესაბამისად, უფასო იურიდიული დახმარება შესაძლებელია მხოლოდ სისხლის სამართლის დავებზე, ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე უფასო იურიდიული დახმარების პრაქტიკული განხორციელების ვადად განსაზღვრულია 2011 წლის 01 იანვარი. აღსანიშნავია, რომ კანონის მიღებიდან - 2007 წლის 19 ივნისიდან დღემდე არ არსებობს კონსტიტუციით გარანტირებული დაცვის უფლების პრაქტიკული შესაძლებლობა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე. კერძოდ, კონსტიტუციის პარალელურად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტიც ითვალისწინებს სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მოწვევას, მაგრამ ”იურიდიული დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის გაკრიტიკებული შინაარსის გამო ეს უფლება კვლავ არარეალურია. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, კონსტიტუციასა და შესაბამის კანონებში დაცული ადამიანის ძირითადი უფლება თავისთავად არ ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან თავისი ხალხის მიმართ სამართლიან მოპყრობას. სამართლებრივი ნორმები, რომლებიც პრაქტიკულ განხორციელებას ვერ ჰპოვებენ, შეიძლება ჩაითვალოს უტოპიად.

13. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი არ მოიცავს იმ მექანიზმებს, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლო აღმასრულებელს საშუალებას მისცემდა გაეტარებინა კონკრეტული იძულებითი სააღსრულებო ღონისძიებები. სასამართლო აღმასრულებლები ასეთ შემთხვევებში შემოიფარგლებიან მხოლოდ წერილობითი მიმართვით, რომლითაც სახელმწიფო ორგანოებისაგან და თანამდებობის პირებისაგან სასამართლო გადაწყვეტილების და სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნების ნებაყოფლობით შესრულებას მოითხოვენ. მაგრამ პრაქტიკაში ხშირად ხდება რომ, ის თანამდებობა, რომელზეც სასამართლო გადაწყვეტილებით აღდგენილია მოდავე მხარე, ხელოვნურად აღარ არსებობს. კარგი იქნებოდა, ასეთი შემთხვევების არსებობის დროს სამსახურში აღდგენილი



უფლებადარღვეული მოსამსახურის ინტერესების დასაცავად "სააღსრულებო წარმოების შესახებ" საქართველოს კანონში ჩადებულიყო იძულებითი აღსრულების კონკრეტული მექანიზმები. მაგალითად, დაწესდეს უფლებადარღვეული მოსამსახურის სხვა, დაკარგულის თანაბარ თანამდებობაზე აღდგენის დავალდებულება, რაც მოსამსახურეს დაიცავდა სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის უკანონო მოქმედებისა და თვითნებობისაგან. ამასთან აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას უთუოდ ხელს შეუწყობდა სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თანამდებობის პირთა მიმართ რეალური გამოყენებაც.

14. საბოლოოდ მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართულ კანონმდებლობაში შეინიშნება სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის გარანტიათა სრულყოფის ტენდენცია მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წელს განხორციელებული ცვლილებებით სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯია მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის ასაკის 30 წლამდე აწევა და უვადოდ დანიშვნა, ასევე საქართველოში 2010 წლის პირველ ოქტომბერს ამოქმედებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განმტკიცებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი-მხარეთა შეჯიბრებითობა. მაგრამ ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რაზედაც ვენეციის კომისიის დასკვნაც მეტყველებს. ეს ნაშრომიც აღნიშნული პრობლემის დარეგულირების საქმეში მოკრძალებული წვლილის შეტანას ისახავს მიზნად.

## ბიბლიოგრაფია

1. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია, თბილისი, 2007 წ.
2. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი, წიგნი . გამომცემელი: საია, თბილისი, 1999 წ.
3. ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2005 წ.
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი - განჩინებათა მიმოხილვა, შემდგენელი ეგოცირიძე; თბილისი, 2002 წ.
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი, რედაქტორი-კონსტანტინე კემულარია. თბილისი, 2005 წ.
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე, კრებულის შემდგენელი თინათინ ბეჟანიშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2010 წ.
7. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, გამომცემელი საია, თბილისი, 2004 წ.
8. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, (სტატიათა კრებული), რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, თბილისი, 2006 წ.
9. ადამიანის უფლებათა დაცვის სამაგალითო გადაწყვეტილებები, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2001 წ.
10. ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (სტატიათა კრებული), გამომცემელი საია, თბილისი, 2002 წ.
11. ბეშლერი ჟ., დემოკრატია, ანალიტიკური ნარკვევი, თბილისი, 1998 წ.
12. გაბისონია ზვიად, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, 2006 წ.
13. გაბისონია იური, ფალიაშვილი აპოლონ და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, 2002 წ.

14. გვენეტაძე გიორგი, შეჯიბრებითობის პრინციპის თავისებურებანი ადმინისტრაციულ პროცესში, ჟურნალი "პროფესია ადვოკატი" №2, 2007 წ.
15. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დოკუმენტები, წიგნი II, საია, თბილისი, 1999 წ.
16. გვენეტაძე ნინო, ტურავა მერაბი, სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, 2005 წ.
17. გორგაძე გ., ლორია ვ., კოპალეიშვილი მ., ლორია ა., ლორია ხ., სალხინაშვილი მ., წკეპლაძე ნ., ჩქარეული ც., ხარშილაძე ი., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2007 წ.
18. გომიენი დონა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოკლე მეგზური, თბილისი, 2000 წ.
19. ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებები ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით, გამომცემელი საია, თბილისი, 2004 წ.
20. იზორია ლევანი, კორკელია კონსტანტინე, კუბლაშვილი კონსტანტინე, ხუბუა გიორგი - საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, გამომცემელი მერიდიანი, თბილისი, 2005 წ.
21. იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი, საქართველო, ნაწილი II, დაბეჭდილია ამერიკის შეერთებულ შტატებში, 2007 წლის ნოემბერი;
22. კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში, 2004 წლის თებერვალი.
23. კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005 წ.
24. კუბლაშვილი ვ. ძირითადი უფლებები, გამომცემელი: ჯი სი აი, თბილისი, 2003 წ.
25. ლილუაშვილი თენგიზ, ხრუსტალი ვალერი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2004 წ.
26. ლილუაშვილი თენგიზ, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, თბილისი, 1999 წ.

27. ლობჯანიძე გ. ადამიანის უფლებათა სამართალი, გამომცემელი ინოვაცია, თბილისი, 2005 წ.
28. მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2006 წ.
29. მელქაძე ოთარი, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXV, გამომცემელი "ინოვაცია", თბილისი, 2008 წ.
30. მელქაძე ოთარი, ქართული კონსტიტუციონალიზმის შავი ყუთი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXIV, თბილისი, 2007 წ.
31. მელქაძე ოთარი, სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი IV, თბილისი, 1996 წ.
32. მეტრეველი ვალერი, ქართული სამართლის ისტორია, გამომცემელი "მერიდიანი", თბილისი, 2004 წ.
33. მიქანაძე გ., ევროპის ომბუდსმენები, თბილისი 1999 წელი.
34. მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, რედაქტორი: რ. ფეიქრიშვილი, თბილისი, 1994 წელი.
35. მოსამართლე და მართლმსაჯულება (ევროპული სტანდარტები), მთარგმნელი - ე. გოცირიძე, თბილისი, 2001 წ.
36. ნადარეიშვილი გ., საჯაროობა და საქვეყნოობა, საბჭოთა სამართალი, 1988 წ. №3
37. რამიშვილი ნუცა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმში, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXII, გამომცემლობა "ენა და კულტურა", თბილისი, 2005 წ.
38. რუსიაშვილი ჯ., ტაბუცაძე ი., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2000 წ.
39. რუხაძე ზაზა, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი, 1999 წ.
40. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები 2004, გამომცემელი: პოლიგრაფი+სი, თბილისი, 2005 წ.

41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, სასარჩელო წარმოება, თბილისი, 2008 წ.
42. სამართალი საფრანგეთში, საფრანგეთის იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 2001 წ.
43. სამართლიანი სასამართლოს უფლება, გამომცემელი: საია, რედ: ი.სესიაშვილი, მ.მენაღარიშვილი; 2004 წ.
44. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისთვის, თბილისი, 2008 წ.
45. საქართველოს უზენაესი სასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სამართლის მიმოხილვა, 2008 წ.
46. სასჯელაღსრულებითი სამართალი, ნორმატიული აქტების კრებული, გამომცემლობა "ზონა კაუზა", თბილისი, 2008 წ.
47. საერთაშორისო ხელშეკრულებები, პაქტები, კონვენციები, გამომცემელი: "ზონა კაუზა", თბილისი, 2007 წ.
48. სმიტი რონა კ., ადამიანის საერთაშორისო უფლებები: სახელმძღვანელო. [მეორე გამოცემა]–რედ. გიორგი ჯოხაძე თარგმანი: მანანა კობიაშვილი,–ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, – „სეზანი“.
49. ტურავა, მერაბი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, იურისტის ბიბლიოთეკა, მერვე გამოცემა, გამომცემლობა "ზონა კაუზა" თბილისი, 2010 წ.
50. ფალიაშვილი აპოლონ, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები, გამომცემელი "მერიდიანი", თბილისი, 1998 წ.
51. ქართული სამართლის საფუძვლები, ავტორთა კოლექტივი, რედ. რომან შენგელია გამომცემელი "მერიდიანი", თბილისი, 2000 წ.
52. შაიო ანდამ, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, გამომცემელი "სეზანი", თბილისი, 2003 წ.
53. ცერცვაძე გიორგი, საერთაშორისო არბიტრაჟი, გამომცემლობა "ზონა კაუზა", თბილისი, 2009 წ.
54. ცნობილადე პაატა, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, გამომცემელი: მერიდიანი, თბილისი, 2004 წ.
55. ძამუკაშვილი დავით, საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, თბილისი, 2002 წ.

56. ხუბუა გიორგი, სამართლის თეორია, გამომცემელი "მერიდიანი", თბილისი, 2004 წ.
57. ჯავახიშვილი ივანე, თხზ. 12 ტომად, ტ. VI, თბილისი, 1982წ.

### უცხოური ლიტერატურა

1. B.Wieslander, "The Parliamentary Ombudsman in Sweden", Stockholm, 1994;
2. Commissioner for Civil Rights of Poland, "National Ombudsmen – Collection of Legislation from 27 Countries, Warsaw, 1998;
3. European Convention on Human Rights, as amended by protocol N11. of article 6, 1950, Council of European.
4. Korkelia, Konstantin and et al, - Competibility of Georgian legislation with the standarts of the European convention on human rights and its protocols. Konstantin Korkelia, Nana Mchedlidze, Aleksander Nalbandov, (Gam) – Council of Europe, European Commission. Tb. 2005;
5. Locke, John, "Second Treatise of Government", in Two Treatises of Government. Cambridge: Cambridge University Press, 1980.
6. Mediator of the French Republic, "Mediator of the French Republic-Reports", Paris, 1997;
7. Mole, Nuala and Harby, Catharina – A guide to the implementation of Article 6 of the European Convention on Human Rights. The right to a fair trial, Human rights handbooks No.3, Council of Europe, 2001, 2006 1st edition 2001; 2nd edition, August 2006 Printed in Belgium.
8. S. Greer, The Margin of Appreciation: Interpretation and Discretion under the European Convention on Human Rights, 2000;
9. Stavros, Stephanos - The guarantees for accused persons under Article 6 of the European Convention on Human Rights. Martinus Nijhoff Publishers Dordrecht/ Boston/ London, 1992;
10. Strasser W., The European Convention on Human Rights: Some Reflections on its Role in the Light of the Practice of the Convention Organs, in: Austrian- Soviet Round-Table on the Protection of Human Rights, F. Matscher & W. Karl (Eds.), 1992;
11. Баглай М,В, Конституционное право Российской Федерации, М, 1999 г.
12. В. С. Нерсесянса, История политических и правовых учений, Москва, 1995 г.
13. Михайловская И,В, Судебная власть как инструмент самоограничения государства/ Судебная власть, Под, ред, И,Л, Петрухина, М, Проспект, 2003 г.

14. Сергеев, В.И.. Адвокат и адвокатура. М., 2003 г.
15. Смирнова, Е.М. адвокатура. Учебное пособие. Санкт-Петербург, 2000 г.

### საერთაშორისო აქტები

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო, 1950 წ.
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ოქმი № 11.
3. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს რეგლამენტი, სტრანსბურგი, 2006 წლის ივლისი.
4. ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია (ფრანგ. Déclaration des Droits de l'Homme et du Citoyen) მიღებულ იქნა ეროვნული წარმომადგენლობითი ასამბლეის შეკრებაზე 1789 წლის 26 აგვისტოს ვერსალში.
5. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღებულია გენერალური ასამბლეის 217 A.(III) რეზოლუციით, 1948 წლის 10 დეკემბერი.
6. ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ, სტრასბურგი, 1959 წლის 20 აპრილი.
7. ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ, პარიზი, 1957 წლის 13 დეკემბერი, საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 16 თებერვლის №729 დადგენილებით.
8. ევროპის საბჭოს წესდება, 1949 წლის 5 მაისი.
9. კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ, მინსკი, 1993 წელი.
10. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, 1966 წელი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.
11. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, რომი, 1998 წლის 17 ივლისი.
12. უცხოელთა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების კონვენცია, საქართველოში ძალაშია 1994 წლიდან.

13. ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, მილანი 1985 წლის 26 აგვისტო.

### ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, საქართველოს პარლამენტის უწყებები, №№31-33, მუხ. 668.
2. საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ", №2257, სსმ I, №41, 08.12.2009, მუხ. 300.
3. კანონი "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №2797, სსმ I, 30.03.2010 წ.
4. "პატიმრობის კოდექსი", საქართველოს 2010 წლის 09 მარტის კანონი № 2696, სსმ I, №12, 24.03.2010, მუხ. 49.
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009, მუხ. 190.
6. საქართველოს კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ", №1876, სსმ I, №33, 09.11.2009, მუხ. 200.
7. კანონი "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №2459, სსმ I, 30.12.2009 წ.
8. კანონი "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №210 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან, სსმ I, 28.07.2008 წ.
9. კანონი "იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, №325 - სსმ I, №24, 20.10.2008 წ., მუხ.163.
10. საქართველოს კანონი "იურიდიული დახმარების შესახებ, №4955, სსმ I, №24, 02.07 2007 წ., მუხ. 218.
11. საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, №4956, სსმ I, №24, 02.07.2007, მუხ. 219.
12. კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №5669 - სსმ I, №1, 03.01.2008 წ., მუხ.1.



13. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №4213, სსმ I, 03.01.2007 წ., მუხ. 16.
14. კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №4208, სსმ I, №4, 12.01.2007 წ., მუხ. 50.
15. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936, სსმ I, №14, 15.05.2006 წ., მუხ. 89.
16. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, № 2937, სსმ I, №14, 15.05.2006 წ., მუხ. 90.
17. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №2936, სსმ I, №14, 15.05.2006 წ., მუხ. 89.
18. კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №1204, სსმ I, №14, 18.04.2005 წ., მუხ. 94
19. საქართველოს კანონი "ადვოკატთა შესახებ", №976, სსმ I, №22, 06.07.2001 წ., მუხ. 78.
20. საქართველოს კანონი "საღსრულებო წარმოებათა შესახებ", №1908, სსმ I, №13(20), 01.05.1999 წ., მუხ. 52
21. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2352, სსმ I, №39(46), 1999 წელი, მუხ. 190.
22. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 - სსმ I, №16(23), 14.05.1999 წ., მუხ.65.
23. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის კანონი N1251, პარლამენტის უწყებანი, №13-14, 08.04.1998 წ., გვ. 31.
24. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, №1361, პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ. 25.
25. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბრის კანონი № 1106, პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997 წ., გვ. 21.

26. საქართველოს კანონი “საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ”, №934, პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997, გვ. 32.
27. საქართველოს ორგანული კანონი ”საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ”, №95, პარლამენტის უწყებანი, №001, 27.02.1996 წ., გვ. 8.

### **ქართული სასამართლოს გადაწყვეტილებები**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 24 მაისის №1/3084 განაჩენი.
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2008 წლის 1 ნოემბრის დადგენილება.
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2008 წლის 24 დეკემბრის განაჩენი №1/5268-08.
4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 ივლისის დადგენილება №1-301.
5. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 09 დეკემბრის განაჩენი №1-301.
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №276, 2004 წლის 28 ივნისი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები 2004 წელი, ”პოლიგრაფი +სი”, თბ. 2005 წ.
7. 2004 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/6/264, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები 2004, გამომცემელი: პოლიგრაფი+სი, თბილისი 2005 წ.
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26.02.2003 1/1/138,171,179,209 გადაწყვეტილება.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 15 ივნისის №2 კოლ, გადაწყვეტილება.
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება - №84/საზ;

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება - №384/საზ;
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება - №345/საზ;
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 07 მარტის გადაწყვეტილება - №139/საზ;
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება - №372/საზ;
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება - №392/საზ.
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება - №380/საზ.
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2001 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე 3გ/ად-82-კ-01.
18. საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2008 წლის 23 იანვრის ბრძანება №10/ა-1.
19. საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2008 წლის 27 აპრილის განაჩენი №1/23.

### **საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა**

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, წიგნი I. გამომცემელი: ევრო საბჭო, თბილისი, 2004 წ.
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, წიგნი . გამომცემელი: ევრო საბჭო, თბილისი, 2004 წ.
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, წიგნი . გამომცემელი: ევრო საბჭო, თბილისი, 2006 წ.

4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, წიგნი . გამომცემელი: ევრო საბჭო, თბილისი, 2008 წ.
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, წიგნი I. გამომცემელი: ევრო საბჭო, თბილისი, 2009 წ.
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რჩეული გადაწყვეტილებები, ტომი I, თბილისი, 2001 წ.
7. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 08 აპრილის გადაწყვეტილება - ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ, ევროპის საბჭო, 2004 წლის სექტემბერი.

### ოფიციალური საიტები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური საიტი: <http://www.constcourt.ge/>
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური საიტი: [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)
3. [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=441&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=441&lang=1)
4. [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=593&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=593&lang=1)
5. [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=595&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=595&lang=1)
6. [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=1193&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=1193&lang=1)
7. [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=1203&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=1203&lang=1)
8. [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=1201&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=1201&lang=1)
9. [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=449&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=449&lang=1)
10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ოფიციალური საიტი: <http://tbappeal.court.gov.ge/>
11. თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალური საიტი: <http://tcc.gov.ge/>
12. საქართველოში ეროპის საბჭოს წარმომადგელობის ოფიციალური საიტი: [www.coe.ge](http://www.coe.ge)
13. <http://portal.coe.ge/library/index.php?language=Ge&osCsid=143a698419f5f05d9707845acd0d2386>
14. [http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL\(2010\)062-e.asp#\\_ftnref1](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL(2010)062-e.asp#_ftnref1)
15. ევროპის საბჭოს ოფიციალური საიტი: [www.coe.int](http://www.coe.int)
16. <http://cmiskp.echr.coe.int>
17. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური საიტი: [www.justice.gov.ge](http://www.justice.gov.ge)